

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე

2013, №07-12

**სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი**

საძიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

განაჩენიდან დამატებითი სასჯელის სახით

დანიშნული ჯარიმის ამორიცხვა

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა

ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა

ერთობლიობით (ნაწილობრივი შეკრება)

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა

ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა

ერთობლიობით (ნაწილობრივი შეკრება)

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა

ერთობლიობით (სრული შეკრება)

ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი

განაჩენის არსებობის დროს განაჩენთა

ერთობლიობით სასჯელის დადგენის დაუშვებლობა

მსჯავრდებულის პატიმრობიდან

გათავისუფლება ამნისტიის გამო

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით

დანიშნული სასჯელის შემცირება

გამოსაცდელი ვადის შემცირება

კერძო ნაწილი

განზრახ მკვლევრობა ჯგუფურად და
ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის
საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

გაუპატიურება

ყაჩაღობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი

შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით

თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით

თვითნებობა

სისხლის სამართლის პროცესი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და

მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

ექსტრადიცია

საპროცესო შეთანხმება

განჩინების გაუქმება, რომლითაც

გაუქმებული იყო განაჩენი საპროცესო

შეთანხმების დამტკიცების შესახებ

უარი განაჩენის საკასაციო გასაჩივრების

არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენაზე

ამნისტიის გავრცელების შესახებ

კანონშეუსაბამო განჩინების გაუქმება

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

განაჩენიდან დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის ამორიცხვა

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№46-აპ-13

30 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. ვ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენზე.

აღწერის ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 აგვისტოს განაჩენით გ. ვ-ე, – ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი განათლებით, რეგისტრირებული ხ-ს რაიონის სოფელ თ-ი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე გ. ვ-ს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. გ. ვ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2011 წლის 27 დეკემბრიდან.

განაჩენით გ. ვ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობის მცდელობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლების მცდელობა მოცულებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის აგვისტოში გ. ვ-მ განიზრახა ფ. ჭ-ს კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან დაარწმუნა ფ. ჭ-ა, რომ თითქოს თავისი ნაცნობების დახმარებით შეეძლო, გავლენა მოეხდინა თბილისის მერიამ გამოცხადებულ საჯარო აუქციონის შედეგებზე, სადაც გასაყიდად გამოტანილი იქნებოდა 2443 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე თ-ი, ი-ს ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი ...), რისთვისაც გ. ვ-მ ფ. ჭ-ს მოსთხოვა 15 000 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ნაწილი, თითქოს უნდა გადაეცა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აუქციონის მოგებაში ეხმარებოდნენ. აუქციონზე გამარჯვებულად უნდა გამოცხადებულიყო ფ. ჭ-ა, რომელიც რეალურად აუქციონში მონაწილეობას მიიღებდა მეგობრის – მ. დ-ს სახელით. ფ. ჭ-ა გ. ვ-ს შემოთავაზებას დაეთანხმა და დაჰპირდა, რომ მოთხოვნილ თანხას – 15000 აშშ დოლარს გადასცემდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისა და რეალიზაციის შემდეგ.

2011 წლის 18 აგვისტოს თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების მიუხედავად, ფ. ჭ-ს მეგობარ მ. დ-ს სახელზე ვერ მოხერხდა დასახელებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია დადგენილ ვადაში, თანხის სრულად შეუტანლობის გამო და მიწის ნაკვეთი დარჩა კვლავ მერიის თვითმმართველობის საკუთრებაში. შესაბამისად, ფ. ჭ-მ გ. ვ-ს ველარ გადაუხადა 15 000 აშშ დოლარი, რის გამოც ფ. ჭ-ს კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლების გადავიღების მიზნით 2011 წლის 19 სექტემბერს გ. ვ-მ მ. დ-ს გაუფორმა ფიქტიური სესხის ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, გ. ვ-მ მაინც ვერ შეძლო დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე სისრულეში მიყვანა, ვინაიდან დააკავეს საამისოდ უფლებამოსილმა მოხელეებმა.

მსჯავრდებულმა გ. ვ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 აგვისტოს განაჩენი მიიჩნია დაუსაბუთებლად, უკანონოდ და სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით აპელანტი ითხოვდა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და სანაცვლოდ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 17 იანვრის განაჩენით საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-6, მე-18, მე-20 მუხლებისა და 23-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად, მსჯავრდებულის სასარგებლოდ ცვლილება შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 აგვისტოს განაჩენში, რომლის თანახმადაც:

გ. ვ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით და ამნისტიის აქტის საფუძველზე სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა დანიშნული საპატიმრო სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, გ. ვ-ს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად, არ შეცვლილა.

მსჯავრდებულმა გ. ვ-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენი იმავე საფუძვლებით და იმავე მოთხოვნით საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა მ. კ-მ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ გაიზიარა და საჩივრის შესაგებელში მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასაციის არგუმენტებს თავისი უდანაშაულობის შესახებ და მიიჩნევს, რომ დაზარალებულ ფ. ჭ-ს პიროვნებასა და მის მიერ მიცემული ჩვენებების უტყუარობაზე კასაციის შეფასებები დამყარებულია ვარაუდებსა და მისთვის მისაღებ მოსაზრებებზე, მაშინ, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ: მონძეების – ფ. ჭ-ს, მ. დ-ს, ზ. ჩ-ს, დ. ა-ს, გ. ს-ს ჩვენებები, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ამსახველი მასალები (კრებები), მსჯავრდებულ გ. ვ-ს მიერ ფ. ჭ-ს გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, აუქციონის შედეგების ამსახველი დოკუმენტები, გ. ვ-ს მოთხოვნით, მ. დ-ს არარსებულ სესხზე ფიქტიური ხელშეკრულების გაფორმება, საქმის გარემოებებთან ამ მტკიცებულებათა რელევანტურობა, დასაშვებობისა და უტყუარობის მაღალი ხარისხი ეჭვის გამომრიცხავად ადასტურებენ გ. ვ-ს მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მასალები და გასაჩივრებულ განაჩენში სწორი სამართლებრივი შეფასებები მისცა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია; შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ვ-ს მიმართ, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას გათვალისწინებული არ ყოფილა მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა, კერძოდ, გ. ვ-ე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია გაათავისუფლოს იგი, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე, 303-ე მუხლებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ვ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ: მსჯავრდებული გ. ვ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის – 3500 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდისაგან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№51-აპ-13

9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 მაისის განაჩენით ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ, მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო, ბრალულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ ა. მ-ს განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ა. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

მანვე ჩაიდინა გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, არაერთგზის, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

ა. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 13 ივნისს ა. მ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ქ. ბ-ს და გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელ აზერბაიჯანელ ახალგაზრდა კაცს და მათთან ერთად მივიდა მ. ბ-თან, რომელსაც შეუთანხმდა, რომ მის მფლობელობაში არსებული რუხი ფერის ვაზ-21-03 „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანით, სახ. №...-ით, გაჰყვებოდა მათ დმანისის რაიონის სოფელ ...-ში, რათა ცოლად შერთვის მიზნით, დანაშაულებრივი გზით, უკანონოდ, ჯგუფურად აღეკვეთათ თავისუფლება იმავე სოფელში მცხოვრებ ე. მ-ასათვის, რომლის არასრულწლოვნებაც კარგად იყო ცნობილი ა. მ-ისათვის.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს ა. მ-ი, ქ. ბ-ი, გამოძიებით დაუდგენელი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა კაცი და მ. ბ-ი, მისივე კუთვნილი „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანით, სახ. ნომრით ..., წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გაემგზავრნენ დმანისის რაიონის სოფელ ...-ში, სადაც ცენტრალურ ქუჩაზე დაელოდნენ არასრულწლოვან ე. მ-ას, რომელსაც სკოლაში მიმავალს უნდა გაეგლო ამ ქუჩაზე. დაახლოებით 08.30 საათზე არასრულწლოვანი ე. მ-ა თავის მცირეწლოვან ძმასთან – მ. მ-თან ერთად გამოვიდა სახლიდან და გაემართა სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე კომერციული ჯიხურისაკენ, კბილის სანმენდი კრემის და ტომატის საყიდლად. როდესაც ე. და მ. მ-ები ჯიხურში სავაჭროდ შევიდნენ, ა. მ-ი, ქ. ბ-ი, გამოძიებით დაუდგენელი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა კაცი და მ. ბ-ი ავტომანქანით მივიდნენ კომერციულ ჯიხურთან. მ. ბ-მა ავტომანქანა გააჩერა ჯიხურის სიახლოვეს, ხოლო ქ. ბ-ი გადმოვიდა მანქანიდან და შევიდა ჯიხურში, მივიდა არასრულწლოვან ე. მ-სთან, უკნიდან წელზე შემოხვია ხელები ფიზიკური ძალის გამოყენებით გაათრია ჯიხურიდან გარეთ და მიათრია მანქანამდე, რომლის უკანა სალონის კარი წინასწარ იყო ღია. მანქანაში მსხდომი ა. მ-ი და გამოძიებით დაუდგენელი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა კაცი მიეხმარნენ ქ. ბ-ს და ერთობლივი ძალისხმევით, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩასვეს ვაზ-21-03 „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანის უკანა სალონში არასრულწლოვანი ე. მ-ა, გაუკავეს ხელ-ფეხი და არ მისცეს მანქანიდან გადმოსვლის საშუალება, რითაც მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. უკანონოდ თავისუფლებალკვეთილი არასრულწლოვანი ე. მ-ა ხმამაღლა ყვიროდა და საშველად უხმობდა მშველელს, თუმცა, მისი დახმარება ვერავინ შეძლო, რადგან ავტომანქანის საჭესთან მჯდომმა მ. ბ-მა, მას შემდეგ, რაც ნახა, რომ ქ. ბ-იც ჩაჯდა ავტომანქანაში, დიდი სისწრაფით დაძრა ავტომანქანა და დატოვა შემთხვევის ადგილი.

ა. მ-მა, ქ. ბ-მა, გამოძიებით დაუდგენელმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა კაცმა და მ. ბ-მა უკანონოდ თავისუფლებალკვეთილი არასრულწლოვანი ე. მ-ა წაიყვანეს დმანისის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ მ. ჩ-ას საცხოვრებელ სახლში, საიდანაც ა. მ-მა, ქ. ბ-მა და გამოძიებით დაუდგენელმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა კაცმა არასრულწლოვანი ე. მ-ა ფიზიკური ძალის გამოყენებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ფეხით, თრევა-თრევით წაიყვანეს მდინარე ფ-ის მიმართულებით, ხოლო მ. ბ-ი დარჩა დმანისის რაიონის სოფელ ...-ში. ა. მ-მა, ქ. ბ-მა და გამოძიებით დაუდგენელმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა კაცმა არასრულწლოვანი ე. მ-ა ფიზიკური ძალის გამოყენებით, ტყეზე გავლით წაიყვანეს ბოლნისის რაიონის სოფელ ...-ში „ქ-ში“, სადაც იქ მცხოვრებლებმა, მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ არასრულწლოვანი ე. მ-ა მოტაცებული იყო, ისინი არ მიიღეს სახლში ღამის გასათევად, რის გამოც გამტაცებლები წავიდნენ გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელ, სოფელ ...-ის მეზობელ სოფელში, სადაც ღამის გასათევად დარჩნენ გამოძიებით ასევე დაუდგენელ ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლში. ღამით არასრულწლოვანმა ე. მ-ამ გადაწყვიტა, გაქცეოდა გამტაცებლებს და ამ მიზნით იგი გადახტა ფანჯრიდან, რაც შეამჩნიეს ა. მ-მა, ქ. ბ-მა და გამოძიებით დაუდგენელმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა კაცმა, რომლებიც გამოეკიდნენ არასრულწლოვან ე. მ-ას, დაუდგინეს და დააკავეს, რის შემდეგაც ძალით წაიყვანეს სოფლის მახლობლად ტყეში, სადაც ა. მ-მა არასრულწლოვანი ე. მ-ა ფიზიკური ძალის გამოყენებით, იძულებით გაიყვანა თავისი მეგობრებისაგან მოშორებით და შესთავაზა ნებაყოფლობით სქესობრივი კავშირის დამყარება. არასრულწლოვანი ე. მ-

ასაგან უარის მიღების შემდეგ ა. მ-მა გადაწყვიტა, მასთან იძულებით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ა. მ-მა ძლიერად გაარტყა ხელი არასრულწლოვან ე. მ-ას სახეში, რის შედეგადაც მან დაკარგა გონება. ა. მ-მა ისარგებლა არასრულწლოვან ე. მ-ას უმწეო მდგომარეობით და მასთან წინასწარი შეცნობით, მისი ნების სანინააღმდეგოდ, დაამყარა სქესობრივი კავშირი, რის შემდეგაც ა. მ-მა თანამზრახველების – ქ. ბ-ისა და გამოძიებით დაუდგენელი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა კაცის დახმარებით ე. მ-ა ძალით მიიყვანა ისევ იმ სახლში, საიდანაც იგი ცდილობდა გაქცევას. აღნიშნულ სახლში ყოფნის პერიოდში, შემდეგ დღეებშიც, ა. მ-ი არაერთგზის სისტემატურად აუპატიურებდა არასრულწლოვან ე. მ-ას და ამყარებდა მასთან იძულებით სქესობრივ კავშირს.

2012 წლის 19 ოქტომბერს მსჯავრდებული ა. მ-ი, როგორც ძებნილი, დააკავეს საბაჟო საკონტროლო გამშვებ პუნქტ „...-ში“ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლის დროს და იგი შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულების №... დაწესებულებაში.

დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 მაისის განაჩენი 2012 წლის 15 ნოემბერს ა. მ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით აპელანტი ითხოვდა დმანისის რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმებას.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა ა. მ-მა დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, წარდგენილ ბრალდებაში სრულად ცნო თავი დამნაშავედ და ითხოვა ჩადენილი ქმედებებისათვის დანიშნული სასჯელების, ამ ქმედებებისათვის სანქციით გათვალისწინებულ სასჯელთა ზომის მინიმუმამდე შემცირება. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულმა ასევე ითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გავრცელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2013 წლის 31 იანვრის განაჩენით ნაწილობრივ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, კერძოდ: „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ცვლილება შეიტანა დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 მაისის განაჩენში და ა. მ-ს, ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ორივე ქმედებისათვის დანიშნული სასჯელები შეუმცირა 1/4-ით, რის შედეგადაც მას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, ა. მ-ს განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა ა. მ-ს დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 19 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულმა ა. მ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით კასატორი ითხოვს, რომ გათვალისწინებულ იქნეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება და მონანიება, ასევე მძიმე ოჯახური პირობები და, შესაბამისად, აღნიშნული საფუძველებით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა ჩადენილი ქმედებებისათვის დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის შემცირების შესახებ დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით სამოქმედოდ შემოღებული სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-2 ნაწილისა და 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. მ-ის მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედებების ჩადენა, გარდა მისი აღიარებითი ჩვენებისა, ასევე უტყუარად არის დადგენილი პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში გამოკვლეულ, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით. სასამართლომ ობიექტურად და სრულყოფილად გამოიკვლია წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაადგინა საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება, შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო დანიშნული სასჯელი – ქმედების სიმძიმის ადეკვატური. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები – დანაშაულის აღიარება და მსჯავრდებულის ოჯახური პირობები – არ წარმოადგენს სასამართლო განაჩენით დადგენილი სასჯელის ზომის შემცირების საფუძველს და გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს 1/4-ით კანონიერად შეუმცირა თითოეული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ა. მ-ი არ არის ნასამართლევი, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილი და სამოქმედოდ 2013 წლის 14 მაისიდან შემოღებული, ახალი

რედაქციის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის ახლებური წესი, რომლის თანახმადაც უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, უნდა გავრცელდეს მოცემულ საქმეზე მსჯავრდებულის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის 546-ე, 547-ე, 549-ე მუხლებით, 552-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 571-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 602-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი ახალი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 414-ე მუხლით და

და ა ა ღ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

„სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ცვლილება შევიდეს ა. მ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განაჩენში და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ა. მ-ის მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმავს ამავე განაჩენით მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ა. მ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 19 ოქტომბრიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და მიღებისთანავე შედის კანონიერ ძალაში.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№63-აპ-13

26 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ისა და მისი ადვოკატის – თ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლითა და 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, ასევე – 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 2 იანვარს ქ. თბილისში, დ-ს მეორე შესახვევის №1-ში მცხოვრებნი ა. პ-ის ბინაში ახალი წლის დადგომას აღნიშნავდნენ. სუფრის წევრები – გ. მ-ე და გ. ო-ი შელაპარაკდნენ, ამის გამო, კონფლიქტისაგან თავის არიდების მიზნით, გ. მ-ემ დატოვა ა. პ-ის ბინა. მეორე დღეს მეზობლები, მათ შორის – გ. ო-იც, შეიკრიბნენ ეზოში ქეიფის გასაგრძელებლად. ამ დროისათვის ეზოში გამოვიდა გ. მ-ე, რომელთანაც მივიდა გ. ო-ი და წინა დღეს მომხდარ შელაპარაკებასთან დაკავშირებით ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანგარიშსწორებით დაემუქრა. ამ საუბარს შეესწრო გ. ე-ი, რომელმაც მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ უამბო არასრულწლოვან გ. მ-ეს. გ. მ-ემ სახლიდან გამოიტანა გასაშლელი დანა, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას, და სხეულის დაზი-

ანების განზრახვით გ. ო-ს ორჯერ დაარტყა. გ. ო-მა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით განესაზღვრა 2000 ლარი ჯარიმა, ხოლო 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 700 ლარი ჯარიმა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. მ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 2700 ლარი, რაც საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმცირდა და საბოლოოდ დაეკისრა ჯარიმა – 2500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; მოიხსნა აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველყოფის მიზნით 10000 ლარის ფარგლებში გ. მ-ის კუთვნილ ქონებაზე დადებული ყადაღა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ. ს-მა, მსჯავრდებულმა გ. მ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-ემ.

პროკურორმა ლ. ს-მა სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულ გ. მ-ისათვის სასჯელის დამძიმება, ხოლო მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა – განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები – მსჯავრდებული გ. მ-ე და ადვოკატი თ. მ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის სასამართლოში განხილვის დროს დადასტურდა, რომ მსჯავრდებულის მამას ემუქრებოდა სიკვდილის საფრთხე, ხოლო გ. მ-ემ უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში შეძლო ამ საფრთხის განეიტრალება, რაც ყველა მოწმემ დაადასტურა, ამიტომ მისი ქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს: კასატორის მითითება, რომ იგი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა, საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას აღნიშნულთან დაკავშირებით და, ასევე, მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ გ. მ-ემ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულ გ. ო-ის ჩვენებით, მოწმეების – გ. ე-ის, მ. ო-ის, ს. ო-ის, ა. პ-ისა და მ. გ-ის ჩვენებებით, ცივი იარაღის ექსპერტიზის, სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. მ-ის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი უფრო მკაცრი სასჯელის მიერ, ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ისა და მისი ადვოკატის – თ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. მ-ისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით განსაზღვრულმა სასჯელმა – ჯარიმამ 2000 ლარის ოდენობით – შთანთქმა ნაკლებად მკაცრი – საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 700 ლარი და საბოლოოდ გ. მ-ეს დაეკისროს ჯარიმა – 2000 ლარი, რაც საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბრალდებულის პა-

ტიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შემცირდეს და საბოლოოდ გ. მ-ეს სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 1800 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№85აპ-13

17 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

ბ. ალავეიძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ც. ძ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ც. ძ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა (ორი ეპიზოდი) და სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ს. ლ-ის ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ზ. ჭ-ის ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. ს-ას ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ი. ნ-ის ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ფ. ჯ-ის ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის საფუძველზე ც. ძ-ას გაუნახევრდა ზ. ჭ-ის, ნ. ს-ას, ი. ნ-ისა და ფ. ჯ-ის დანაშაულებრივი ეპიზოდებისათვის დანიშნული სასჯელები და, შესაბამისად, ზ. ჭ-ის ეპიზოდში ჩადენილი დანაშაულისათვის განესაზღვრა – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; ნ. ს-ას ეპიზოდში ჩადენილი დანაშაულისათვის – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; ი. ნ-ის ეპიზოდში ჩადენილი დანაშაულისათვის – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; ფ. ჯ-ის ეპიზოდში ჩადენილი დანაშაულისათვის – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ც. ძ-ას განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ც. ძ-ას მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი და დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია (ხუთი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის თებერვლის დასაწყისში გ. ხ-მა მის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე თბილისში, ვარკეთილი-..., მე-... „ა“ მ/რაიონი, კორპუსი №..., ბინა №..., სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, მიაქირავა ც. ძ-ას, თუმცა მისთვის ბინის დაგირავების უფლება არ მიუცია. მიუხედავად ამისა, ც. ძ-ამ გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოაქვეყნა განცხადება ხსენებული ბინის დაგირავების შესახებ. განცხადების საფუძველზე ი. ნ-ე, მ. კ-ის მეშვეობით, დაუკავშირდა ც. ძ-ას, რომელმაც უთხრა, რომ ეს ბინა იყო მისი სიძისა და ქალიშვილის საკუთრება. რამდენიმე დღეში მ. კ-ემ ი. ნ-ის ბიძაშვილს – მ. ნ-ეს გააცნო გ. ხ-ი, როგორც ც. ძ-ას სიძე და ბინის მესაკუთრე. აღნიშნული ქმედებით ც. ძ-ამ და მ. კ-ემ შეცდომაში შეიყვანეს ი. ნ-ე და დაარწმუნეს, რომ მისთვის უნდა მიეგირავებინათ ც. ძ-ას სიძის საკუთრებაში არსებული ბინა. 2007 წლის 26 თებერვალს ც. ძ-ასა და ი. ნ-ეს შორის თბილისში, ჯ-ისა და კ-ის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სანოტარო ბიუროში, გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რა დროსაც ი. ნ-ემ, მ. კ-ის თანდასწრებით, ც. ძ-ას იქვე გადასცა ფულადი თანხა – 8500 ლარი. ც. ძ-ა და მ. კ-ე მოტყუებით დაუფლნენ რა ი. ნ-ის კუთვნილ ფულად თანხას – 8500 ლარს, მისთვის თანხა არ დაუბრუნებიათ. 2010 წლის გაზაფხულზე ი. ნ-ე ოჯახთან ერთად ბინის მესაკუთრის – გ. ხ-ის მოთხოვნით გამოასახლეს ზემოაღნიშნული ბინიდან. აღნიშნული ქმედებით ი. ნ-ეს მიაღდა 8500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის მაისში გ. ჯ-ემ თავისი კუთვნილი ბინა, მდებარე თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, კორპუსი №..., ბინა №..., სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, მიაქირავა ც. დ-ას, თუმცა მისთვის ბინის დაგირავების უფლება არ მიუცია. მიუხედავად ამისა, ც. დ-ამ 2007 წლის ივნისში გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოაქვეყნა განცხადება ზემოხსენებული ბინის დაგირავების თაობაზე. აღნიშნულის საფუძველზე ფ. ჯ-ე, მ. კ-ის საშუალებით, დაუკავშირდა ც. დ-ას, რომელსაც შეხვდა მისსავე საცხოვრებელ სახლში. ც. დ-ამ და მ. კ-ემ ფ. ჯ-ე დაარწმუნეს, რომ ც. დ-ას ნათესავისაგან მიღებული ჰქონდა მინდობილობა ზემოხსენებული ბინის დაგირავების თაობაზე. 2007 წლის 3 ივლისს თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, მე-... კვარტლის მე-... კორპუსში მდებარე სანოტარო ბიუროში ც. დ-ას შვილს – ა. კ-ესა და ფ. ჯ-ეს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რა დროსაც ფ. ჯ-ემ ც. დ-ას იქვე გადასცა 10 000 ლარი. ც. დ-ა, მ. კ-ესთან ერთად, მოტყუებით დაეუფლა ფ. ჯ-ის ფულად თანხას, რაც დღემდე არ დაუბრუნებიათ. აღნიშნული ქმედებით ფ. ჯ-ეს მიადგა 10 000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წელს ნ. გ-ამ მის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივი, ... კვარტალი, კორპუსი ..., სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მიაქირავა ც. დ-ას იმ პირობით, რომ მას ბინის დაგირავების უფლება არ ექნებოდა. მიუხედავად ამისა, ც. დ-ამ 2008 წლის მაისში გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოაქვეყნა ინფორმაცია ზემოაღნიშნული ბინის დაგირავების თაობაზე. სხენებული განცხადების საფუძველზე ც. დ-ა შეუთანხმდა ს. ლ-ს, რომ მას მიაგირავებდა თავისი ნათესავის ბინას, რის თაობაზეც მას თითქოსდა მიღებული ჰქონდა მინდობილობა. 2008 წლის 16 მაისს ც. დ-ას შვილს – ა. კ-ესა და ს. ლ-ს შორის ქალაქ თბილისში, ქ. ნ-ის ქუჩა №...-ში მდებარე სანოტარო ბიუროში, გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 8000 აშშ დოლარის თაობაზე, რა დროსაც ს. ლ-მა იქვე გადასცა ც. დ-ას 4000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი – 4000 დოლარი მასვე რამდენიმე დღეში გადასცა თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, კორპუსი ..., ბინა №...-ში. ამდენად, ც. დ-ა მოტყუებით დაეუფლა ს. ლ-ის კუთვნილ 11 680 ლარს. აღნიშნული ქმედებით ს. ლ-ს მიადგა 11 680 ლარის – დიდი ოდენობით ზიანი.

2008 წლის 27 ოქტომბერს ც. დ-ა მოტყუებით დაეუფლა ნ. ს-ას კუთვნილ ფულად თანხას – 11 280 ლარს, რის სანაცვლოდაც თითქოსდა მიაგირავა თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, კორპუსი „...“-ში მდებარე ბინა №..., რომელიც ც. დ-ას დაქირავებული ჰქონდა და მისი დაგირავების უფლება არ გააჩნდა. ც. დ-ამ იგი დაარწმუნა, რომ აღნიშნული ბინის დაგირავების თაობაზე მიღებული ჰქონდა მინდობილობა, რითაც ნინასწარი განზრახვით შეცდომაში შეიყვანა იგი. ნ. ს-ას ნდობის მოსაპოვებლად ც. დ-ამ მას თავისი შვილის – ა. კ-ის სახელზე გაუფორმა სესხის ხელშეკრულება თბილისში, ხ-ის ქუჩა №...-ში მდებარე სანოტარო ბიუროში, სადაც ნ. ს-ამ მას და ა. კ-ეს გადასცა 7500 აშშ დოლარი, ხოლო 500 აშშ დოლარი უკვე გადაცემული ჰქონდა ბეს სახით ბინის ნახვისას. საერთო ჯამში ც. დ-ა მოტყუებით დაეუფლა ნ. ს-ას კუთვნილ ფულად თანხას – 11 280 ლარს, რაც დღემდე არ დაუბრუნებია. 2010 წლის ივნისში ნ. ს-ა ოჯახთან ერთად გამოასახლეს ზემოხსენებული ბინიდან. აღნიშნული ქმედებით ნ. ს-ას მიადგა 11 280 ლარის – დიდი ოდენობით ზიანი.

2010 წლის ოქტომბერში ც. დ-ა შეუთანხმდა ზ. ჭ-ეს, რომ 8000 აშშ დოლარის სანაცვლოდ მიაგირავებდა თავის საცხოვრებელ ბინას, მდებარე თბილისში, ვარკეთილი, მესამე მასივი, ზემო პლატო, კორპუსი ..., ბინა №..., რის თაობაზეც გაუფორმებდა იპოთეკის ხელშეკრულებას. ამავე დროს ც. დ-ას ზ. ჭ-ისათვის თავისი ხარჯით უნდა დაექირავებინა მისთვის სასურველი ბინა საცხოვრებლად. 2010 წლის 13 ნოემბერს ც. დ-ასა და ზ. ჭ-ეს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, სადაც ერთ-ერთ პირობად მიეთითა, რომ 2011 წლის 1 იანვრამდე ც. დ-ა იპოთეკით დატვირთავდა თავის საცხოვრებელ ბინას. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სესხის ხელშეკრულების გაფორმების პერიოდისათვის ც. დ-ა და მისი მეუღლის საცხოვრებელი ბინა აუქციონის წესით უკვე გასხვისებული იყო გ. გ-ზე. ც. დ-ამ განზრახ შეიყვანა შეცდომაში ზ. ჭ-ე, ვინაიდან მისთვის არ იყო ცნობილი, რომ ზემოხსენებული ბინა ც. დ-ას საკუთრებას აღარ წარმოადგენდა. ამდენად, ც. დ-ა მოტყუებით დაეუფლა ზ. ჭ-ის კუთვნილ ფულად თანხას – 14 080 ლარს, რითაც ზ. ჭ-ეს მიადგა დიდი ოდენობით – 14 080 ლარის მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულმა ც. დ-ამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრის თანახმად, აპელანტი თავს დამნაშავედ ცნობს ზ. ჭ-ის ეპიზოდში ჩადენილ ქმედებაში, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილებში (ოთხ ეპიზოდში) მიაჩნია, რომ უდანაშაულოა და ითხოვა ამ მიმართებით განაჩენში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

შესაგებელში სახელმწიფო ბრალმდებელმა საჩივრის მოთხოვნა არ გაიზიარა და მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის ყველა ეპიზოდში უცვლელად დატოვება, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონის მოქმედების გავრცელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მხარეთა მონაწილეობით სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 26 მარტის განაჩენით მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და იგი დამნაშავედ ცნო ბრალდების ყველა ეპიზოდში. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გასაჩივრებულ განაჩენში აპელანტის სასიკეთოდ შეიტანა ცვლილება: იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაზარალებულმა ზ. ჭ-ემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თანხმობა განაცხადა აპელანტის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელებაზე, ც. დ-ა, ამავე კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ზ. ჭ-ის ეპიზოდში – ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშ-

ნული სასჯელისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, 1/3-ით შეუმცირდა სხვა ეპიზოდები-სათვის დანიშნული სასჯელები, კერძოდ:

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ს. ღ-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1/3-ით და განესაზღვრა – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ნ. ს-ას ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1/3-ით და განესაზღვრა – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ი. ნ-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1/3-ით და განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ფ. ჯ-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1/3-ით და განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის თანახმად, ც. ძ-ას სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. ს-ას ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 1/3-ით შემცირებული სასჯელი – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდა და განესაზღვრა – 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ი. ნ-ის ეპიზოდი) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 1/3-ით შემცირებული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ფ. ჯ-ის ეპიზოდი) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 1/3-ით შემცირებული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდა და განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის თანახმად, ს. ღ-ის, ნ. ს-ას, ი. ნ-ისა და ფ. ჯ-ის თაღლითურად მოტყუების ეპიზოდებში დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ც. ძ-ას განესაზღვრა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ც. ძ-ას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 19 აპრილიდან.

მსჯავრდებულმა ც. ძ-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით კასატორები ითხოვენ ნ. ს-ას, ი. ნ-ის, ფ. ჯ-ისა და ს. ღ-ის ეპიზოდებში მსჯავრდების გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილება უნდა შევიდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ ც. ძ-ას მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოკვლეულ და შეფასებულ ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, კერძოდ, დაზარალებულების: ი. ნ-ის, ზ. ჭ-ის, ფ. ჯ-ის, ს. ღ-ის, ნ. ს-ას, მონმეების: გ. ხ-ის, მ. კ-ის, მ. კ-ის, გ. ჯ-ის, ნ. გ-ის, რ. დ-ის, თ. ქ-ის, ა. კ-ის, თ. ფ-ლ-გ-ის ჩვენებებით უტყუარად და ეჭვის გამომრიცხავად არის დადგენილი ც. ძ-ას ბრალეულობა მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებებში.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მსჯავრდებული ც. ძ-ა ერთი და იმავე ხერხით ქირაობდა დაზარალებული პირების საკუთრებაში არსებულ ბინებს და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონდა თანხმობა მესაკუთრეებისგან, ამ ბინებს აგირავებდა მსურველ პირებზე ნამდვილ მესაკუთრეთა ვინაობის გამხელის გარეშე, რის შემდეგაც დაზარალებულ პირებთან აფორმებდა სესხის ხელშეკრულებას, რითაც დასაწყისშივე განზრახ ამახინჯებდა ქვშმარიტებას – მონაცემებს ბინის მესაკუთრეებზე, წინასწარი შეცნობით შეცდომაში შეჰყავდა კონტრაგენტები, ახერხებდა მათ დეზინფორმაციას და სხვისი ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მტკიცებულებით საფუძველს მოკლებულია კასატორისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის არგუმენტები იმის შესახებ, რომ თითქმის ზ. ჭ-ის ეპიზოდის გარდა, სხვა ეპიზოდებში მსჯავრდებულს სხვა დაზარალებულების მოტყუებისა და, შესაბამისად, მათი კუთვნილი ფულადი თანხების მითვისების განზრახვა არ ჰქონია; დაცვის მხარის ასეთი არგუმენტები გამყარებული არ არის რაიმე მტკიცებულებით და პალატა მათ ვერ გაიზიარებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი და ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კანონიერად გაავრცელა მისი მოქმედება მსჯავრდებულზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის შემდეგ დაზარალებულმა ს. ლ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს, რასაც დაურთო სანოტარო აქტით დამონმებული ხელწერილი, რომლის მიხედვითაც, იგი თანახმაა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები მასთან დაკავშირებულ ეპიზოდში გავრცელდეს მსჯავრდებულ ც. ძ-ზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ამ ეპიზოდში მსჯავრდებული უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთისაგან.

გარდა ამისა, ც. ძ-ას, როგორც სასამართლობის არმქონეს, სასჯელის საბოლოო ზომა უნდა განესაზღვროს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ც. ძ-ას საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოდ გამო არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

ც. ძ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ს. ლ-ის ეპიზოდში) განსაზღვრული სასჯელის – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთისაგან;

ც. ძ-ას მიმართ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. ს-ას ეპიზოდში) დანიშნულმა სასჯელმა – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ი. ნ-ისა და ფ. ჯ-ის ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები – 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც ც. ძ-ას საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 19 აპრილიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№75-აპ-13

21 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ბ. თ-ის, მსჯავრდებულ ლ. ჭ-ისა და მისი ადვოკატის – ა. ბ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის განაჩენით ბ. თ-ი და ლ. ჭ-ი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინეს განზრახ მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად და 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 2 მარტს, დაახლოებით 15 საათზე, კასპის რაიონის სოფელ ... მცხოვრები დ. ბ-ი მეგობრებთან: რ. ნ-თან, გ. გ-თან, გ. და თ. ხ-თან ერთად კასპის რაიონის სოფელ ... შეხვდა ნაცნობებს – კასპის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ლ. ჭ-სა და კასპის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ბ. თ-ს. მას სურდა, ლ. ჭ-თან გაერკვია ურთიერთობა რამდენიმე ხნით ადრე მომხდარი სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო. დ. ბ-ი და ლ. ჭ-ი საუბრისას შეკამათდნენ, რაც ურთიერთშელაპარაკებასა და ჩხუბში გადაიზარდა. აღნიშნულით განაწყენებულმა ლ. ჭ-მა და ბ. თ-მა ჯგუფურად განიზრახეს დ. ბ-ის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ლ. ჭ-მა თანაქონი დანით დ. ბ-ს მიაყენა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები მუცლისა და წელის არეში; იმავე დროულად ბ. თ-მა თანაქონი დანა ორჯერ მოუქნია ზურგის არეში დ. ბ-ს და ასევე მიაყენა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა ზურგის არეში. ლ. ჭ-მა და ბ. თ-მა ვერ შეძლეს განზრახვის სისრულეში მოყვანა, ვინაიდან რ. ნ-მა გააშველა ლ. ჭ-ი და დ. ბ-ი, ხოლო ბ. თ-ი შეაკავეს გ. გ-მა და გ. ხ-მა, რის შემდეგაც ლ. ჭ-ი და ბ. თ-ი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, დ. ბ-ი კი გადაიყვანეს კასპის საავადმყოფოში.

აღნიშნული ქმედებისათვის ბ. თ-სა და ლ. ჭ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიესაჯათ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი – 2000 ლარი ჯარიმა; სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე ლ. ჭ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დაინიშნული სასჯელი და ამ მუხლით განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2012 წლის 2 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და მსჯავრდებულ ლ. ჭ-ის ადვოკატმა ა. ბ-მა. მათ ითხოვეს საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და დამნაშავედ ცნობა მხოლოდ სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა მ. ჩ-ემ შესაგებლით ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება როგორც კვალიფიკაციის, ისე – სასჯელის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტებმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები და ითხოვეს მსჯავრდებულების გამართლება საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, მათი ქმედების დაკვალიფიცილება საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელება, ხოლო სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება სადავოდ არ გაუხდიათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა: ლ. ჭ-სა და ბ. თ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახვერდათ საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დაინიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა: ლ. ჭ-ს – 5 წლითა და 3 თვით, ხოლო ბ. თ-ს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი მათთვის სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის სახით 2000-2000 ლარის ჯარიმის დანიშვნის ნაწილში დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ბ. თ-მა და ლ. ჭ-მა, ასევე – ლ. ჭ-ის ადვოკატმა ა. ბ-მა.

მსჯავრდებული ბ. თ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია მკვლელობის მცდელობა, ის და თავისი მეგობარი თავს იცავდნენ თავდამსხმელ დ. ბ-ისაგან, ამიტომ ითხოვს მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელებას.

კასატორები – მსჯავრდებული ლ. ჭ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა, არ გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ე.წ. „დაზარალებული“ დ. ბ-ი და მისი მეგობრები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ ლ. ჭ-ს, რათა „მასთან გაესწორებინათ ანგარიში“, ხოლო ლ. ჭ-მა თავდამსხმელების მოგერიების დროს გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ლ. ჭ-ი და ადვოკატი ა. ბ-ი ითხოვენ ლ. ჭ-ის გამართლებას საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, მისი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 122-ე მუხლითა და 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელებას, ასევე სასჯელის მოხდისაგან და სასჯელაღსრულების დაწყებულებიდან განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს: კასატორების მითითება, რომ სასამართლომ მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება – საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან საკასაციო პალატას მართებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა საჩივართან დაკავშირებით. პალატის აზრით საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ლ. ჭ-მა და ბ. თ-მა ნამდვილად ჩაიდინეს გასაჩივრებული განაჩენით მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მათი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულ დ. ბ-ის ჩვენებით, მოწმეების – გ. ხ-ის, თ. ხ-ის, გ. გ-ის, რ. წ-ის, შ. დ-ის, შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გამომძიებლების – გ. ბ-ის, გ. ქ-ის, დ. ხ-ის, ს. ტ-ის, დ. ჩ-ის, ლ. ი-ის, რ. ნ-ის, ზ. ი-ის, მ. მ-ის, ქ. ჭ-ის ჩვენებებით, მოწმე-ექსპერტ ნ. ე-ის ჩვენებით, ექსპერტების რ. ტ-ის, დ. კ-ის, რ. ხ-ას ჩვენებებით, ბიოლოგიური, კრიმინალისტიკური, ტრასოლოგიური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების – ლ. ჭ-ისა და ბ. თ-ის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელები.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. თ-ის, მსჯავრდებულ ლ. ჭ-ისა და მისი ადვოკატის – ა. ბ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ლ. ჭ-ისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დანიშნულმა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით შემცირებულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 5 წლითა და 3 თვით – შთანთქმას ნაკლებად მკაცრი – საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 2000 ლარი და საბოლოოდ ლ. ჭ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ბ. თ-ისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დანიშნულმა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით შემცირებულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 7 წლით – შთანთქმას ნაკლებად მკაცრი – საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 2000 ლარი და საბოლოოდ ბ. თ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№78-აპ-13

2 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ბ. ალავეიძე,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით რ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 138-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი იმასთან, ვისაც არ შესრულებია 14 წელი; ასევე – გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ; ასევე – სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ძალადობით, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის აპრილიდან, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, 2009 წლის ივნისამდე რ. კ-ე თავის საცხოვრებელ სახლში, მდებარე: ქ. თბილისში, ..., თავის დისშვილთან, 13 წლის მ. კ-ესთან პერიოდულად ამყარებდა სქესობრივ კავშირს, რა დროსაც მიმართავდა ძალადობას, კერძოდ: ჯერ სახეში ურტყამდა, შემდეგ კი თმით ითრევდა და ძალის გამოყენებით ამყარებდა მასთან სქესობრივ კავშირს.

2011 წლის 3 ოქტომბრიდან 2011 წლის 4 ნოემბრამდე რ. კ-ე თავის საცხოვრებელ სახლში დისშვილთან – არასრულწლოვან მ. კ-ესთან ამყარებდა სქესობრივ კავშირს, რა დროსაც მიმართავდა ძალადობას, კერძოდ: ჯერ სახეში ურტყამდა, შემდეგ კი თმით ითრევდა და ძალის გამოყენებით ამყარებდა მასთან სქესობრივ კავშირს.

2011 წლის 4 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე რ. კ-ე თავის საცხოვრებელ სახლში თავის დისშვილთან – არასრულწლოვან მ. კ-ესთან ამყარებდა სექსუალურ კონტაქტს გაუქმდარებული ფორმით – უკანა ტანში, რა დროსაც ასევე მიმართავდა ძალადობას.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. კ-ეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიესაჯა 18 წლით, ხოლო 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე რ. კ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2012 წლის 1 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. კ-ემ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: მსჯავრდებულ რ. კ-ეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 28 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კასაციური – მსჯავრდებული რ. კ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლოში არ დაკითხეს მისი მეზობლები, მშობლები, ახლო ნათესავები; ბრალდება ემყარებოდა მხოლოდ მცირეწლოვან კ. ც-ის ჩვენებას, რომელიც ჯერ პროკურორმა, ხოლო შემდეგ – პირველი ინსტანციის მოსამართლემ დააშინეს ციხეში ჩასმით და მიაცემინეს რ. კ-ის საწინააღმდეგო ჩვენება; დარჩა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა და არასწორად შეფასდა შეკრებილი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც სასამართლომ მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს საჩივართან დაკავშირებით და ასევე მიაჩნია, რომ რ. კ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულ მ. კ-ის ჩვენებით, მოწმეების – კ. ც-ის, ლ. ბ-ის, თ. გ-ის, ნ. შ-ის, ა. გ-ას, ი. მ-ის, ნ. ს-ის და თ. ყ-ის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. კ-ის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი უფრო მკაცრი სასჯელის მიერ, ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ რ. კ-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 29 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნულმა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას ნაკლებად მკაცრი – საქართველოს

სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელები – 7-7 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ რ. კ-ეს სასჯელის სახით განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№112-აპ-13

14 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ქ. უ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 თებერვლის განაჩენით ქ. უ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (6 დაზარალებულის: ე. ვ-ის, ლ. გ-ის, შ. ხ-ის, ნ. გ-ის, ზ. ბ-ის, ს. და შ. გ-ების ეპიზოდები) და მიესაჯა 7-7 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/3-ით და ყველა ეპიზოდში სასჯელად განესაზღვრა 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილით, ნაწილობრივი შეკრების წესით, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ერთი ეპიზოდი) დანიშნულ სასჯელს – 5 წელს დაემატა დანარჩენი ხუთი ეპიზოდისთვის დანიშნული სასჯელებიდან 3-3 წელი და საბოლოოდ ქ. უ-ეს სასჯელად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქ. უ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 11 მაისიდან.

განაჩენით ქ. უ-ეს მსჯავრი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებაში, ჩადენილი დიდი ოდენობით (6 ეპიზოდი).

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის სექტემბერში ქ. უ-ემ, სჭირდებოდა რა თანხა ბიზნესისთვის, დაარწმუნა ე. ვ-ე, იპოთეკით დაეტვირთა თავისი კუთვნილი ბინა, მდებარე თბილისში, წ-ის ქ. №...-ში და აღებული თანხა მთლიანად გადაეცა მისთვის. ე. ვ-ე ენდო ქ. უ-ეს და მისი მოთხოვნით 2008 წლის 14 სექტემბრიდან 2009 წლის 30 იანვრამდე პერიოდში ზემოხსენებული ბინა 4-ჯერ დატვირთა იპოთეკით. ხელშეკრულებების საერთო თანხამ შეადგინა 100.000 აშშ დოლარი. აღნიშნულ თანხას მოტყუებით დაუფულა ქ. უ-ე და იგი ე. ვ-ისათვის აღარ დაუბრუნებია. ამ ქმედებით ე. ვ-ეს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2008 წლის ოქტომბერში ქ. უ-ემ დაარწმუნა ლ. გ-ე, რომ თავის საკუთრებაში არსებული, რ-ის ქუჩის №...-ში მდებარე №... ბინა დაეტვირთა იპოთეკით და აღებული თანხა მთლიანად გადაეცა მისთვის, რათა გამოეყენებინა საჭიროებისამებრ თავის ბიზნესში. ლ. გ-ე ენდო ქ. უ-ეს და მისი მოთხოვნით 2008 წლის 17 ოქტომბერს ნოტარიუსის მეშვეობით იპოთეკით დატვირთა თავისი კუთვნილი ბინა. აღებული თანხა – 55.000 აშშ დოლარი მთლიანად გადასცა ქ. უ-ეს. მოტყუებით დაუფლებული ფული ქ. უ-ს ლ. გ-ისათვის არ დაუბრუნებია, რითაც მას მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2009 წლის იანვარში ქ. უ-ემ დაარწმუნა მ. ხ-ი, იპოთეკით დაეტვირთა თავისი კუთვნილი, თბილისში, რ-ის ქ. №...-ში მდებარე ბინა №... და აღებული თანხა მთლიანად გადაეცა მისთვის, რადგან სჭირდებოდა ბიზნესისთვის. ქ. უ-ემ ისარგებლა მ. ხ-ის ავადმყოფობით, რომელიც ენდო მას და 2009 წლის 29 იანვარს ნოტარიუსის მეშვეობით მ. ხ-ისა და მისი შვილის – შ. ხ-ის კუთვნილი ზემოაღნიშნული ბინა დაიტვირთა იპოთეკით. იპოთეკის თანხა – 20.000 აშშ დოლარი მთლიანად აიღო ქ. უ-ემ. მას მოტყუებით დაუფლებული თანხა მ. ხ-ისა და შ. ხ-ისათვის არ დაუბრუნებია, რითაც მათ მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2006 წლის დეკემბერში ქ. უ-ემ დაარწმუნა ნ. გ-ე, იპოთეკით დაეტვირთა თავისი კუთვნილი ბინა, მდებარე თბილისში, ქ-ის ქ. №...-ში და აღებული თანხა მთლიანად გადაეცა მისთვის. ნ. გ-ემ ქ. უ-ის მოთხოვნით 2006 წლის 29 დეკემბერს და 2007 წლის 8 ნოემბერს იპოთეკით დატვირთა თავისი კუთვნილი ბინა და აღებული თანხა, საერთო ჯამში 108.000 აშშ დოლარი, მთლიანად გადასცა ქ. უ-ეს, რომელსაც მოტყუებით მიღებული თანხა არ დაუბრუნებია, რითაც ნ. გ-ეს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2006 წლის ნოემბერში ქ. უ-ემ დაარწმუნა ზ. ბ-ი, რომ მისი კუთვნილი ბიზნესის საჭიროებისათვის იპოთეკით დაეტივრთა თავის საკუთრებაში არსებული, თბილისში, ნ-ის ქ. №...-ში მდებარე ბინა №... და ალბუ-ლი თანხა გადაეცა მისთვის. ზ. ბ-ი ენდო ქ. უ-ეს და 2007 წლის 5 ნოემბერს იპოთეკით დატივრთა კუთვნილი ბინა. ალბუ-ლი თანხა – 115.000 აშშ დოლარი მთლიანად გადასცა ქ. უ-ეს, რომელსაც მოტყუებით მიღებუ-ლი თანხა არ დაუბრუნებია, რითაც ზ. ბ-ს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2007 წლის აპრილში ქ. უ-ემ დაარწმუნა ს. გ-ე, იპოთეკით დაეტივრთა მისი შვილის – შ. გ-ის კუთვნილი, თბილისში, რ-ის ქ. №...-ში მდებარე ბინა №... და ალბუ-ლი თანხა მთლიანად გადაეცა მისთვის. ს. გ-ე ენდო ქ. უ-ეს და იპოთეკით დატივრთა თავისი შვილის კუთვნილი ზემოაღნიშნული ბინა. იპოთეკის ღირებულება – 40.000 აშშ დოლარი მთლიანად აიღო ქ. უ-ემ. ასევე 2007 წლის 25 სექტემბერს ს. გ-ემ ქ. უ-ის მოთხოვნით იპოთეკით დატივრთა თავის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე თბილისში, ც-ის 1-ლი შესახვევის №...-ში და იპოთეკის ღირებულება – 49.000 აშშ დოლარი მთლიანად აიღო ქ. უ-ემ. მას მოტყუებით მიღებუ-ლი თანხა ს. გ-ისა და შ. გ-ისათვის არ დაუბრუნებია, რითაც მათ მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ქ. უ-ემ და მოითხოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განაჩენით იმავე სასამართლოს 2013 წლის 1 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ქ. უ-ემ საკასაციო საჩივრით მიმარ-თა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორატის პროკურორმა მ. ს-ემ შესაგებლად ითხოვა საკასაციო საჩივრისათვის უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევი-დეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შე-ამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტუ-რობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, ასევე ქ. უ-ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზ-რისით, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერ-თობლიობა, კერძოდ, დაზარალებულების: ე. ვ-ის, ლ. გ-ის, შ. ხ-ის, ნ. გ-ის, ზ. ბ-ის, ს. და შ. გ-ების ჩვენებები, მოწმეების: მ. კ-ის, გ. ნ-ის, გ. ა-ის, მ. გ-ის, მ. უ-ის, მ. ს-ისა და სხვათა ჩვენებები, სესხისა და იპოთეკის ხელწერილები, ექსპერტიზის დასკვნა და საქმის სხვა მასალები გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ქ. უ-ემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედება – თაღლითობა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვა-ლეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდე-გო შედეგი, დამნაშავეს პიროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, ქ. უ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუ-ქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის საფუძველზეც მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რასაც პალატაც ეთანხმება.

ამისთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილე-ბის შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონის საფუძველზე, სსკ-ის 59-ე მუხლში შესული ცვლი-ლებების თანახმად თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განაჩენი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს უფ-რო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას – ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განაჩენით ქ. უ-ეს მსჯავრი დაედო სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა (6 ეპიზოდი) ჩადენაში და რადგან იგი არის ნასამართლობის არმქონე, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 აპრილის განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ ქ. უ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (და-ზარალებულ ე. ვ-ის ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქას იმავე მუხლით (დაზარალებულების: ლ. გ-ის, შ. ხ-ის, ნ. გ-ის, ზ. ბ-ის, ს. და შ. გ-ების ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები – 5-5 წელი, რის გამოც მას საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა დაეწყოს 2012 წლის 11 მაისი-დან.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე, 303-ე მუხლებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ქ. უ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 აპრილის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ ქ. უ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების ერთი – დაზარალებულ ე. ვ-ის ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელმა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას იმავი მუხლით (ბრალდების ხუთი, დაზარალებულების: ლ. გ-ის, შ. ხ-ის, ნ. გ-ის, ზ. ბ-ის, ს. და შ. გ-ების ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები – 5-5 წელი, რის გამოც მას საბოლოოდ განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 11 მაისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№111-აპ-13

18 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ თ. გ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ხ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 დეკემბრის განაჩენით თ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 115-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. თ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 12 ივლისიდან.

მასვე 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, აეკრძალა დაიკავოს დანიშნებითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომლის მოქმედების ვადაც უნდა აითვალოს ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან, ასევე უნდა გავრცელდეს ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ თ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 11 ივლისს, დაახლოებით 21 საათზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების უმცროსმა სერჟანტმა თ. გ-ა ქ. გ-ი მდებარე მე-5 ქვეითი ბრიგადის №-ე ბატალიონის ყაზარმაში, მუხლებზე დააჩოქა ამავე სამხედრო ნაწილის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები - ა. მ-ი და კ. მ-ი და იმ მოტივით, რომ ისინი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სარგებლობდნენ მობილური ტელეფონით, დასაჯა. მათ არაერთხელ დაარტყა თავისა და მუცლის არეში და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფაც. სერჟანტი თ. გ-ი ამ ხერხით დასჯით არ დაკმაყოფილდა და კ. მ-ს დაემუქრა სასტიკი მოპყრობითა და კვლავ დასჯით, რის შედეგადაც კ. მ-ი მივიდა თვითმკვლელობამდე და დაახლოებით 21.30 საათზე იმავე ყაზარმაში თავი მოიკლა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

თ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 115-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა

ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპით, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. თ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 12 ივლისიდან.

მასვე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, აეკრძალა დაიკავოს დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომლის მოქმედების ვადაც უნდა აითვალოს ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან.

მსჯავრდებული თ. გ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. ხ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და თ. გ-ს მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიღა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს თ. გ-ს უდანაშაულობის თაობაზე. მსჯავრდებულ თ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ა. მ-ს ჩვენებით, მოწმეების – ყ. ქ-ს, ა. მ-ს, გ. ბ-ს, კ. ე-ა და სხვათა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თ. გ-ს მიმართ სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-2 ნაწილითა და ამავე კანონით საქართველოს სსკ-ის 414-ე მუხლზე დამატებული მე-8 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, გამოყენებულ იქნეს სასჯელთა შთანთქმის პრინციპი, რომელთა საფუძველზეც მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 აპრილის განაჩენში, კერძოდ:

მსჯავრდებულ თ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას 115-ე მუხლით დანიშნული სასჯელი, რის გამოც მას საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა დაეწყო 2012 წლის 12 ივლისიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 414-ე მუხლის მე-8 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ თ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას 115-ე მუხლით დანიშნული სასჯელი, რის გამოც მას საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2012 წლის 12 ივლისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 თებერვლის განაჩენით ლ. გ-ი, ნასამართლობის არ-მქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2004 წლის 14 დეკემბრიდან.

აღნიშნული განაჩენი შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 სექტემბრის განა-ჩენით, კერძოდ:

ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთან-ხმება სახელმწიფო ბრალმძებელსა და ლ. გ-ს შორის. ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი), სსკ-ის 55-ე მუხლის გა-მოყენებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 6 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწე-სებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი – ჩაეთვალა პირობით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 8 თებერვლის ეპიზოდი), სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 7 წლით თავისუფ-ლების აღკვეთა, საიდანაც 5 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი – ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ლ. გ-ს სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფ-ლების აღკვეთა, საიდანაც 11 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი – ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

ლ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 10 თებერვლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით ლ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე 1/4-ით შეუმცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი და 6 თვე დაუდგინდა სასჯე-ლაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 9 თვე – ჩაეთვალა პირობით.

მასვე 1/4-ით შეუმცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 8 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელი და 9 თვე დაუდგინდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დანაშაულთა ერთობლიობით, ლ. გ-ს სასჯელად გა-ნესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წელი და 3 თვე დაუდგინდა სასჯე-ლაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 3 თვე – ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

ლ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 10 თებერვლიდან.

2013 წლის 21 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ლ. გ-მა და ით-ხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა და მოქმედ კანონმდებლობასთან შე-საბამისობაში მოყვანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა ლ. გ-ის შუამდგომლობა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინება დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 ივნისის განაჩენის თაობაზე ლ. გ-მა საჩივრით მი-მართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და იმის გამო, რომ 1-ლი ნასამართლობის დროს იყო არასრულწლოვანი, ითხოვა სასჯელის დანიშვნა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემ-დეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას – ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს.

საქმის მასალების მიხედვით, ლ. გ-ი გასამართლებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 თებერვლის განაჩენით, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა არასრულწლოვანების ასაკში.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

ამდენად, ლ. გ-ის მიერ სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისას სახეზე არ არის დანაშაულის რეციდივი, რის გამოც მას სასჯელი უნდა განესაზღვროს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, კერძოდ:

მსჯავრდებულ ლ. გ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 8 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 5 წელი, 3 თვე და ლ. გ-ს საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 4 წელი და 6 თვე უნდა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 9 თვე უნდა ჩაეთვალოს პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

ლ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს 2012 წლის 10 თებერვლიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე, 314-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ლ. გ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 8 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 5 წელი და 3 თვე.

ლ. გ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 4 წელი და 6 თვე განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 9 თვე – ჩაეთვალოს პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

ლ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს 2012 წლის 10 თებერვლიდან.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (ნაწილობრივი შეპირება)

განაჩენი
საქართველოს სახალხით

№65-აპ-13

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ბ. ალავიძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 4 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით მ. თ-ე, ნასამართლობის მქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მისთვის ინკრიმინირებულ, მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (რ. ბ-ის ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ა. ჯ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (შ. გ-ის ეპიზოდი) – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელს – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, ნაწილობრივ შეკრების პრინციპით, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული 6 წლით თავისუფლების აღკვეთიდან დაემატა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული 8 წლით თავისუფლების აღკვეთიდან, ასევე ნაწილობრივ შეკრების პრინციპით, დაემატა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მ. თ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საბოლოოდ დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა მ. თ-ეს დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 11 მარტიდან.

მ. თ-ეს აღნიშნული განაჩენით მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, ძალადობით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, დიდი ოდენობით (დაზარალებულ რ. ბ-ის ეპიზოდი);

მანვე ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის (დაზარალებულ ა. ჯ-ის ეპიზოდი);

მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის (დაზარალებულ შ. გ-ის ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. თ-ე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 105-ე მუხლით, 17,150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის პერიოდში ჩადენილი დანაშაულებისათვის მ. თ-ე 2002 წლის 9 ოქტომბერს რუსთავის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 19, 379-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა – 6 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა. ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 5 იანვრის განაჩენით მ. თ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით, 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა – 6 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელის მოხდისაგან იგი გათავისუფლდა 2011 წლის 19 ივლისს.

2012 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 09.20 საათზე, მ. თ-ე თანამონაწილე, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად მივიდა თბილისში, მ-ის გამზირზე, პირველი კომპლექსის კორპუსი №..., ბინა ...-ში მცხოვრებ რ. ბ-ესთან, მოატყუეს იგი, რომ თითქოსდა იყვნენ მისი ვაჟიშვილის – ბ. თ-ის მეგობრები, კარი გააღებინეს, რის შემდეგაც უკანონოდ შეაღწიეს ბინაში და ძალადობის გამოყენებითა და მუქარით მოსთხოვეს ფული. წინასწარ მომზადებული ნებოვანი ლენცის საშუალებით მათ რ. ბ-ეს ხელები შეუკრეს, პირი აუხვიეს და მუშტის რამდენჯერმე ჩარტყმით მიაყენეს ქალა-ტვინის ტრავმა და სხეულის ზოგადი დაუყუჩებლობები, დაზიანებები მარცხენა წინა მხრის არეში სისხლნაჟღერების სახით. საძინებელ ოთახში მდგარ კარადაში მათ იპოვეს ფული, რომელიც შეხვეული იყო ე.წ. „ცელოფნის პარკში“. სახლიდან გასვლის წინ მ. თ-ემ და მისმა თანამზრახველებმა ელასტიკური თეთრი ბინტით რ. ბ-ეს შეუკრეს ფეხებიც და აშკარად გაიტაცეს – 59 500 ლარი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ამ დანაშაულებრივი ქმედებით მათ დაზარალებულს მიაყენეს დიდი ოდენობით ზიანი.

2012 წლის 17 თებერვალს, დაახლოებით 00.30 საათზე, მ. თ-ემ, თ. მ-მა და გ. მ-მა წინასწარი შეთანხმებით თბილისში, კ-ის ქუჩაზე, გააჩერეს თეთრი ფერის „მერსედეს-ბენცის“ ფირმის ავტომანქანა, სანომრე ნიშნით ..., რომელსაც მართავდა ა. ჯ-ი და მოელაპარაკნენ, მიეყვანა ისინი მეტრომშენის დასახლებაში. მითითებულ მისამართზე მიყვანის შემდეგ კი აშკარად დაუფლნენ ა. ჯ-ის კუთვნილ 12 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2012 წლის 17 თებერვალს, დაახლოებით 01.00 საათზე, მ. თ-ემ, თ. მ-მა და დ. თ-მა თბილისში, მეტროს სადგურ „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასწარი შეთანხმებით გააჩერეს „რენოს“ მარკის, №... ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შ. გ-ი, შეუთანხმდნენ მას მგზავრობის საფასურზე, რის შემდეგაც შ. გ-მა ისინი მიიყვანა თბილისში, მ-ის გამზირზე, მე-... კვარტლის პირველი კომპლექსის მე-... კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც მ. თ-ემ ტაქსის მძღოლ შ. გ-ს ზურგზე საგანი მიადო, რომელიც მან იარაღად აღიქვა. მანქანის მძღოლს მათ მუქარით მოსთხოვეს ფული და სხვა ფასეულობა, რაც თან გააჩ-

ნდა, რის შემდეგაც დაეუფლნენ დაზარალებულის კუთვნილ 45 ლარს, ოქროს ჯაჭვს და ჯვარს, ღირებულს – 250 ლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულმა მ. თ-ემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და მოითხოვა გაართლება.

სააპელაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 4 მარტის განაჩენით საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიტანა ცვლილება, კერძოდ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლისა და 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მ. თ-ეს თითოეულ ეპიზოდში განაჩენით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა:

სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (რ. ბ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ა. ჯ-ის ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (შ. გ-ის ეპიზოდი) – 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, კერძოდ: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 1/4-ით შემცირებულ სასჯელს – 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთას – სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებული სასჯელიდან – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან – ნაწილობრივ დაემატა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებული სასჯელიდან – 6 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – ნაწილობრივ დაემატა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, მ. თ-ეს განესაზღვრა – 12 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადის ათვლა მ. თ-ეს დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 11 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა მ. თ-ემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მის მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონოა, შესაბამისად, იგი ითხოვს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ მ. თ-ის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე, საპროცესო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოკვლეულ და შეფასებულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლითაც ეჭვის გამომრიცხავად და უტყუარად არის დადგენილი მ. თ-ის მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა, კერძოდ: დაზარალებულ რ. ბ-ის ჩვენებითა და მის მიერ მ. თ-ის ამოცნობის ოქმით, დაზარალებულ შ. გ-ის, დაზარალებულ ა. ჯ-ის ჩვენებებით, მოწმეების: დ. თ-ის, თ. მ-ის, ე. გ-ის, ზ. ი-ის, ვ. ნ-ის, ნ. ფ-ის, ბო., ბ. და ს. თ-ის, ჯ. ი-ის, ვ. მ-ის, ვ. ქ-ის, ნ. ნ-ის ჩვენებებით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის №..., №..., №... დასკვნებით, რომელთა თანახმადაც დადგენილია, რომ დაზარალებულ შ. გ-ზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულ ა. ჯ-ის ძარცვის ფაქტთან დაკავშირებით, ასევე დაზარალებულ რ. ბ-ის ძარცვის ფაქტთან დაკავშირებით ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები იდენტურია მ. თ-ისაგან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშებისა, ავტომანქანებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, საგამოძიებო ექსპერიმენტების ოქმებით, პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე, დ. თ-ისა და თ. მ-ის მიმართ დადგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენით, მ. თ-ის ნასამართლობის დამადასტურებელ განაჩენთა ასლებით, ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმითა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილი სტანდარტებით დადგენილად მიაჩნია, რომ მ. თ-ემ ჩაიდინა მისთვის ინკრიმინირებული ქმედებები და საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად გააგრძელა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი მსჯავრდებულ მ. თ-ის მიმართ და

აღნიშნული კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 1/4-ით შეუმცირა მას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით თითოეული ეპიზოდისათვის დადგენილი სასჯელი.

ამასთან, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დანაშაულთა ერთობლიობით მ. თ-ის სასჯელი დაუნიშნეს ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალი რედაქციით, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 2013 წლის 14 მაისიდან, კერძოდ, სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-3 ნაწილით დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნისას დაშვებულია სასჯელთა როგორც შთანთქმის, ასევე ნაწილობრივი ან მთლიანი შეკრების პრინციპი, რაც შესაძლებელს ხდის, რომ კანონით დაშვებული ალტერნატივებიდან სასამართლომ თავისი შეხედულებით, მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების, ჩადენილი ქმედებების სიმძიმის, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგებისა და ქმედებათა რეციდიული ბუნების გამო, თავისი შეფასებით განსაზღვროს საბოლოო სასჯელის ზომა – მიზანშეწონილად მიჩნეული ალტერნატივებიდან გამოიყენოს ერთ-ერთი პრინციპი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ საქმეზე მ. თ-ის სააპელაციო სასამართლომ დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, სამართლიანად განუსაზღვრა საბოლოო სასჯელი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად; ამასთან, იურიდიული თვალსაზრისით, საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, იგი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალ რედაქციასთან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 414-ე მუხლის მე-8 ნაწილით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოდ გამო არ დაკმაყოფილდეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 4 მარტის განაჩენში მ. თ-ის მიმართ:

მ. თ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო, ბრალულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (რ. ბ-ის ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ა. ჯ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (შ. გ-ის ეპიზოდი) – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის (ახალი რედაქცია) მე-3 ნაწილის თანახმად, დაწინაურებული სასჯელები შეიკრიბოს ნაწილობრივ, კერძოდ: მ. თ-ის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაწინაურებული სასჯელს – 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთას, ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაწინაურებული 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან დაემატოს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაწინაურებული 6 წლით თავისუფლების აღკვეთიდან დაემატოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მ. თ-ეს განესაზღვროს – 12 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მ. თ-ის დაწინაურებული სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 11 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 4 მარტის განაჩენი მ. თ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით (ნაწილობრივი შეპირება)

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№86-აპ-13

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ბ. ალავეიძე,

გ. შველიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – გ. ო-ისა და დ. გ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით გ. ო-ე, ნასამართლობის მქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და გ. ო-ეს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განაჩენით სსკ-ის 19,177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთლიანად დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ო-ეს განესაზღვრა – 8 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა გ. ო-ეს დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 26 მარტიდან.

დ. გ-ი, ნასამართლობის მქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთლიანად დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. გ-ს განესაზღვრა – 9 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დ. გ-ს დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 25 მარტიდან.

ლ. ა-ი, ნასამართლობის მქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მასვე, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა ამავე კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით ლ. ა-ს განესაზღვრა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ივნისის განაჩენით სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა – მთლიანად დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ა-ს განესაზღვრა – 12 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. ა-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 25 მარტიდან.

რ. ა-ე, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, რ. ა-ეს განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. ა-ეს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 1 აპრილიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები ჩამოერთვა 5 წლით.

განაჩენით გ. ო-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში: მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, რასაც ასევე უკანონოდ ატარებდა. 2012 წლის 25 მარტს გ. ო-ე პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქ. გორში და პირადი ჩხრეკისას მისგან ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 30 საბრძოლო ვაზნით.

დ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში: მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, რასაც ასევე უკანონოდ ატარებდა. 2012 წლის 25 მარტს დ. გ-ი პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქ. გორში, ...ის ქუჩაზე, რა დროსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა და მისგან ამოიღეს გადაჭრილი სანადირო თოფი ლულაში მოთავსებული ვაზნით. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით გადაჭრილი თოფი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას.

ლ. ა-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ასევე ტარება და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა.

რ. ა-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა – შენახვა და ტარება, ასევე ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულებმა: გ. ო-ემ, დ. გ-მა, ლ. ა-მა და რ. ა-ემ სააპელაციო წესით გააასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, შესაბამისად, მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრების საფუძველზე მხარეთა მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 18 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ დ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მსჯავრდებულ გ. ო-ის საჩივრის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულების – ლ. ა-ისა და რ. ა-ის საჩივრის მოთხოვნები დააკმაყოფილა სრულად – ისინი უდანაშაულოდ და გამართლებულად ცნო ინკრიმინირებულ ქმედებებში.

კერძოდ, გ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, გ. ო-ეს განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, გ. ო-ე გათავისუფლდა გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განაჩენით სსკ-ის 19,177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის – 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთის – შემდგომი მოხდისაგან.

დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. გ-ს განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, დ. გ-ი გათავისუფლდა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის – 3 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთის – შემდგომი მოხდისაგან.

მსჯავრდებულებმა – გ. ო-ემ და დ. გ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საკასაციო საჩივრების თანახმად, დაკავებისას მათ არავითარი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები არ ჰქონიათ; პოლიციის განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება 2008 წელს ქ. გორში, ინტერნეტ-კაფესა და 2009 წელს მოქალაქე მ-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტებზე, საქმეზე დამნაშავე პირები დადგენილი არ იყო და მათი ნასამართლობიდან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომლებმა დაგეგმეს და განახორციელეს მათი უკანონო დაკავება იმ მიზეზით, რომ თითქმის შეძენილი ჰქონდათ და ატარებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს, რაც სიმაღლეს არ შეესაბამება, რის გამოც ბრალდება აღნიშნულთან დაკავშირებით მთლიანად ემყარება ხელოვნურად შექმნილ ფალსიფიცირებულ მტკიცებულებებს, რითაც ცდილობდნენ, დაედანაშაულებინათ ისინი ამ გაუხსნელ დანაშაულებებში, რაც მათ არ ჩაუდენიათ; აღნიშნული დადასტურდა საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას და სახელმწიფო ბრალმდებელმა თვითონ მოითხოვა ყაჩაღობების ნაწილში მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, თუმცა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ნაწილში, უტყუარ მტკიცებულებათა არარსებობის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და უკანონოდ დასდო მათ მსჯავრი; ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და სრულ გამართლებას.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბ. ქ-ამ საკასაციო საჩივრების შესაგებელში კასატორთა არგუმენტები არ გაიზიარა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის გასაჩივრებული განაჩენი მიიჩნია კანონიერად, დასაბუთებულად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით გ. ო-ისა და დ. გ-ის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების შესახებ საქმეზე შეკრებილ, სასამართლოს არსებით სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების რელევანტურობისა და უტყუარობის შესახებ გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ კასატორების არგუმენტები მათი დაკავების მოტივების, ჩატარებული პირადი ჩხრეკების, აღმოჩენილი და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ შედგენილი საგამოძიებო მოქმედებების შინაარსისა და შედეგების გამოძიების ორგანოების მხრიდან ფალსიფიცირების შესახებ გამყარებული არ არის რაიმე სახის მტკიცებულებებით და ეწინააღმდეგება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, მოწმეების: ს. ს-ის, გ. ს-ის, კ. კ-ის, ლ. თ-ის, ხ. თ-ის, მ. პ-ის ჩვენებებით უტყუარად და ეჭვის გამომრიცხავად არის დადგენილი, რომ 2012 წლის 26 მარტს ქ. გორში, ა-ის ქუჩაზე, ქვეითად მოსიარულე გ. ო-ეს დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას ქურთუკის შიგნით, მხარზე გადაკიდებული ჰქონდა და მისგან პოლიციელებმა ამოიღეს 1943 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრიანი „აკმ“ მოდელის ავტომატური იარაღი და 30 ცალი ვაზნა, რომელიც ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას, ხოლო ვაზნები წარმოადგენს საბრძოლო მასალას; შესაბამისად, ავტომატი ვარგისია სროლისათვის, ხოლო ვაზნები – გამოსაყენებლად. ასევე 2012 წლის 25 მარტს გორში, №... საჯარო სკოლასთან, ავტომატქანიდან გადმოსვლისა და გაქცევის მომენტში დაკავებულ დ. გ-ს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა და მისგან ამოღებულია ორლულიანი გადაჭრილი თოფი, ლულაში მოთავსებული ვაზნით, რომელიც ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, არის „ТОЗ-Б“ მოდელის 16 კალიბრიანი სანადირო თოფი. იგი ვარგისია სროლისათვის მარცხენა ლულისა და მის კონსტრუქციაში შეტანილი ცვლილებების გამო და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას, ხოლო ვაზნა ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგების სისწორე და რეალობა სასამართლო სხდომაზე თავის ჩვენებაში დაადასტურა მოწმედ დაკითხულმა ექსპერტ-ბალისტიკოსმა ა. ტ-ემ.

კასატორები საჩივრებში აპელირებენ დაცვის მოწმეების: გ. ქ-ის, გ. ხ-ის, მ. მ-ის, დ. ო-ის, ზ. ა-ის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებებზე და მიაჩნიათ, რომ ზემოხსენებული პირების ჩვენებები ადასტურებენ მათ უდანაშაულობას ინკრიმინირებულ ქმედებებში და სასამართლოს ისინი უნდა გაეთვალისწინებინა. ხოლო იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ ბრალდების მხარის მოწმეები არიან პოლიციის თანამშრომლები, მათი ჩვენებები და მათ მიერ საქმეზე შეკრებილი ფალსიფიცირებული მტკიცებულებები არ უნდა გაეთვალისწინებინა. კასატორების ამ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან დაცვის მხარეს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო სხდომებზე არ წარმოუდგენია პოლიციის თანამშრომლებისა და გამოძიების ორგანოების მიერ შეკრებილ მტკიცებულებათა კანონდარ-

ლევით მოპოვებისა და მათი ფალსიფიცირების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ხოლო დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებები არ წარმოადგენს და ვერ შეფასდება მსჯავრდებულთა უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად, რადგანაც გ. ო-ისა და დ. გ-ის უშუალო დაკავებისა და პირადი ჩხრეკის მომენტები მათ არ დაუნახავთ, შესაბამისად, ისინი ამ ფაქტების თვითმხილველებად ვერ ჩაითვლებიან და საკასაციო პალატა აღნიშნულ პირთა ჩვენებებს ვერ გაიზიარებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად, კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გაავრცელა გ. ო-სა და დ. გ-ზე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოქმედება.

ამასთან, 2013 წლის 14 მაისიდან სამოქმედოდ მიღებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილი, სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-3 ნაწილისა და ამავე კანონით სსკ-ის 414-ე მუხლზე დამატებული მე-8 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას კანონით გათვალისწინებული ალტერნატივებიდან სასამართლო უფლებამოსილია, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის, მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელი დანიშნოს ერთ-ერთი, რომელიმე პრინციპის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დ. გ-თან მიმართებით პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, საბოლოო სასჯელი დაადგინოს ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენებით, ხოლო გ. ო-სთან მიმართებით პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მას პირველი ნასამართლობა აქვს არასრულწლოვანების ასაკში (გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 მარტის განაჩენი) ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დასადგენად მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რის გამოც მას საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს ახალი რედაქციის სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში კი კანონი იმპერატიულად ადგენს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებას. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში გ. ო-ის მიმართ ეს პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული და შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განაჩენში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ო-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ დ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განაჩენში მსჯავრდებულთა სასიკეთოდ, კერძოდ:

აღნიშნული განაჩენით გ. ო-ის მიმართ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებული და საბოლოოდ დანიშნული სასჯელი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა – შთანთქმას მის მიმართ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებულმა და საბოლოოდ დანიშნულმა სასჯელმა – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ და საბოლოოდ გ. ო-ეს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა გ. ო-ეს დაეწიოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 26 მარტიდან.

დ. გ-ის მიმართ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებული და საბოლოოდ დანიშნული სასჯელიდან – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან, ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა დაემატოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებულ და საბოლოოდ დანიშნულ სასჯელს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთას და საბოლოოდ დ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დ. გ-ს დაეწიოს დაკავებიდან – 2012 წლის 25 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№73-აპ-13

24 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – ნ. ო-ს, ა. კ-ს, ლ. გ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 ივლისის განაჩენით:

ლ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ლ. გ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 9 წლითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 28 წლითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის და 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენით ა. კ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 1 თვის ვადით და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა – პირობით და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ა. კ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან – 15 წელი და 1 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი – 2 წელი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალია პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის და 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ნ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის და 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს სსკ-ის 260-ე და 273-ე მუხლებით მსჯავრდებულმა ლ. გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 17,6414 გრამი და ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“, წონით 0,44 გრამი.

ლ. გ-ე ნაცნობ გ. გ-ს მეშვეობით, რომელიც მოქმედებდა გამოძიების ინტერესებით, დაუკავშირდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებს და განუმარტა, რომ გარკვეულ ადგილზე ინახავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას. ლ. გ-მ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელ გ. კ-ს შესთავაზა, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების გამოყენებით, პოლიციის მეშვეობით, მომხდარიყო რომელიმე პირის დაკავება, რაც მას ჩათვლებოდა სამართლდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაში და დაეხმარებოდა მოსახდელი სასჯელის შემსუბუქებაში.

ლ. გ-მ ნარკოტიკული საშუალების ნაწილი – 0,0074 გრამი ჰეროინი გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში გადასცა ნათესავს – ქ. ზ-ი მცხოვრებ ა. კ-ს. 2011 წლის 30 ივნისს ა. კ-მ, ლ. გ-ს მითითებით, აღნიშნული ნარკოტიკი დაბა სურამში გაასალა გამოძიების ინტერესებით მოქმედ გ. გ-ე.

დანაშაულებრივ ჯგუფში შესაბამისი ლეგენდირებით მოქმედ გ. გ-ს კვლავ დაუკავშირდა ქ. რუსთავის №2 დაწესებულებაში მყოფი ლ. გ-ე და უთხრა, რომ შეხვედბოდა მისი ნაცნობი და გადასცემდა დაპირებული ნარკოტიკის ნაწილს.

2011 წლის 13 აგვისტოს გელა გელაშვილს, ლ. გ-ს ინიციატივით, მობილურით დაურეკა გამოძიებით დაუდგენელმა მამაკაცმა, რომელმაც ქ. რ-ი, თ-ს ქ. №2-ში მდებარე წითელი აგურის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, დატოვა ლ. გ-ს მიერ გამოგზავნილი „ჰეროინი“, წონით 16,994 გრამი.

ლ. გ-მ ნარკოტიკული საშუალების გარკვეული ნაწილი გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შესანახად გადასცა ნაცნობს – ქ. რ-ი მცხოვრებ ნ. ო-ს.

2011 წლის 22 დეკემბერს დანაშაულებრივ ჯგუფში შესაბამისი ლეგენდირებით ჩანერგილ თანამშრომელ გ. კ-ს ქ. რუსთავის №2 დაწესებულებიდან დაურეკა ლ. გ-მ და უთხრა, რომ დაუკავშირდებოდა მისი ნაცნობი და გადასცემდა დაპირებულ ნარკოტიკს.

2011 წლის 23 დეკემბერს ლ. გ-ე ასევე რუსთავის №2 დაწესებულების პატიმრის – ზ. კ-ს მეშვეობით დაუკავშირდა ამ უკანასკნელის მეგობარ თ. ბ-ს და სთხოვა ნ. ო-ნ შეხვედრა, ისე, რომ თ. ბ-მ და ზ. კ-მ არაფერი იცოდნენ მისი დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ.

იმავ დღეს ნ. ო-ე შეხვდა თ. ბ-ს, რა დროსაც მასზე უკანონოდ გაასალა ლ. გ-ნ უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“, წონით 0,64 გრამი და ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“, წონით 0,44 გრამი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ლ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ლ. გ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლითა და 3 თვით.

ლ. გ-ე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად აღნიშნულ განაჩენზე დამატებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის – 9 წლისა და 25 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან და ლ. გ-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 10 ივლისიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის და 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ლ. გ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა და დაემატა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 9 თვითა და 22 დღით. ასევე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა ამავე განაჩენით დამატებული 2 წელი – პირობითი მსჯავრი და 3 წელი – საგამოცდო ვადა და საბოლოოდ ა. კ-ს განესაზღვრა 11 წლით, 3 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, 1 წელი და 6 თვე – პირობითი მსჯავრი, 2 წლისა და 3 თვის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 10 ივლისიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის და 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ნ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ერთი მესამედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი – 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. ნ. ო-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 25 დეკემბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის და 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგი-

ურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებული ნ. ო-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებული ა. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებული ლ. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულთა საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. კ-ს სასიკეთოდ, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში საჩივრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივით გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ კასატორთა არგუმენტები მათი უდანაშაულობის შესახებ მტკიცებულებებით საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად და ობიექტურად გამოიკვლია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, დაკითხა მოწმეები: გ. გ-ი, გ. კ-ე, თ. ბ-ა, ზ. კ-ე, ლ. ჭ-ე, გამოიკვლია თ. ბ-ს მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ლ. გ-ს მიერ სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გ. გ-ს გამოგზავნილი წერილი, აღნიშნულ წერილთან მიმართებით ჩატარებული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, ნივთმტკიცებათა ამოღების ოქმები, საქმეზე დანიშნული და ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების ამსახველი ვიდეო და აუდიოჩანაწერები, სატელეფონო საუბრების კრებები, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები, შეამოწმა ისინი საქმის გარემოებებთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით და დადგენილად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს მათთვის ინკრიმინირებული ქმედებები, კერძოდ: ლ. გ-მ, რომელიც სასჯელს იხდიდა საქართველოს სსკ-ის 260-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სასჯელის შემსუბუქების მიზნით გადაწყვიტა, ეთანამშრომლა გამოძიების ორგანოებთან, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა მის მიერ გადანახული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ამოღება და სხვა დამნაშავე პირების მხილება.

ამ მიზნით, ლ. გ-ე თავისი ნაცნობის – გ. გ-ს მეშვეობით, რომელიც მოქმედებდა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაუკავშირდა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელ გ. კ-ს.

ლ. გ-ე, რომელსაც გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ქ. ზ-ი მცხოვრებ თავისი ნათესავის – ა. კ-ს გადაცემული ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, დაუკავშირდა ამ უკანასკნელს და ა. კ-მ, მისი მითითებით, 2011 წლის 30 ივნისს დ. ს-ი ჩამოიტანა და გ. გ-ე გაასალა 0,0074 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

დანაშაულებრივ ჯგუფში ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობისათვის ჩანერგილ გ. გ-ს ქ. რ-ს №2 დაწესებულებიდან კვლავ დაუკავშირდა ლ. გ-ე და უთხრა, რომ მას შეხვდებოდა მისი ნაცნობი და გადასცემდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას; 2011 წლის 13 აგვისტოს გ. გ-ს ლ. გ-ს სახელით დაურეკა დაუდგენელმა მამაკაცმა და აცნობა, რომ ქ. რ-ი, თ-ს ქუჩის №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, წითელი აგურის ნაგებობასთან ახლოს, სამალავში, ლ. გ-ს მითითებით, მან დატოვა ნარკოტიკული საშუალება, რაც რეალური აღმოჩნდა და მითითებული ადგილიდან პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს 16,994 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

2011 წლის 22 დეკემბერს სასჯელალსრულების დაწესებულებიდან ლ. გ-მ დაურეკა დანაშაულებრივ ჯგუფში ჩანერგილ თანამშრომელ გ. კ-ს და უთხრა, რომ მას გადასცემდნენ მოთხოვნილ ნარკოტიკულ საშუალებას. პარალელურად ლ. გ-ე რუსთავის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი თავისი მეგობრის – მსჯავრდებულ ზ. კ-ს მეშვეობით დაუკავშირდა ამ უკანასკნელის მეგობარ თ. ბ-ს და სთხოვა შეხვედროდა მის ნათესავს – ნ. ო-ს, რომელიც მას გადასცემდა ნივთიერებას, რაც შემდეგ უნდა გადაეცა მისთვის. 2011 წლის 23 დეკემბერს თ. ბ-ა შეხვდა ნ. ო-ს, რომელმაც მას გადასცა ნივთიერება, რაც ამოღებულ იქნა თ. ბ-ნ და აღმოჩნდა 0,64 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 0,44 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“.

თ. ბ-ს ჩვენების გადამოწმებით დადგინდა ნ. ო-ს პიროვნება და საცხოვრებელი ადგილი.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტების საჩივრების საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე, შეაფასა გამოკვლეული მტკიცებულებები და 2013 წლის 7 მარტის განაჩენით საჩივრის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა საქმეზე დაადგინეს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი, დანიშნული სასჯელი კი ჩადენილი ქმედებების სიმძიმის ადეკვატურია და არ არსებობს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მსჯავრდებულების – ნ. ო-ს,

ლ. გ-ა და ა. კ-ს სასიკეთოდ გასაჩივრებულ განაჩენში შეიტანა შესაბამისი ცვლილებები, ამასთან, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაჩენთა ერთობლიობით ა. კ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ მუხლის ახალი რედაქციით დაწესებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი ახალი რედაქციის სსკ-ის 59-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – ნ. ო-ს, ლ. გ-ა და ა. კ-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი, ახალი რედაქციის სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განაჩენში მსჯავრდებულ ა. კ-ს სასიკეთოდ შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად საბოლოოდ დანიშნულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 7 წლისა და 6 თვის ვადით – შთანთქმოს წინა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად საბოლოოდ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით, 9 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, 1 წელი და 6 თვე – პირობითი მსჯავრი, 2 წლისა და 3 თვის გამოსაცდელი ვადით და საბოლოოდ ა. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს 2012 წლის 10 ივლისიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№121-აგ-13

30 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ბ. ალავეიძე,

მ. ომხარელი

განიხილა მსჯავრდებულ ს. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენით ს. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 6 თებერვლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 თებერვლის განაჩენით ს. ჯ-ეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წელი, 4 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 თებერვლიდან.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 სექტემბრის განაჩენით ს. ჯ-ის ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ს. ჯ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 6 თვე, 4 დღე და საბოლოოდ მიესაჯა 8 წლით, 9 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 თებერვლიდან.

აღნიშნული განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განჩინებით დარჩა უცვლელად.

2013 წლის 14 მაისს მსჯავრდებულმა ს. ჯ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესული ცვლილების გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ს. ჯ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: ს. ჯ-ისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულ და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულ სასჯელს – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელიდან – 1 წელი, 9 თვე და ს. ჯ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 თებერვლის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ს. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენის გაუქმებას, ახალი განაჩენით სასჯელის დადგენას შთანთქმის პრინციპის გამოყენებით და განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნვისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების შემთხვევაში – ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელების ნაწილობრივ ან სრულად შეკრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ს. ჯ-ემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები) ჩაიდინა 2006 წლის 10 აპრილს, ანუ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენის გამოტანამდე. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ ს. ჯ-ე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისას იყო ნასამართლობის არმქონე.

ამდენად, ს. ჯ-ეს საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 სექტემბრის განაჩენით დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ს. ჯ-ეს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა აეთვალოს 2007 წლის 2 თებერვლიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2006 წლის 6 თებერვლიდან 2007 წლის 2 თებერვლამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

ს. ჯ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 სექტემბრის განაჩენით დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ს. ჯ-ეს სასჯელის სახით განესაზღვროს 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2007 წლის 2 თებერვლიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2006 წლის 6 თებერვლიდან 2007 წლის 2 თებერვლამდე.

მსჯავრდებულ ს. ჯ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით (შთანთქმის პრინციპი)

განაჩენი საქართველოს სახელით

№334-აგ-13

4 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ი. ი-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აგვისტოს განაჩენით ი. ი-ე დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენით ი. ი-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 5 წლით, ხოლო 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3500 ლარი. დანაშაულთა ერთობლიობით ი. ი-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3500 ლარი.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აგვისტოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 დეკემბრის დადგენილებით ი. ი-ეს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 13 წლით, 7 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 24 დეკემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ი. ი-ეს ერთი მესამედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით, 7 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა.

2013 წლის 20 მაისს მსჯავრდებულმა ი. ი-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესული ცვლილების გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ი. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულ და ამნისტიის აქტის საფუძველზე შემცირებულ სასჯელს – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიის აქტის საფუძველზე შემცირებული სასჯელებიდან, შესაბამისად – 1 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ი. ი-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 24 დეკემბრიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენი და 2013 წლის 10 მაისის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. ი-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ივნისის განაჩენის გაუქმებას და ახალი განაჩენით სასჯელის განსაზღვრას შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების შემთხვევაში – ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელების ნაწილობრივ ან სრულად შეკრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ი. ი-ემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენით ბრალად შეარცხული ქმედებები (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) ჩაიდინა 2006 წლის 17 და 21 დეკემბერს, ანუ თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გამოტანამდე. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ ი. ი-ე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენი) და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისას იყო ნასამართლობის არმქონე.

ამდენად, ი. ი-ეს საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას ამავე განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი – 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ი. ი-ეს ძირითადი სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა აეთვალოს 2007 წლის 4 ოქტომბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ი-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

ი. ი-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას ამავე განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი – 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ი. ი-ეს ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვროს 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2007 წლის 4 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებული ი. ი-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით (ნაწილობრივი შეკრება)

განაჩენი

საქართველოს სახელმწიფო

№92-აპ-13

9 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა კ. ფ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით კ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – პირობითი მსჯავრი – 4 წელი, 7 თვე და 10 დღე, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაემატა დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით, 7 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა. კ. ფ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 8 აპრილიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ი. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 7 აპრილიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ი. ბ-ე გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 9 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მასვე აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოერთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

გასაჩივრებული განაჩენით კ. ფ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით კ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების საფუძველზე ნაწილობრივ შეიკრიბა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ მას განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63–64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. კ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალი პატიმრობაში ყოფნის დრო – 2006 წლის 1 აგვისტოდან 2006 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით, 2 თვე და 23 დღე.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41–42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის განაჩენით კ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა – 30000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნულ სას-

ჯელს, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სას-
ჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით, 9 თვითა და 7 დღით
თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამო-
საცდელი ვადით და ჯარიმა – 30000 ლარი. კ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფ-
ნის დრო – 2010 წლის 3 თებერვლიდან 2010 წლის 30 მარტის ჩათვლით.

კ. ფ-ა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდე-
ნობით – 0,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რასაც 2012 წლის 8 აპრილამდე უკანო-
ნოდ ინახავდა თავის სამსახურებრივ ოფისში (თ-ი, ო-ს ქ. №-ში პროფილაქტიკის ტერიტორიაზე მდებარე
საბურავების ფარდულში).

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2013 წლის 12 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

კ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და
მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართვე-
ლოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლითა და 9
თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე კ. ფ-ი
გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 260-ე
მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე კ. ფ-ი
გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 236-ე
მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე კ. ფ-
ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა ერ-
თი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით კ. ფ-ს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც
ჩათვლილი აქვს პირობითად.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განაჩენით კ. ფ-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელი
ჯარიმა – 30000 ლარი დარჩა უცვლელად. საბოლოოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30
მარტის განაჩენით კ. ფ-ს „ამნისტიის შესახებ“ კანონის თანახმად, განესაზღვრა 2 წლით, 9 თვითა და 7
დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილი აქვს პირობითად და ჯარიმა – 30000 ლარი;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის
30 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი და ამნისტიის აქტის საფუძველზე შემცირებული
ნაწილი – პირობითი მსჯავრი 2 წელი, 9 თვე და 7 დღე, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,
დაემატა დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ კ. ფ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით, 6 თვითა და 7
დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 8 აპრილიდან. მასვე სასჯელის
მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 3 თებერვლიდან 2010 წლის 30 მარტის
ჩათვლით.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამი-
სად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და
საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის,
სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური
საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებული კ. ფ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და
მიაჩნია, რომ უსაფუძვლოდ გამო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ
განაჩენში „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის სა-
ქართველოს კანონის შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განაჩენში სააპელაციო სა-
ჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ კ.
ფ-ს ბრალეულობა ეჭვის გამოძირიცხავდა და უტყუარად არის დადგენილი საქმის არსებითი განხილვის სა-
სამართლო სხდომაზე გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

პალატა აღნიშნავს, რომ საჩივარში კასატორი აპელირებს სასამართლო სხდომაზე პროკურორის მიერ
წარმოდგენილი ბრალის ახალ ფორმულირებაზე და მას მიიჩნევს თავისი უდანაშაულობის ერთ-ერთ მტკი-
ცებულებად, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან პროკურორის მხრიდან კ. ფ-ს მიმართ
სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ბრალის ახალი ფორმულირებიდან ნარკოტიკული საშუალების
გასაღებაზე მითითების ამორიცხვა განპირობებული იყო ბრალდების ამ ნაწილში მხოლოდ ერთი მამხილე-
ბელი მტკიცებულების, ბრალდებულ ი. ბ-ს ჩვენების, არსებობით. მის გარდა სხვა მტკიცებულებები არ არ-
სებობდა, რაც დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით არ არის საკმარისი ნარკოტიკული საშუალების

გასაღებაში პირის დამნაშავედ ცნობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მიერ ქმედების სამართლებრივად სწორად დაკვალიფიცირება და დაზუსტება არ ნიშნავს ბრალდების ფორმულირების დანარჩენ ნაწილებში მტკიცებულების არარსებობას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე. პალატის მოსაზრებით, კ. ფ-ს ბრალეულობა ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში საქმეზე უტყუარად არის დადგენილი ურთიერთშეჯერებულ, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ:

მონმედ დაკითხული, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებლის თ. ა-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის აპრილში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულმა ი. ბ-მ განმარტა, რომ ნარკოტიკულ საშუალებას იძენდა კ. ფ-ნ.

ი. ბ-ს მიერ კ. ფ-ნ ნარკოტიკული საშუალების შეძენის შესახებ მოწოდებული ეს ინფორმაცია თავიანთ ჩვენებებში სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მონმედ დაკითხულმა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა – ჯ. ბ-ა და მ. ნ-ა, რომლებიც მონაწილეობდნენ ი. ბ-ს დაკავებასთან დაკავშირებულ საგამომძიებო მოქმედებებში.

მონმედ დაკითხული, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები: დ. ჯ-ს, გ. ე-ა და დ. დ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ ი. ბ-ს ჩვენების საფუძველზე დააკავეს კ. ფ-ი, რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, ასევე ჩატარდა მისი საცხოვრებელი ბინისა და ავტოპროფილაქტიკაში მდებარე სამუშაო ოთახის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს პრეპარატ „სუბოტექსის“ ოთხი ცალი ფირფიტა, ასეთივე ფირფიტა შიგთავსის გარეშე აღმოჩენილ იქნა სამუშაო ოთახის გარე კედელთან დადებულ საბურავში.

მონმედებმა – რ. და კ. ჯ-ა სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებებში განმარტეს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მათი მონაწილეობით ჩაატარეს კ. ფ-ს სამუშაო ადგილის ჩხრეკა და დაადასტურეს ჩხრეკის შედეგების რეალობა. სამუშაო ადგილის ჩხრეკა ჩატარდა კ. ფ-ს მონაწილეობით.

მონმედ თ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ №16 პროფილაქტიკაში, რომელიც მდებარეობს ორხევში, მუშაობდა კ. ფ-ნ. აღნიშნულ პროფილაქტიკაში კ. ფ-ს მოწყობილი ჰქონდა მცირე ზომის ოთახი, რომელიც იკავებდა გასაღებით და მის გარეშე იქ ვერავინ შედიოდა. საქმეზე დანიშნული და ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის № – დასკვნით დადგენილია, რომ კ. ფ-ს სამუშაო მაგიდიდან ჩხრეკისას ამოიღეს ოთხ ცალ კონვალუტაზე განთავსებული 25 აბი, თითოეულზე ქარხნული ლოგოთი „ბმ“, რაც წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინის“ შემცველ აბებს, თითოეული აბი შეიცავს 0,008 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინის“, რომლის მთლიანი შემადგენლობა 25 აბში წონით შეადგენს – 0,2 გრამს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნული სასჯელისაგან მისი სრული გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით კ. ფ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა არაერთგზის; მანვე ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება არაერთგზის; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, ანუ დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი კი დაემატა კ. ფ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მის მიმართ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნულ საბოლოო სასჯელს, შესაბამისად, იგი ადრე ნასამართლევია განზრახვი დანაშაულისათვის, რომელიც კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის კონკრეტული მუხლით, რაც გასაღების ნიშნის მატარებელი იყო და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მასზე აღნიშნული კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის კასატორის არგუმენტები იმის შესახებ, რომ გამოძიების მიმდინარეობისას მის მიმართ პოლიციელები იყენებდნენ ძალადობას და სხვადასხვა უკანონობას, აღნიშნულის დამადასტურებელი მასალები დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია, საქმეს არ ერთვის და, შესაბამისად, პალატა მათ ვერ გაიზიარებს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განაჩენში სრულყოფილად არ იმსჯელა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მსჯავრდებულის მიმართ გავრცელების საკითხზე, რაც შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, ამასთან, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ალტერნატივებიდან განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დადგენისას, ამავე კანონით საქართველოს სსკ-ის 414-ე მუხლზე დამატებული მე-8 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, გამოყენებულ იქნეს, სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების პრინციპი, რომელთა საფუძველზე მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განაჩენში, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 და მე-8 მუხლების 1-ლი ნაწილის თანახმად, კ. ფ-ი უნდა გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დადგენილი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთისა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული განაჩენით კ. ფ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საბოლოო სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – განესაზღვრა იმ დროს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის წილი შეადგენდა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კ. ფ-ს 1/4-ით უნდა შემცირებოდა დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნილობრივად დანიშნული სასჯელი – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და, შესაბამისად, მას ამ მუხლით უნდა განესაზღვროს 1 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 2 თვე და 23 დღე (ხსენებულ საქმეზე განაჩენის დადგენამდე პატიმრობაში ყოფნის დრო) იმავე განაჩენით კ. ფ-ს ჩათვლილი აქვს მოხდილად, შესაბამისად, ეს ვადა უნდა გამოაკლდეს ამნისტიის აქტის შედგენის შემცირებული სასჯელის ვადას – 1 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთას და განესაზღვროს – 1 წლით, 7 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც დღეს მოქმედი რედაქციის სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელის ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნულ, 1/4-ით შემცირებულ სასჯელს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, უნდა განესაზღვროს – 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, იმავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად, ამნისტიის აქტის მოქმედება ვერ გავრცელდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით, დამატებითი სასჯელის სახით დანიშნულ ჯარიმაზე (10000 ლარზე) და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განაჩენით, ძირითად სასჯელად დანიშნულ ჯარიმაზე (30000 ლარზე).

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები კ. ფ-ს უნდა ჩამოერთვას 5 წლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-8, მე-16, მე-18 მუხლებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 414-ე მუხლის მე-8 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. ფ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-8, მე-16, მე-18 მუხლების, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

კ. ფ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე კ. ფ-ი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – შემდგომი მოხდისაგან;

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე კ. ფ-ი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის

23 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის – შემდგომი მოხდისაგან;

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე კ. ფ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ დანიშნული სასჯელიდან 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 1/4-ით შეუმცირდეს დანაშაულთა ერთობლიობაში სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის პროპორციული წილი – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც გამოაკლდეს იმავე განაჩენით სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვლილი 2 თვე და 23 დღე და 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით საბოლოოდ განესაზღვროს – 1 წლით, 7 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს პირობით 2 წლით, 7 თვითა და 22 დღის გამოსაცდელი ვადით;

სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის განაჩენზე დამატებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით კ. ფ-ს მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და აღნიშნული განაჩენით საბოლოოდ მოსახდელად დადგენილი სასჯელიდან – 1 წლით, 7 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთიდან – „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა დაემატოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, კ. ფ-ს განესაზღვროს – 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადაში კ. ფ-ს მოხდილად ჩაეთვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განაჩენით ხსენებულ საქმეზე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 3 თებერვლიდან 30 მარტის ჩათვლით.

მოსახდელი საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა კ. ფ-ს დაეწყოს დაკავებიდან – 2012 წლის 8 აპრილიდან.

კ. ფ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა – 10 000 ლარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განაჩენით ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმა – 30 000 ლარი დარჩეს უცვლელად.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები კ. ფ-ს ჩამოერთვას – 5 წლით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით (ნაწილობრივი შეკრება)

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№78-აგ-13

29 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ა. ზ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით ა. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდი) – 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთ მეოთხედით და განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდ) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთ მეოთხედით და განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და ა. ზ-ეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით – 6 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

ა. ზ-ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2008 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 5 მარტის ჩათვლით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განაჩენით ა. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით – 6 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, 5 წელი და 7 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი ჩაეთვალა პირობით;

საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 5 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი ჩაეთვალა პირობით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ა. ზ-ეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 6 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით ა. ზ-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და ახლად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, 2 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 3 წელი ჩაეთვალა პირობით და ა. ზ-ეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა – 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. ზ-ეს სასჯელის ვადა აეთვალა – 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2008 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 5 მარტის ჩათვლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განაჩენი ა. ზ-ის მსჯავრდების ნაწილში დარჩა უცვლელად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მარტის განჩინებით ა. ზ-ის მიმართ დანიშნულ სასჯელებზე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოქმედება და მას საბოლოო სასჯელის სახით მოსახდელად განესაზღვრა – 5 წლით, 5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 3 წელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

ა. ზ-ეს სასჯელის ვადა აეთვალა – 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2008 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 5 მარტის ჩათვლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განაჩენით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე, მსჯავრდებულ ა. ზ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა – 4 წლით, 2 თვითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი – 9 თვის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ორი ეპიზოდით) დანიშნული სასჯელიდან ნაწილი – 6 თვე და ა. ზ-ეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა – 4 წლით, 8 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი 9 თვე, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. ა. ზ-ეს სასჯელის ვადა აეთვალა – 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2008 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 5 მარტის ჩათვლით. განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. ზ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შთანთქმის პრინციპით დანიშვნას იმ მოტივით, რომ სასჯელების სრულად შეკრების შედეგად დაირღვა მისი კანონიერი უფლებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას – ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ სასჯელში იგულისხმება კონკრეტული მუხლის ნაწილით შერჩეული სახე და ზომა და არა – ამ სასჯელის რეალურად მოსახდელი ან პირობითი ჩათვლილი ნაწილი.

ამდენად, მსჯავრდებულ ა. ზ-ის მიმართ 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა სასჯელმა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას იმავე მუხლით (ბრალდების პირველი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც მას საბოლოოდ უნდა განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 7 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა უნდა განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 10 თვე და 24 დღე – ჩაეთვალოს პირობით.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლეთი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას“. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის...“.

იმის გათვალისწინებით, რომ ა. ზ-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები (2008 წლის 7 აპრილის განაჩენი) ჩადენილი აქვს არასრულწლოვანების ასაკში, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებთან მიმართებით სახეზე არ გვაქვს დანაშაულის რეციდივი. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სსკ-ის 178-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მიერ სსკ-ის 238¹-ე მუხლით დანიშნული სასჯელის შთანთქმასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნვისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს“.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელი დანიშნა ნაწილობრივი შეკრების წესით, კერძოდ: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელიდან ბოლო განაჩენით (2010 წლის 1 ივნისი) დანიშნულ სასჯელს დაუმატა მხოლოდ ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ზ-ის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის შთანთქმის წესით დანიშვნა აშკარად უსამართლო იქნება. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ა. ზ-ეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელიდან ნაწილი ჩათვლილი ჰქონდა პირობით. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულს 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან – 2 თვე და 12 დღე უნდა განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 3 თვე და 19 დღე ჩაეთვალოს პირობით.

ამდენად, ა. ზ-ის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ, ამნისტიით შემცირებულ და სააპელაციო სასამართლოს მიერ შთანთქმის პინციპით განსაზღვრულ სასჯელს – 4 წლით, 11 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთას, საიდანაც 4 წლით, 2 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრული აქვს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 9 თვე ჩაეთვალოს პირობით, უნდა დაემატოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული, ამნისტიით შემცირებული და შთანთქმის პრინციპით განსაზღვრული სასჯელიდან ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა (2 თვე და 12 დღე – სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელი და 3 თვე და 19 დღე – პირობითი მსჯავრი) და საბოლოოდ უნდა განესაზღვროს – 5 წლით, 5 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წლით, 4 თვითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა უნდა განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 19 დღე უნდა ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის, 3 თვისა და 19 დღის გამოსაცდელი ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის საიკეთოდ:

ა. ზ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდი) საბოლოოდ დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა სასჯელმა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დაენიშნოს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 7 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 10 თვე და 24 დღე – ჩაეთვალოს პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ა. ზ-ის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ, ამნისტიით შემცირებულ და შთანთქმის პრინციპით განსაზღვრულს სასჯელს – 4 წლით, 11 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთას – დაემატოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული, ამნისტიით შემცირებული და შთანთქმის პრინციპით განსაზღვრული სასჯელიდან ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა (2 თვე და 12 დღე – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელი და 3 თვე და 19 დღე – პირობითი მსჯავრი) და საბოლოოდ დაენიშნოს – 5 წლით, 5 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წლით, 4 თვითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 19 დღე ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის, 3 თვისა და 19 დღის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით (სრული შეკრება)

განაჩენი საქართველოს სასამართლო

№1105-აგ-13

25 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – თ. გ-ისა და გ. ნ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის განაჩენით გ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მესამედით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენით თ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 29 მარტიდან.

აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის განაჩენით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულებს – თ. გ-სა და გ. ნ-ეს შორის, რომლის მიხედვით: თ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი დაუდგინდა რეალურ ზომად; მსჯავრდებულს საბოლოოდ მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო – 2 წელი – ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით;

გ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/3-ით და განესაზღვრა 2-2 წლით, სულ – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; ამ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით განსაზღვრული ზომის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი დაუდგინდა რეალურ ზომად, ხოლო – 3 წელი – ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყო 2012 წლის 15 მაისიდან.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე თ. გ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული 3 წელი და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 9 თვე დაუდგინდა რეალურ ზომად, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით; მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული 3 წელი და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 9 თვე დაუდგინდა რეალურ ზომად, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით; მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული 3 წელი და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 9 თვე დაუდგინდა რეალურ ზომად, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით.

ვისუფლების აღკვეთა; თ. გ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელი დაუდგინდა რეალურ ზომად, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით, 2 წლისა და 3 თვის გამოსაცდელი ვადით; მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2012 წლის 15 მაისიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გ. ნ-ეს გაუნახევრდა წინა განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა პირობით, 2 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით; მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა ბოლო განაჩენით სსკ-ის 177-ე და მე-19, 177-ე მუხლებით დანიშნული 2-2 წელი და განესაზღვრა 1-1 წლითა და 6-6 თვით, სულ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 6 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; ამ სასჯელიდან მსჯავრდებულს 3 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით, 2 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით; გ. ნ-ეს სასჯელის ათვლა დაეწყო 2012 წლის 15 მაისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულების შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა და ეს გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული თ. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შთანთქმის პრინციპით დანიშვნას და საბოლოო ზომის 9 თვით შემცირებას იმ მოტივით, რომ უფრო მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს შეუმცირდათ სასჯელი.

მსჯავრდებული გ. ნ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შთანთქმის პრინციპით განსაზღვრას იმ მოტივით, რომ არასრულწლოვანია და მისი დანაშაულებრივი ქმედება არ წარმოადგენს რეციდივს; კასატორი ასევე ითხოვს პირობითი სასჯელისაგან გათავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მხოლოდ მსჯავრდებულ გ. ნ-ის მიმართ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების შემთხვევაში – ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელების ნაწილობრივ ან სრულად შეკრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში.

სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ნ-ე არასრულწლოვანია, რის გამოც მისი დანაშაულებრივი ქმედება არ წარმოადგენს რეციდივს. ამდენად, გ. ნ-ეს ბოლო განაჩენით დადგენილი დანაშაულისათვის სასჯელი უნდა განესაზღვროს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, კერძოდ: სსკ-ის 177-ე მუხლით დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულმა რეალურმა სასჯელმა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას მე-19, 177-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი, რის გამოც ბოლო განაჩენით გ. ნ-ეს უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულ გ. ნ-ეს ორივე განაჩენით სასჯელი განესაზღვრა საპროცესო შეთანხმების შედეგად, რის შემდეგ ეს სასჯელები შემცირდა ამნისტიის საფუძველზე. გ. ნ-ე აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანია, მაგრამ სწორედ ამის გამო მას სასჯელები შეუმცირდა ერთი მესამედით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ გ. ნ-ის მიმართ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის საბოლოო ზომის შთანთქმის პრინციპით დანიშვნა აშკარად უსამართლოა, რის გამოც მას საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი და 6 თვე უნდა განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – უნდა ჩაეთვალოს პირობით, 2 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

რაც შეეხება მსჯავრდებულ თ. გ-ეს, მას დანაშაულის რეციდივის პირობებში, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაეთვალა პირობით. საბოლოოდ, ამნისტიის გავრცელების შედეგად, თ. გ-ეს არაერთი მძიმე დანაშაულისათვის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით. ამ სასჯელის უფრო მეტად შემცირება, მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, აშკარად ლმობიერია, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი თ. გ-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გ. ნ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას ამავე განაჩენით სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული და ამავე ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი – 1 წელი, 6 თვე, რის გამოც ბოლო განაჩენით განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ გ. ნ-ეს განაჩენითა ერთობლიობით საბოლოოდ მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი და 6 თვე მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო – 1 წელი და 6 თვე – ჩეთვალოს პირობით, 2 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

მსჯავრდებულ გ. ნ-ეს სასჯელის ათვლა დაეწყოს 2012 წლის 15 მაისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – მსჯავრდებულ თ. გ-ის მიმართ, დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით (სრული შეკრება)

განაჩენი საქართველოს სახელით

№179-აგ-13

4 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. ო-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის განაჩენით გ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით ცვლილება შევიდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის განაჩენში, კერძოდ: გ. ო-ი, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 4 წელი ჩეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

გ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2006 წლის 24 თებერვლიდან 2006 წლის 26 თებერვლის ჩათვლით და სასჯელის ვადა აეთვალა 2007 წლის 11 ივნისიდან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის განაჩენით გ. ო-ი, – ნასამართლესი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ვადა შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ვადა შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რისი მოხდისგანაც თავისუფლდა „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე; 177-ე მუხლის მეცამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადა შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა; 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადა შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, გ. ო-ისათვის დანიშნული სასჯელები შეიკრიბა. ამასთან, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი, მის მიმართ დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 23 წლით, 3 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა და განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 19 მარტიდან.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ო-ის მიმართ დანიშნულ სასჯელზე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ო-ს გაუნახევრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით;

გ. ო-ი გათავისუფლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელისაგან;

მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გ. ო-ს გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; ასევე გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 3 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა – 1 წლით, 9 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, გ. ო-ს საბოლოოდ განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის, 9 თვისა და 11 დღის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 19 მარტიდან.

განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 20 მარტის განჩინებით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. ო-ს გაუნახევრდა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 3 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 1 წლით, 9 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ო-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით დანიშნულ საბოლოო სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 10 წლით, 9 თვითა და 11 დღით – დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 2 თვე და 4 დღე და მსჯავრდებულ გ. ო-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 11 წლით, 11 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 19 მარტიდან.

განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა გ. ო-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ო-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის დანიშვნას შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას“. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის...“.

იმის გათვალისწინებით, რომ გ. ო-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენი) ჩადენილი აქვს არასრულწლოვანების ასაკში – 2006 წელს, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენი) სახეზე არ გვაქვს დანაშაულის რეციდივი, ვინაიდან დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას – ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ო-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელი უნდა დაენიშნოს სასჯელთა შთანთქმის წესით, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა სასჯელმა – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 1 წლით, 9 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის შემდეგაც უნდა განესაზღვროს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს“.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ო-ის პიროვნული მახასიათებლების, ჩადენილი ქმედებების რაოდენობისა და სიმძიმის გათვალისწინებით, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის შთანთქმის ან ნაწილობრივი შეკრების წესით დანიშვნა აშკარად უსამართლო იქნება. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გ. ო-ის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას – მთლიანად უნდა დაემატოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით, 2 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს – 7 წლით, 11 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ო-ს სასჯელის ვადა უნდა აეთვალოს – 2008 წლის 19 მარტიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

და ა ა ღ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა სასჯელმა – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 1 წლით, 9 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა და გ. ო-ს განესაზღვროს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გ. ო-ის მიმართ ბოლო განაჩენით საბოლოოდ დანიშნულ სასჯელს – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას – მთლიანად დაემატოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით, 2 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს – 7 წლით, 11 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ო-ს სასჯელის ვადა აეთვალოს – 2008 წლის 19 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით (სრული შეკრება)

განაჩენი
საქართველოს სახელით

№299-აგ-13

4 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
მ. ოშხარელი

საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 მარტის განაჩენით დ. ო-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მესამედით და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით;

სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მესამედით და განესაზღვრა 3 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დ. ო-ს დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, დ. ო-ს სასჯელად განესაზღვრა 4 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი და 4 თვე. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი.

დ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 22 თებერვლიდან 2011 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და დ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი), სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი), სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შეკრების წესის გამოყენებით, დ. ო-ს სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 3 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დ. ო-ს განაჩენითა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 10 წლით, 3 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი, 3 თვე და 27 დღე – ჩაეთვალა პირობით, 3 წლის, 3 თვის და 27 დღის გამოსაცდელი ვადით.

დ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და თ. გ-ი, ნასამართლევი (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის განაჩენით მსჯავრდებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2.000 ლარი), ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი), სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 3 წლით;

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი) – 5 წლით;

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით, 11 თვით და 1 დღით თავისუფლების აღკვეთა – დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ თ. გ-ს სასჯელად განესაზღვრა 14 წლით, 11 თვით და 1 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 11 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი, 11 თვე და 1 დღე – ჩაეთვალა პირობით, 4 წლის, 11 თვის და 1 დღის გამოსაცდელი ვადით.

თ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 10 თებერვლის განჩინებით დ. ო-ი 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელისაგან;

მასვე იმავე კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე გაუნახევრდა სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 1 წლით და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც გამოაკლდა პატიმრობაში ყოფნის დრო და დ. ო-ს მოსახდელად განესაზღვრა 1 წლით, 7 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა;

მასვე 1/4-ით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენით სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

მასვე 1/4-ით შეუმცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შეკრების წესის გამოყენებით, დ. ო-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 6 წლით, 1 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი, 9 თვე და 11 დღე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი, 4 თვე და 16 დღე – ჩაეთვალა პირობით, 2 წლის და 3 თვის გამოსაცდელი ვადით.

დ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის ჯარიმის დაკისრების ნაწილში, დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 თებერვლის განჩინებით თ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე 1/4-ით შეუმცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებითა და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ მას სასჯელად განესაზღვრა: 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, 2 წელი, 11 თვე, 1 დღე – პირობითი მსჯავრი, 3 წლის, 11 თვისა და 1 დღის გამოსაცდელი ვადით.

თ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

2013 წლის 10 მაისს დ. ო-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონის საფუძველზე, ამავე კოდექსის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენით დაკმაყოფილდა დ. ო-ის შუამდგომლობა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 თებერვლის განჩინებაში შევიდა ცვლილება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენით დ. ო-ის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი) დანიშნულ და ამნისტიის აქტით შემცირებულ სასჯელს – 1 წლით და 8 თვით თავისუფლების აღკვეთას და 7 თვით პირობით მსჯავრს – დაემატა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი) დანიშნული და ამნისტიის აქტით შემცირებული სასჯელის ნაწილი – 11 თვით, 22 დღით თავისუფლების აღკვეთა და 3 თვით, 8 დღით – პირობითი მსჯავრი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული და ამნისტიის აქტით შემცირებული სასჯელის ნაწილი – 10 თვით, 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და 3 თვით, 12 დღით – პირობითი მსჯავრი. საბოლოოდ დ. ო-ს სასჯელად განესაზღვრა: 3 წლით, 6 თვით და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა და 1 წელი, 1 თვე და 20 დღე – პირობითი მსჯავრი, 2 წლის, 1 თვის და 20 დღის გამოსაცდელი ვადით.

დ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

იმავე განაჩენით თ. გ-ის მიმართ ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 თებერვლის განჩინებაში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენით თ. გ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი) დანიშნულ და ამნისტიის აქტით შემცირებულ სასჯელს – 2 წლით, 9 თვით და 23 დღით თავისუფლების აღკვეთას და 11 თვითა და 7 დღით პირობით მსჯავრს – დაემატა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხ-

ლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი) დანიშნული და ამ-
ნისტიის აქტით შემცირებული სასჯელის ნაწილი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და 3 თვით – პირობი-
თი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული და ამნისტიის აქტით შემცირ-
ებული სასჯელის ნაწილი – 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 თვით – პირობითი მსჯავრი; საქართვე-
ლოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული და ამნისტიის აქტით შემცირებული სასჯელის ნაწი-
ლი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და 3 თვით – პირობითი მსჯავრი; თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს 2011 წლის 29 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით
დანიშნული და ამნისტიის აქტით შემცირებული სასჯელის ნაწილი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და 3
თვით – პირობითი მსჯავრი.

თ. გ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა: 5 წლით, 3 თვით და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა სასჯე-
ლალსრულების დაწესებულებაში მოხდით, 1 წელი, 9 თვე და 7 დღე – პირობითი მსჯავრი, 2 წლის, 9 თვისა
და 7 დღის გამოსაცდელი ვადით.

თ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ.
ო-მა საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას
და ითხოვა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით სასჯელის კიდევ უფრო შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და
მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს
ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სა-
ბოლო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი
სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გა-
ნაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას, სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სას-
ჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან
ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნა-
წილს.

საქმის მასალებით ცნობილია, რომ დ. ო-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტისა
და იმავე სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენებით გათვალისწინებული მძიმე კატეგორიის გან-
ზრახი დანაშაულები ჩაიდინა არასრულწლოვანების ასაკში, ამასთან, მეორე დანაშაული მსჯავრდებულმა
ჩაიდინა პირობითი მსჯავრის პერიოდში.

სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში
არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

ამდენად, რადგან ადგილი არა აქვს დანაშაულის რეციდივს, პალატას მიაჩნია, რომ ცვლილება უნდა
შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენში დ. ო-ის მიმართ და მას
სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასჯელი უნდა განესაზღვროს შთანთქმის პრინციპის გა-
მოყენებით, კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძ-
ველზე შემცირებულმა სასჯელმა – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას იმავე
მუხლით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი) დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული
სასჯელი – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დ. ო-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელად
უნდა განესაზღვროს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწი-
ლის თანახმად, უნდა დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით სსკ-
ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელის ნაწილი
– 1 წლით, 1 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დ. ო-ს განაჩენთა ერთობლიობით
სასჯელად უნდა განესაზღვროს 3 წლით, 4 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის
50-ე მუხლის საფუძველზე, 2 წელი, 6 თვე და 15 დღე უნდა განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებუ-
ლებაში მოხდით, 10 თვე და 12 დღე – უნდა ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის, 10 თვისა და 12 დღის გამოსაცდე-
ლი ვადით.

დ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე, 314-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის
სასიკეთოდ, კერძოდ:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულ დ. ო-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ინტერნეტ კაფეს ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელმა – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას იმავე მუხლით (ბენზინგასამართი სადგურის ეპიზოდი) დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დ. ო-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვროს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელის ნაწილი – 1 წლით, 1 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დ. ო-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვროს 3 წლით, 4 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, 2 წელი, 6 თვე და 15 დღე განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, 10 თვე და 12 დღე – ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის, 10 თვისა და 12 დღის გამოსაცდელი ვადით.

დ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 5 ივლისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით (სრული შეკრება)

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№472-აგ-13

25 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულების – მ. ხ-ის, გ. ხ-ისა და პ. ნ-ის საკასაციო საჩივრები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის განაჩენით გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 6 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 13 იანვრიდან.

ამავე განაჩენით მ. ხ-ეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი) მიესაჯა 12-12 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა; დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 13 იანვრიდან.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად და მიესაჯათ: პ. ნ-ეს – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და 4000 ლარი ჯარიმა, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – 19 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 8 წლით, ხოლო 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე პ. ნ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 12 დეკემბრიდან;

გ. ხ-ეს – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – 19 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 13 წლით, ხოლო 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე გ. ხ-ეს განესაზღვრა 30 წლით, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით – 31 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 5 აპრილიდან;

მ. ხ-ეს – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – 19 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 13 წლით, ხოლო 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულ-

თა ერთობლიობით, სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე მ. ხ-ეს განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 5 აპრილიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენით დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულთა ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის განაჩენით გ. ხ-ესა და მ. ხ-ეს საქართველოს სსკ-ის მე-19,379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯათ 6-6 წლით, ხოლო 378²-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით მათ განესაზღვრათ 10-10 წლით, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე – 40-40 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 მაისიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე მ. ხ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე განესაზღვრა 40 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გ. ხ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 39 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 აპრილის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინება გ. ხ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე პ. ნ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 27 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 12 დეკემბრიდან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 აპრილის განჩინებით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განჩინება პ. ნ-ის მიმართ შეიცვალა: პ. ნ-ე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; მასვე სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა 24 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა. განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულებმა – პ. ნ-ემ, გ. ხ-ემ და მ. ხ-ემ შუამდგომლობებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესული ცვლილების გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ პ. ნ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. ხ-ისა და მ. ხ-ის შუამდგომლობები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მ. ხ-ისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული სასჯელები დარჩა უცვლელად, შეუმცირდა მხოლოდ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი – 45 წლით, 4 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 35 წლით თავისუფლების აღკვეთა; გ. ხ-ისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული სასჯელები დარჩა უცვლელად, შეუმცირდა მხოლოდ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი – 39 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 35 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის განაჩენი, 2013 წლის 12 თებერვლისა და 18 თებერვლის განჩინებები სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულები – მ. ხ-ე, გ. ხ-ე და პ. ნ-ე საკასაციო საჩივრებით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 ივნისის განაჩენის გაუქმებას და ახალი განაჩენით სასჯელის დადგენას შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – მ. ხ-ისა და გ. ხ-ის საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ პ. ნ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ან სასჯელები იკრიბება ნაწილობრივ ან მთლიანად. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად ემატება წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

მოცემულ შემთხვევაში, მ. ხ-ესა და გ. ხ-ეს შემუშავდა განაჩენითა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ხ-ისა და გ. ხ-ის პიროვნებებისა და მათ მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, არ არის მიზანშეწონილი მათთვის სასჯელის კიდევ უფრო შემსუბუქება.

რაც შეეხება მსჯავრდებულ პ. ნ-ეს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას“.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პ. ნ-ე გასამართლებულია 2002 წლის თებერვალში სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც დაენიშნა 2001 წლის 15 ნოემბრიდან.

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: „ნასამართლობა გაქარწყლებად ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ“. სასამართლო მიუთითებს, რომ 2002 წლის თებერვლის განაჩენით პ. ნ-ეს მსჯავრი დაედო განზრახი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ვადა, სასჯელის ათვლის თარიღის – 2001 წლის 15 ნოემბრის გათვალისწინებით, ამოეწურა 2002 წლის 15 მაისს, ნასამართლობა გაუქარწყლდა 2005 წლის 15 მაისს.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პ. ნ-ეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებითა და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები ჩადენილი აქვს 2007 წლის დეკემბერში და ამდენად, მას აღნიშნული დანაშაულების ჩადენის დროს ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულს, პ. ნ-ემ აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა 2003 წლის ივლისში, შესაბამისად ამ მუხლთან მიმართებით სახეზეა დანაშაულის რეციდივი.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პ. ნ-ის მიმართ სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 14 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი – სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და უნდა განესაზღვროს – 14 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მთლიანად უნდა დაემატოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 4 წელი, 3 თვე, 22 დღე და საბოლოოდ პ. ნ-ეს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს 18 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა აეთვალოს 2007 წლის 12 დეკემბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – მ. ხ-ისა და გ. ხ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ პ. ნ-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ პ. ნ-ის მიმართ სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 14 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას ნაკლებად მკაცრი – სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს – 14 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. რასაც მთლიანად დაემატოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი – 4 წელი, 3 თვე, 22 დღე და საბოლოოდ პ. ნ-ეს სასჯელის სახით განესაზღვროს 18 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2007 წლის 12 დეკემბრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენის არსებობის დროს განაჩენითა ერთობლივობით სასჯელის დადგენის დაუშვებლობა

№93-აპ-13

21 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით მ. ბ-ი, ნასამართლევი, დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-მა ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 29 აპრილს მ. ბ-მა განიზრახა, ყაჩაღურად თავს დასხმოდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ ი. ხ-ს, რისთვისაც 30 აპრილს, დაახლოებით ღამის 3 საათზე, უკანონოდ შეაღწია მის საცხოვრებელ სახლში. მ. ბ-მა დაზარალებულს ფეხი ჩაარტყა მხარში, დაემუქრა მოკვლით და დანით ხელში მოსთხოვა ფული და ოქროს ნივთები. თავდასხმის შედეგად მ. ბ-მა გაიტაცა 30 ათასი რუსული რუბლი, ოქრო-ფულაბა, მობილური ტელეფონი და ერთი ბოთლი არაყი, რითაც ი. ხ-ს მიაყენა 4 500 ლარის ოდენობის ზიანი.

მ. ბ-ს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა გორის რაიონული სასამართლოს მიერ 2011 წლის 16 ივნისს, ასევე ბრალდებულის დაუსწრებლად დადგენილი დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 6 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. ბ-ი აღნიშნული განაჩენის საფუძველზე დააკავეს 2012 წლის 7 მაისს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა ამნისტიის საფუძველზე: მსჯავრდებულ მ. ბ-ს ერთი მეოთხედით შემცირდა წინა და ბოლო განაჩენებით დანიშნული სასჯელები, რის გამოც საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2012 წლის 7 მაისიდან.

მსჯავრდებული მ. ბ-ი საკასაციო საჩივრებში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან უტყუარად არ დგინდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის განზრახვა; არ არსებობს მოწმე, რომელიც დაადასტურებს მ. ბ-ის მიერ ყაჩაღობის ჩადენას; დაუჯერებელია, რომ დაზარალებულმა ნილბიანი თავდამსხმელი ამოიცნო; სასჯელის განაჩენით ერთობლივობით დანიშნა უკანონოა, რადგან წინა განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებლად დადგინდა; განაჩენი არ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო ეჭვი არ გადაწყდა მის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმის სახით დაკითხულ პირთაგან თ. ვ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ 2011 წლის 29 აპრილის ღამეს ესტუმრა მ. ბ-ი, რომელმაც ჰკითხა: „სასწრაფოდ ფული მჭირდება და აქ, სოფელში, ვინმეს ხომ არ ექნებაო“. შემდეგ მ. ბ-მა ი. ხ-ი მოიკითხა და თ. ვ-ს მიმართა – მას ხომ არ ექნება ფულიო. ორი დღის შემდეგ მ. ბ-ი ტელეფონით ესაუბრა თ. ვ-ის მეუღლეს და შეურაცხყოფა მიაყენა, რადგან მათ პოლიციელებს უამბეს ყაჩაღური თავდასხმის ღამეს მ. ბ-ის სტუმრობის თაობაზე. ამავე ჩვენებით, თ. ვ-თან მისულ მ. ბ-ს თან ჰქონდა დანა.

დაზარალებულმა ი. ხ-მა სასამართლოში კატეგორიულად განაცხადა, რომ ყაჩაღური თავდასხმა სწორედ მ. ბ-მა ჩაიდინა, რომელსაც მანამდე კარგად იცნობდა, რადგან მ. ბ-ი სოფელში 3 წელი ცხოვრობდა და რამდენჯერმე ი. ხ-ს სამეურნეო საქმიანობაში დაეხმარა. დაზარალებულმა ასევე მიუთითა, რომ თავდამსხმელს ჰქონდა დანა, ეკეთა ნილაბი, მაგრამ მისი ამოცნობა თვალებით, აღნაგობითა და ხმით არ გასჭირვებია.

პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის მოტივები სააპელაციო საჩივრის მოტივების ანალოგიურია. საქმეში არსებულ, ზემოაღნიშნულ და სხვა მტკიცებულებებთან დაკავშირებით ორივე ინსტანციის სასამართლომ სრულად და ობიექტურად იმსჯელა. ამ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მ. ბ-მა ბინაში უკანონო შეღწევით ჩაი-

დინა ყაჩაღობა. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მსჯავრდებულის ქმედება სწორად და დაკვალიფიცირებული.

რაც შეეხება სასჯელის განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნას, ამ ნაწილში საკასაციო პალატა იზიარებს საჩივრების მოტივს და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სასჯელი დაედგინა განაჩენთა ერთობლიობით, რადგან წინა განაჩენი გამოტანილია ბრალდებულის დაუსწრებლად. შესაბამისად, წინა დანაშაულისათვის სამართალწარმოება არ იყო დასრულებული. ამდენად, არც სააპელაციო პალატა იყო უფლებამოსილი, წინა სასჯელი შემცირებინა ამნისტიის საფუძველზე და საბოლოო ზომა განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა, თუნდაც ამის სამართლებრივი საფუძველი (წინა განაჩენის გასაჩივრებაზე უარი) საქმის სააპელაციო წესით განხილვისას გამოვლენილიყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითებები მ. ბ-ის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის ამნისტიის საფუძველზე შემცირებისა და სასჯელის საბოლოო ზომის განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნის შესახებ.

აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს წინა სასჯელის გაუქმებას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის დადგენას რამდენიმე აღუსრულებელი განაჩენის მიხედვით. ამასთან, გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განაჩენით დანიშნულ სასჯელზე უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, ამავე კანონით დადგენილი წესით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის განაჩენიდან მ. ბ-ს ამოერიცხოს მითითებები გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის ამნისტიის საფუძველზე შემცირებისა და სასჯელის საბოლოო ზომის განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნის შესახებ;

მ. ბ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ბ-ს სასჯელის ათვლა დაეწყო 2012 წლის 7 მაისიდან.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება ამნისტიის გამო

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№110-აპ-13

15 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ბ. ალავეიძე

განიხილა მსჯავრდებულ მ. ა. მ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენით მ. ა. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა მ. ა. მ-ას დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 31 მაისიდან.

განაჩენით მ. ა. მ-ას მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მ. ა. მ-ას მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა გამოიხატა შემდეგში:

მ. ა. მ-ამ ა. ა-ს გააცნო ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე ი. ქ-ი, რომლის ახლობელი ჰ. ა-ი იყო დაპატიმრებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე. ბრალდებულ ჰ. ა-სა და პროკურატურას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე. ვინაიდან ი. ქ-ი მალევე დაბრუნდა ერაყში, მან ა. ა-ს გადასცა 3100 აშშ დოლარი, რათა ჰ. ა-თან საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში მას აღნიშნული თანხა ჯარიმის სახით შეეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში. ა. ა-მა ეს თანხა შეიტანა თავის პირად ანგარიშზე. მ. ა. მ-ამ განიზრახა, ესარგებლა ამ სიტუაციით და მოტყუებით დაუფლებოდა ჰ. ა-თან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად განკუთვნილ თანხას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დაუკავშირდა ერაყში მყოფ ი. ქ-ს და დაარწმუნა, რომ ა. ა-ისათვის დატოვებული 3100 აშშ დოლარი გადაეცა მისთვის და იგი თვითონ მოავგარებდა ჰ. ა-თან გასაფორმებელ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიტანდა ამ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში. მოგვიანებით ა. ა-ს დაუკავშირდა ი. ქ-ი და უთხრა, რომ მისთვის დატოვებული 3100 აშშ დოლარი გადაეცა მ. ა. მ-სათვის. ა. ა-მა ანგარიშიდან გამოიტანა 3100 აშშ დოლარი და მეტროს სადგურ „...-თან“ არსებულ „... ბანკის“ შენობაში გადასცა მ. ა. მ-ას, რომელმაც დაარწმუნა ა. ა-ი, რომ ამ თანხას გამოიყენებდა საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ა. ა-ს კვლავ დაუკავშირდა მ. ა. მ-ა და ვითომდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების საჭიროების მოტივით, კვლავ დამატებით ითხოვა 800 აშშ დოლარის გადაცემა. ა. ა-მა, ი. ქ-ის მითითებით, თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე „მ-ის“ შენობასთან მ. ა. მ-ას გადასცა 200 აშშ დოლარი. 2012 წლის 18 აპრილს, ტელეფონზე საუბრისას, მ. ა. მ-ამ, ვითომდა ჰ. ა-თან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, ა. ა-ს დამატებით კვლავ მოსთხოვა 350 აშშ დოლარის გადახდა. ეს ვითარება ა. ა-მა მიიჩნია საეჭვოდ, რის გამოც დაუკავშირდა ერაყის საელჩოს და გაარკვია, რომ ჰ. ა-ის სახელით ან მის სასარგებლოდ ჯარიმის თანხა შეტანილი არ ყოფილა. მ. ა. მ-ა თაღლითურად დაეუფლა ჰ. ა-ის კუთვნილ 3300 აშშ დოლარს და მიიმალა, რითაც მას მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულმა მ. ა. მ-ამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, მხარეთა მონაწილეობით, განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 14 მაისის განაჩენით აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ცვლილება შეიტანა გასაჩივრებულ განაჩენში და მსჯავრდებულ მ. ა. მ-ას დანიშნული სასჯელი შეუმცირა 1/4-ით და საბოლოოდ მოსახდელად განუსაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა მ. ა. მ-ამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივარში კასატორი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულმა მხარემ ნამდვილად გადასცა მას საპროცესო შეთანხმებისათვის საჭირო თანხა, რაც მან დაკარგა და ამ მიზეზით საპროცესო შეთანხმება ჰ. ა-თან არ გაფორმებულა, მაგრამ დაზარალებული მხარის მოტყუების განზრახვა არ ჰქონია; მსჯავრდებულს მიაჩნია, რომ უდანაშაულოა და ითხოვს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ მ. ა. მ-ას მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება საქმის სასამართლოს არსებით სხდომაზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოკვლეულ და შეფასებულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რითაც ეჭვის გამომრიცხავად და უტყუარად არის დადგენილი მ. ა. მ-ას მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა.

დაზარალებულ ჰ. ა-ის, მონმეების: ა. ა. ა-ის, ვ. ვ-ის, რ. ა-ის, ნ. დ-ის ჩვენებებით უტყუარად არის დადგენილი, რომ ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე ჰ. ა-ი 2012 წლის 5 თებერვალს დააკავეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის მცდელობის ფაქტზე. მას აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და გამოძიების მიმდინარეობისას იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მისმა ოჯახის წევრებმა, ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების დადებისა და სასურველი სასჯელის მიღწევის მიზნით, ოჯახის ნაცნობს – ი. ქ-ს ხელზე გამოათანეს 3300 აშშ დოლარი; საქართველოში ჩამოტანილი თანხა ი. ქ-მა გადასცა ა. ა-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა, ოჯახის წევრების მითითებით, თანხა გადასცა მ. ა. მ-ას, რომელსაც უშუალოდ უნდა შეეტანა იგი საპროცესო შეთანხმებისათვის მიითებულ საბანკო ანგარიშზე.

მ. ა. მ-ა არწმუნებდა ჰ. ა-ის ოჯახის წევრებს, რომ თანხა შეტანილი ჰქონდა საბანკო ანგარიშზე საპროცესო შეთანხმების უზრუნველსაყოფად, თუმცა, საბოლოოდ ა. ა. ა-იმ ერაყის რესპუბლიკის საელჩოს დახმარებით გაარკვია, რომ მ. ა. მ-ას თანხა საბანკო ანგარიშზე არ ჰქონდა შეტანილი და მან ეს თანხა თაღლითურად მიითვისა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გამამყუენებელი განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, დანიშნული სასჯელი შეესაბამება ჩადენილი ქმედების სიმძიმეს და საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო სხდომაზე მსჯავრდებულმა მ. ა. მ-მ შეცვალა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დაზარალებული ჰ. ა-ი მასთან შერიგებულია, პრეტენზია არა აქვს და თანახმაა, იგი სასჯელისაგან გათავისუფლდეს, იშუამდგომლა, რომ საკასაციო საჩივარი განხილულ იქნეს ამ გარემოების „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

მსჯავრდებულის იშუამდგომლობას საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტების შესახებ მხარი დაუჭირეს მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. მ-მა და სხდომაში მონაწილე სახელმწიფო ბრალმძებელმა ი. ჩ-მა.

ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში შემოტანილია მსჯავრდებულ მ. ა. მ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის განცხადების ნოტარიულად დამოწმებული მასალები, რომლის თანახმადაც, დაზარალებული გამოთქვამს თანხმობას, რომ მსჯავრდებულ მ. ა. მ-ას მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნები და იგი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები, „ამნისტიის შესახებ“ ზემოხსენებული კანონის საფუძველზე, მსჯავრდებულ მ. ა. მ-ას მიმართ განაჩენით დადგენილი სასჯელისაგან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და, შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენში.

საკასაციო სხდომაზე მსჯავრდებულმა მ. ა. მ-მ იშუამდგომლა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და ითხოვა, რომ პალატამ იმსჯელოს მხოლოდ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, დაზარალებულ ჰ. ა-ის განცხადების საფუძველზე დანიშნული სასჯელისაგან მისი გათავისუფლების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული მ. ა. მ-ა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანიშნული სასჯელის – 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული მ. ა. მ-ა დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ა. მ-ას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული მ. ა. მ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანიშნული სასჯელის – 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული მ. ა. მ-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება ამნისტიის გამო

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№101-აპ-13

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ომხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენით ნ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდი) და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3500 ლარი.

ნ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდი) და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მას მოსახდელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3500 ლარი.

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ნ. კ-ის მიმართ ამ განაჩენით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. კ-ეს სასჯელად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 7000 ლარი.

ნ. კ-ეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 16 მაისიდან.

გასაჩივრებული განაჩენით ნ. კ-ეს მსჯავრი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. კ-ემ წინასწარი შეთანხმებით, მის მეუღლესთან – ვ. თ-ესთან ერთად დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გაყალბებული, ნ. კ-ის სახელზე გაცემული, 1996 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული ბინის ორდერის გამოყენებით შეცდომაში შეიყვანა ბათუმის მერიის ტერიტორიული ორგანოს ბ-ის უბნის ადმინისტრაციის თანამშრომლები, სხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგინა ყალბი ბინის ორდერი და მოითხოვა ქ. ბათუმში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე ოროთახიანი ბინის პრივატიზაცია.

აღნიშნული მასალების საფუძველზე ნ. კ-ემ ქ. ბათუმში ნოტარიუს ნ. ს-ესთან ნოტარიული წესით გააფორმა პრივატიზაციის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ბინაზე – მდებარე: ქ. ბათუმში, თ-ის ქუჩა №...-ში, რომლის ფართი შეადგენდა 53,77 კვ. მეტრს. 2005 წლის 14 ივნისს ნ. კ-ემ აღნიშნული ბინა, რომელიც ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს 1988 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ეკუთვნოდა „ა-ს“, საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა თავის სახელზე და შემდეგ გაასხვისა. ამ ქმედებით „ა-ს“ მიადგა დიდი ოდენობით ზიანი.

აღნიშნულის შემდეგ ნ. კ-ემ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვა პირების დახმარებით, 2008 წლის 7 ოქტომბერს განცხადებით მიმართა თვითმმართველ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელ მუდმივმოქმედ კომისიას და ითხოვა ქ. ბათუმში, თ-ლის ქუჩა №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნ. კ-ეს საკუთრებაში გააჩნდა ქ. ბათუმში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (რომელიც უკვე გაყიდული ჰქონდა) და ოდითგანვე ფლობდა მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს 1988 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფილი იყო და ეკუთვნოდა „ა-ს“. ამ ქმედებით ნ. კ-ემ შეცდომაში შეიყვანა თვითმმართველი, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის თანამშრომლები.

2008 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კომისიამ დააკმაყოფილა ნ. კ-ის განცხადება, რის შემდეგაც მასზე 2008 წლის 12 ნოემბერს გაიცა საკუთრების მოწმობა 257,84 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც შემდეგ ასევე გაასხვისა. აღნიშნული ქმედებით „ა-ს“ მიადგა დიდი ოდენობით ზიანი.

ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. კ-ემ, რომელმაც ითხოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, არ ემყარება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა ცალმხრივად, არაობიექტურად, შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და ეყრდნობა სავარაუდო, საეჭვო მტკიცებულებებს, რაც განაჩენის გაუქმების აუცილებელი წინაპირობაა.

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ა. ნ-ამ შესაგებლად ითხოვა ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

ნ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდი) და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე შეუმ-

ცირდა 1/3-ით და მოსახდელად განესაზღვრა 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3.500 ლარი.

ნ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდი) და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/3-ით და მოსახდელად განესაზღვრა 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3.500 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდისათვის) დანიშნულმა სასჯელმა – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდისათვის) დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და ნ. კ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 7.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. კ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას და მიაჩნია, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების ჩვენებებით, მინის ნაკვეთის დათვალიერებისა და ბრალდებულის დაკავების ოქმებით, ქ. ბათუმის მერიისა და მინის ალიარების კომისიის თანდართული დოკუმენტებით, ბათუმის ტერიტორიული ორგანოდან ამოღებული განცხადებით, სანოტარო ბიუროდან ამოღების ოქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერით, უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტებით, განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების თაობაზე „პროკრედიტ“ ბანკიდან ამოღების ოქმით, ხელმოწერისა და ხელმოწერის ნიმუშების აღების ოქმებით, მინის ალიარების საფასურის გადახდის ქვითრით, საქონელმცოდნეობის, გრაფიკული და კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით ნ. კ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

2013 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემოსული წერილიდან ირკვევა, რომ ნ. კ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულ აჭარის ა/რ-ის სამომხმარებლო კოოპერატივების „ა-ისათვის“ მიყენებული ზარალი მთლიანად არის ანაზღაურებული და იგი თანახმაა, ნ. კ-ის მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული შეღავათი.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად: „გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. კ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან;

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. კ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმის ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:
„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. კ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (პირველი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან;
„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. კ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მეორე ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის – 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმის ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.
ნ. კ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№76-აპ-13

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ბ. ალავეიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ რ. დ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის განაჩენით რ. დ-ე დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დადგენილი პირობითი მსჯავრი და აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაემატა 2012 წლის 19 მარტის განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ რ. დ-ეს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით, ასევე დაუსწრებლად, დ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით რ. დ-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

რ. დ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა გამოიხატა შემდეგში:

რ. დ-ე იყო პირობით მსჯავრდებული, როდესაც დაუკავშირდა ნაცნობ დ. მ-ეს და მასთან ერთად წინასწარი შეთანხმებით 2011 წლის 16 დეკემბერს, ღამის საათებში, „ფორდის“ მარკის, სახ. №... ავტომანქანით, რომელსაც დ. მ-ე მართავდა, მივიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფერ ...-ში მდებარე ნ. რ-ის საკარმიდამო ნაკვეთში, სადაც მათ უკანონოდ შეაღწიეს სამზარეულოს ტიპის დამხმარე სათავსში და ჯგუფურად, ფარულად დაუფლნენ ი. კ-ის კუთვნილ ნივთებს: 6 ცაღ სკამს, თითოეულს ღირებულებას – 30 ლარად, ასევე შავი ფერის „გრუნდიკის“ ფირმის ტელევიზორს მართვის პულტთან ერთად, ღირებულებას – 150 ლარად, რითაც დაზარალებულს საერთო ჯამში მიაყენეს 330 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ ფარულად დაუფლებული საგნები რ. დ-ემ და დ. მ-ემ მოათავსეს „ფორდის“ მარკის ავტომანქანაში.

ქანაში და ღამის საათებში მოძრაობდნენ ქ. ბათუმში, ...-ის ქუჩაზე. ისინი ამ დროს შეამჩნიეს პოლიციის თანამშრომლებმა, რის გამოც მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, მიატოვეს ავტომანქანა და მიიმალნენ.

მსჯავრდებული რ. დ-ე, როგორც ძებნილი, დააკავეს 2013 წლის 3 იანვარს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის განაჩენი მსჯავრდებულმა რ. დ-ემ მიიჩნია უკანონოდ, დაუსაბუთებლად და სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მისი გაუქმება, შესაბამისად, მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე მხარეთა მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 27 მარტის განაჩენით აპელანტის საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ: რ. დ-ეს ბრალდების ფორმულირებიდან და განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება და ამ ნაწილში იგი გამართლდა.

რ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით რ. დ-ის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, „ამნისტიის შესახებ“ ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სრულად დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განჩენთა ერთობლიობით, რ. დ-ეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა რ. დ-ეს დაეწყო განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან – 2013 წლის 3 იანვრიდან.

მსჯავრდებულმა რ. დ-ემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორი განაჩენს უკანონოდ, დაუსაბუთებლად მიიჩნევს და საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეში პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებების გარდა, მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულება არ არსებობს. პოლიციის თანამშრომლები კი, მისი წარსული სასამართლობის გამო, დაინტერესებულნი იყვნენ მისი ხელახალი მსჯავრდებით, ამიტომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ფალსიფიცირებულია და სასამართლოს სარწმუნოდ არ უნდა მიეღო. შესაბამისად, კასატორი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ რ. დ-ის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოკვლეულ და შეფასებულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლითაც ეჭვის გამომრიცხავად, უტყუარად არის დადგენილი რ. დ-ის მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა, კერძოდ: დაზარალებულ ი. კ-ის, მონაშენების: თ. მ-ის, უ. კ-ის, რ. გ-ის, უ. რ-ის, ნ. მ-ის, ი. თ-ის, მ. ც-ის, მ. ფ-ის ჩვენებებით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, მათი ამოცნობის ოქმითა და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილია, რომ რ. დ-ემ ჩაიდინა მისთვის ინკრიმინირებული ქმედება, რაც სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ საჩივარში მოყვანილი არგუმენტები არ წარმოადგენს რ. დ-ის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და გამამართლებელი განაჩენის დადგენის სამართლებრივ საფუძვლებს, ვინაიდან დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია და სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა რაიმე არსებითი ხასიათის მტკიცებულება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საკასაციო პალატის მიერ უარყოფა. პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ საჩივარში მოყვანილი მოსაზრებები ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა ფალსიფიცირების შესახებ, გამყარებული არ არის რაიმე სახის მტკიცებულებით და საკასაციო პალატა მათ ვერ გაიზიარებს.

ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, პირს უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და არა – მისი მოუხდელი ნაწილი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით რ. დ-ეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ძირითად სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი დაუდგინდა რეალურ ზომად. ამდენად, ამნისტიის სა-

ფუძველზე მსჯავრდებულს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს აღნიშნული 4 წელი და განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც რ. დ-ეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდილი აქვს 1 წელი, ხოლო მოუხდელი ზომა შეადგენს 2 წელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ რ. დ-ეს სასჯელი უნდა შეუმცირდეს მხოლოდ ამნისტიის საფუძველზე, ხოლო სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად. ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობისას ბოლო სასჯელი შთანთქმავს წინას, ან ეს სასჯელები შეიკრიბება ნაწილობრივ ან სრულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის საიკეთოდ:

რ. დ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული 4 წელი და განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ. დ-ისათვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულ და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულ სასჯელს – 3 წელსა და 9 თვეს – დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი და საბოლოოდ მიესაჯოს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

რ. დ-ეს სასჯელის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2013 წლის 3 იანვრიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი საქართველოს სახელით

№124-აპ-13

27 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ჯ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით ზ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 18 წელი, 5 თვე და განაჩენთა ერთობლიობით ზ. ჯ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 25 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაეწყო 2012 წლის 9 ოქტომბრიდან.

(თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენით ზ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 12 წლით; 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 9 წლით; სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით; სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზ. ჯ-ის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებულ სასჯელს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელიდან – 5 წელი, სსკ-ის 236-ე მუხლით შეფარდებული სასჯელიდან – 1 წელი, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელიდან – 2 წელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

ზ. ჯ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 9 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად).

ზ. ჯ-ეს მსჯავრი დაედო მოხელის მიერ პირდაპირ ფულის, ქონებრივი სარგებლის მოთხოვნასა და მიღებაში თავის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზ. ჯ-ე 2006 წლის 17 თებერვლიდან მუშაობდა თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების გამომძიებლად, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებდა გამოძიებას ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

2007 წლის 15 ივნისს ზ. ჯ-ემ ი. ი-ის განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება №... სისხლის სამართლის საქმეზე, ი. ი-ის კუთვნილი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2007 წლის 19 ივლისს ზ. ჯ-ემ გამოიტანა დადგენილება ო. შ-ას ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, გააცნო ეს დადგენილება და ეჭვმიტანილის სტატუსით დაკითხა იგი იმავე დღეს.

ზ. ჯ-ემ, იმის მაგივრად, რომ კანონით დადგენილ ვადაში გადაეწყვიტა ო. შ-ას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი, განიზრახა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის აღება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დაუკავშირდა ო. შ-ას, რომელსაც მისი თავისუფლებაში ყოფნის უზრუნველსაყოფად მოსთხოვა ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა დაპატიმრებით.

ო. შ-ა იძულებული გახდა დათანხმებოდა ზ. ჯ-ის წინადადებას და იმავე დღეს მის სამუშაო ოთახში ქრთამის სახით გადასცა 300 აშშ დოლარი. ზ. ჯ-ე ავრძელებდა ო. შ-ასათვის ქრთამის სახით ფულის გამოძალკას, დედის ავადმყოფობის მიზეზით კვლავ დაუკავშირდა მას და დაპატიმრების მუქარით ისევ მოსთხოვა 400 აშშ დოლარი. ო. შ-ა, შეთანხმებისამებრ, მივიდა ონკოლოგიურ საავადმყოფოში და ზ. ჯ-ეს გადასცა 350 აშშ დოლარი და 71 ლარი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, იმავე მოთხოვნის საფუძველზე, ო. შ-ამ მისცა 500 ლარი ქრთამის სახით, ხოლო 2008 წლის 2 მაისს საქართველოს ბანკში ზ. ჯ-ის დაყინებული მოთხოვნითა და მუქარით იძულებულმა ო. შ-ამ, იმის შიშით, რომ არ მიეცა მსვლელობა საქმისათვის, ზ. ჯ-ის ანგარიშზე სესხის პროცენტის დასაფარად გადარიცხა 120 ლარი.

სისხლის სამართლის №... საქმე გადაეცა სხვა გამომძიებელს, ხოლო ო. შ-ა 2011 წლის 25 ივლისს დააკავეს ბრალდებულის სახით ი. ი-ის ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე და სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. ჯ-ემ და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე ზ. ჯ-ე გათავისუფლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელისგან;

მასვე გაუნახევრდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლითა და 6 თვით თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა;

მასვე 1/4-ით შეუმცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 12 წელი და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მასვე 1/4-ით შეუმცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 5 წელი და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. ჯ-ეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა – 1 წლითა და 6 თვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ზ. ჯ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ზ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე ზ. ჯ-ე გათავისუფლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელისაგან.

ამასთან მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ზ. ჯ-ე მსჯავრდებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენით სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, რის გამოც იგი არ გათავისუფლდა პატიმრობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად. ზ. ჯ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 9 მარტიდან.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ჯ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. შ-ემ შესაგებლით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმე, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მსჯავრდებულ ზ. ჯ-ის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (120 ლარის ეპიზოდი) მსჯავრდების შესახებ.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამასთან ერთად, საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ. რაც შეეხება ო. შ-ას მიერ 2008 წლის 2 მაისს სესხის პროცენტის დასაფარად 120 ლარის ზ. ჯ-ის საბანკო ანგარიშზე საქართველოს ბანკში შეტანას, პალატა აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის ო. შ-ას სისხლის სამართლის საქმე ზ. ჯ-ის წარმოებაში იყო, მის უფლება-მოვალეობას არ წარმოადგენდა სისხლის სამართლებრივი დევნის განახლება და აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. ზ. ჯ-ემ მოატყუა ო. შ-ა, რომ თუ საქართველოს ბანკში სესხის პროცენტის დავალიანებას არ გადაუხდიდა – დაიჭერდა. დაზარალებულის მიერ 120 ლარის გადარიცხვა ზ. ჯ-ის პირად ანგარიშზე, გარდა ო. შ-ას ჩვენებისა, დასტურდება საბანკო ჩანაწერებით, ასევე საქართველოს ბანკის იურიდიული დეპარტამენტის იურისტ მ. ც-ის ჩვენებით, ო. შ-ასა და ზ. ჯ-ის პირადი ანგარიშების ამონაწერების ოქმებით.

პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებულ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ზ. ჯ-ემ მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, დაზარალებულ ო. შ-ას თანხმობის გამო, მსჯავრდებულ ზ. ჯ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენების თაობაზე.

ამდენად, კასატორთა საჩივარში მოყვანილი არგუმენტები ეწინააღმდეგება საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე ობიექტურად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და არ წარმოადგენს საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს, რის გამოც საკასაციო პალატა მათ ვერ გაიზიარებს.

ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლო 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით არ იყო უფლებამოსილი, ხოლო სააპელაციო პალატა – ვალდებული იყო, ემსჯელა ამნისტიის გავრცელების შესახებ. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ ამნისტია გაავრცელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 თებერვლის განაჩენით დანიშნულ სასჯელზე მაშინ, როცა ამ სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო ადრე – 2012 წლის 9 ოქტომბერს – დაემატა ბოლო განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინება სამართლებრივად უშედეგოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ზ. ჯ-ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელი განესაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით, მის მიმართ ამნისტია უნდა გავრცელდეს საკასაციო პალატის განაჩენით. გარდა ამისა, ზ. ჯ-ეს, როგორც სასამართლობის არმქონეს, სასჯელი უნდა დაენიშნოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შთანთქმის პრინციპის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ჯ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინების სხვა ნაწილში უცვლელად დატოვების შესახებ;

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებული ზ. ჯ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთისაგან;

ზ. ჯ-ეს გაუნახევრდეს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის ვადა – 3 წელი, რის შედეგადაც განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვას 1 წლითა და 6 თვით;

ზ. ჯ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული 12 წელი და განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. ჯ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული 5 წელი და განესაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზ. ჯ-ის მიმართ ამ განაჩენით სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულმა სასჯელმა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმას სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელები, რის შედეგადაც მსჯავრდებულ ზ. ჯ-ეს საბოლოოდ მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

ზ. ჯ-ეს სასჯელის ათვლა დაეწეოს დაკავების დღიდან – 2011 წლის 9 მარტიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამოსაცემი ვადის შემცირება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№684-აგ-13

17 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენით გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 წლით, 1 თვითა და 1 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 40000 ლარი ჯარიმა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. გ-ს საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 40000 ლარი და 6 წლით, 1 თვითა და 1 დღით თავისუფლების აღკვეთა, 1 წლის, 1 თვისა და 1 დღის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი – ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცემი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 10000 ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწეო 2009 წლის 14 იანვრიდან და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენით გ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წელი და განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწეო 2011 წლის 24 აგვისტოდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენით შეიცვალა: გ. გ-ს განაჩენთა ერთობლიობით მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წლის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი – ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცემი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 7000 ლარი.

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მაისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გ. გ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე – 3

ნლითა და 9 თვით პირობითი მსჯავრი, 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

2013 წლის 30 მაისს მსჯავრდებულმა გ. გ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესული ცვლილების გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ და ამნისტიის საფუძველზე შემცირებულ სასჯელს – 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთას და 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით პირობითი სასჯელს – დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენით დანიშნული და ასევე ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელის ნაწილი – 11 თვით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით პირობითი სასჯელი და გ. გ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 2 წლითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე – 3 წლით, 1 თვითა და 15 დღით პირობითი მსჯავრი, 4 წლის, 1 თვისა და 15 დღის გამოსაცდელი ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენი და გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მაისის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. გ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განაჩენის გაუქმებას, სასჯელის საბოლოო ზომის განსაზღვრას შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ასევე – პირობითი მსჯავრის, გამოსაცდელი ვადისა და დამატებითი სასჯელის შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად ემატება წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

მოცემულ შემთხვევაში, გ. გ-ის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რის შედეგადაც მსჯავრდებულს მნიშვნელოვნად შეუმცირდა სასჯელის ზომა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. გ-ის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი და არ არის მიზანშეწონილი მისი კიდევ უფრო შემსუბუქება.

რაც შეეხება მსჯავრდებულის მითითებას მისთვის დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის შემცირების თაობაზე, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მაისის განჩინების გათვალისწინებით, რომლითაც მსჯავრდებულ გ. გ-ის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ კანონი, მას გამოსაცდელ ვადად უნდა განესაზღვროს 3 წელი, 10 თვე და 15 დღე, ნაცვლად – 4 წლის, 1 თვისა და 15 დღისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. გ-ს გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 3 წელი, 10 თვე და 15 დღე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

პერეკო ნაწილი

განზრახ მკვლელობა ჯგუფურად და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობას

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
 პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
 მ. ოშხარელი,
 გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის განაჩენით ი. გ-ი, ნასამართლევი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით – 17 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით, ხოლო საბოლოოდ – 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 25 დეკემბრიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-მა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ჯგუფურად და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში, გ-ის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე „საქმის გარჩევის“ დროს, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ს. გ-ი. ამ საქმეზე, სხვა პირებთან ერთად, ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს ზ. ტ-ი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2011 წლის 4 ოქტომბერს, ვადაზე ადრე, პირობით.

გარდაცვლილ ს. გ-ის მამამ – ი. გ-მა შურისძიების მოტივით განიზრახა ზ. ტ-ის მოკვლა. მიზნის მისაღწევად ი. გ-ი დაუკავშირდა გარდაცვლილი შვილის მეგობრებს – ი. ა-სა და დ. რ-ს, რომლებსაც ასევე სურდათ შურისძიება. ი. ა-ემ და დ. რ-მა შეიტყვეს, რომ ზ. ტ-ი გაათავისუფლეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და შეიმუშავეს მისი მოკვლის გეგმა. განზრახვის განსახორციელებლად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდნენ და ატარებდნენ.

2011 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 12 საათზე, პირობით მსჯავრდებულმა დ. რ-მა პრობაციის ბიუროში შეიტყო, რომ იქ უნდა მისულიყო ზ. ტ-ი, რის შემდეგ დაუკავშირდა ი. გ-ს. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დაელოდნენ ზ. ტ-ს, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პრობაციის ბიუროსთან განზრახვის განხორციელება ვერ შეძლეს. ამის გამო ი. გ-ი და მისი თანამზრახველები მივიდნენ ლ-ის ქ. №...-ში მდებარე ზ. ტ-ის სახლთან, სადაც მოგვიანებით მივიდა ზ. ტ-ი. ი. გ-მა და მისმა თანამზრახველებმა ზ. ტ-ის დანახვისთანავე მისი მიმართულებით, მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღებიდან გაისროლეს, რის გამოც ზ. ტ-ი გაიქცა რ-ის გამზირისაკენ. მას სროლით დაედევნენ ი. გ-ი, დ. რ-ი და ი. ა-ე, რითაც რეალური საფრთხე შეუქმნეს გამზირზე მყოფი მრავალი პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ზ. ტ-ი გადაახტა ქუჩის გასწვრივ არსებულ რკინის მოაჯირს და წაიქცა ავტომობილების სავალ ნაწილზე. მას წამოეწივნენ ი. გ-ი, დ. რ-ი და ი. ა-ე, რომლებმაც წაქეულის მიმართულებით განაგრძეს სროლა და მიზნის მიღწევის შემდეგ მიიმალნენ. ზ. ტ-ი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამართლება, ასევე – დაცვის მხარის შუამდგომლობებთან დაკავშირებით მიღებული განჩინებების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე: ი. გ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2011 წლის 25 დეკემბრიდან.

მსჯავრდებული ი. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან ეყრდნობა საქმის განხილვის შედეგით დაინტერესებული პირების ჩვენებებს; მოწმე ხ. მ-ი დაიკითხა 2012 წლის 7 თებერვალს და ეს ჩვენება სასამართლოს წარედგინა იმავე წლის 7 სექტემბერს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომა გაიმართა 2012 წლის 2 ივლისს; დაცვის მხარემ არაერთხელ მიმართა სასამართლოსა და ბრალდების მხარეს საქმის გაცნობისა და მისი ასლების გადაცემის მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა; სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა მოწმე ბ. ლ-ას ჩვენება, მაგრამ არ იყო ამოწურული ამ მოწმის წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა; ბრალდების მხარემ წარმოადგინა შემთხვევის ადგილის ვიდეოკადრები, რომლებზეც ჩატარდა ექსპერტიზა, თუმცა ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტის ჩვენებით არ დადასტურდა ი. გ-ის შემთხვევის ადგილზე ყოფნა; 2011 წლის 21 დეკემბერს ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს გადასცა მტკიცებულებები, რომელთა წარდგენასაც აპირებდა სასამართლოში, ხოლო წინასასამართლო სხდომა გაიმართა 23 დეკემბერს, რითაც დაირღვა სსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა; დაცვის მხარემ შეიტყო, რომ მოსამართლე ბ. კ-ი და გარდაცვლილი ზ. ტ-ი წარმოშობით არიან სიღნაღის რაიონის სოფელ ...დან. ამასთან, გარდაცვლილის დედა და მოსამართლე ბ. კ-ი არიან მოგვარეები, რაც ამ შემთხვევაში მოსამართლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის სა-

ფუძველს ქმნის, მაგრამ აცილების შესახებ შუამდგომლობა მოსამართლემ არ განიხილა; სურვილის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოში არ დაიკითხა მსჯავრდებული; გარდა ამისა, არასწორადაა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, რადგან მსჯავრდებულს ერთი მეოთხედით შეუმცირდა სასჯელი; ი. გ-ი ნასამართლევით იყო სსკ-ის 273-ე მუხლით, ხოლო ამნისტიით იგი გათავისუფლდა ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს: საქმის საჩივრის განხილვას ზეპირი მოსმენით და გამართლებას; დაცვის მხარის შუამდგომლობებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებების გაუქმებას; ამნისტიის საფუძველზე სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას; განაჩენის სსკ-ის 59-ე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ი. გ-ის მიმართ საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2011 წლის 27 დეკემბერს, ხოლო მოწმე ხ. მ-ი გამოძიების პროცესში დაიკითხა 2012 წლის 7 თებერვალს – საქმის არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ. საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მითითება დამატებითი მტკიცებულების მიღებისას სსკ-ის 239-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ.

ბრალდებულ ი. გ-ის ადვოკატს სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებები გადაეცა 2011 წლის 20 დეკემბერს, როცა წინასასამართლო სხდომა დაიწყო იყო 2012 წლის 12 იანვარს. ამის შემდეგ, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და დაცვის მხარის თანხმობით, წინასასამართლო სხდომა დაიწყო 2011 წლის 23 დეკემბერს. შესაბამისად, დაცვის მხარეს მტკიცებულებები გადაეცა კანონით დადგენილი წესითა და ვადაში, ხოლო ის გარემოება, რომ დაცვის მხარის თანხმობით წინასასამართლო სხდომა გაიმართა ამ მტკიცებულებების გადაცემიდან 5 დღეზე ადრე, არ წარმოადგენს მათი დაუშვებლობის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებისა და დაცვის მხარის შუამდგომლობებთან, მათ შორის – მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით, გამოტანილია დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილებები.

კასატორი მიუთითებს, რომ იგი არ დაკითხეს სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ როგორც ირკვევა, ი. გ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. შესაბამისად, კანონის მოთხოვნა არც ამ შემთხვევაში დარღვეულა.

მონმის სახით დაკითხული პირების ჩვენებებით ირკვევა, რომ რუსთაველის გამზირზე ზ. ტ-ს პისტოლეტებიდან სროლით მისდევდნენ ი. გ-ი და ორი პირი. ზ. ტ-ი წაიქცა, რის შემდეგაც ი. გ-მა და მისმა თანამზრახველებმა წაქცეულის მიმართულებით განაგრძეს სროლა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაკითხულ პირთა ჩვენებები ერთმანეთს ავსებს და სრულად შეესაბამება, ხოლო მათ ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, ჩვენებების ობიექტურობაზე მეტყველებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და სათვალთვალო კამერებით დაფიქსირებული კადრებიც.

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ მკვლელობა ჩადენილია ჯგუფურად, ასევე – მრავალ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებით – მრავალჯერადი გასროლით დაახლოებით 15 საათზე, რუსთაველის გამზირზე, რაზეც მეტყველებს შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი 23 მასრა, რომლებიც გასროლილია არანაკლებ ორი პისტოლეტიდან. ამასთან, გარდაცვლილის გვამზე აღინიშნებოდა 10 ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა.

რაც შეეხება ამნისტიის გავრცელების საკითხს, ი. გ-მა ბოლო დანაშაული ჩაიდინა წინა ნასამართლობის გაქარწყლებამდე, რის გამოც სსკ-ის 109-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელები მას უნდა შემცირებოდა მხოლოდ ერთი მეოთხედით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ემყარება კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც სააპელაციო პალატამ დაადგინა კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი.

მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიზანშეუწონლად მიიჩნევს სასჯელის შემცირებას სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე შთანთქმის ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის განაჩენი ი. გ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№104-აპ-13

25 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. მჭედლიძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჩ-ისა და მსჯავრდებულ ზ. მ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: დ. მ-ე – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ზ. მ-ე – საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 17 მაისს, ღამით, დაახლოებით 1 საათზე, დ. მ-ემ ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ტერიტორიაზე, – უბანში, მკვრივი, ბლაგვი საგნის გამოყენებით სიცოცხლისათვის საშიშროება დაზიანებები მიაყენა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის – უბნის უფროს რეინჯერ მ. ა-ეს, მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიღებული დაზიანებების შედეგად მ. ა-ე ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულებრივი კვალის დაფარვისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, იმავე ღამეს დ. მ-ემ თანასოფელ ზ. მ-ესთან ერთად მ. ა-ის გვამი გადაიტანა საფეხმავლო გზიდან მოშორებით, რათა იგი შეუმჩნეველი ყოფილიყო სხვა პირთათვის.

2012 წლის 19 მაისს მ. ა-ის გვამი იპოვეს იმავე უბნის რეინჯერმა თ. ც-ემ და გარდაცვლილის თანასოფლელებმა.

აღნიშნული ქმედებებისათვის დ. მ-ეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 20 წლით, ხოლო ზ. მ-ეს სსკ-ის 375-ე მუხლით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე აღნიშნული სასჯელები შემცირდა ერთი მეოთხედით და დ. მ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით, ხოლო ზ. მ-ეს – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელთა მოხდა დაეწყოთ 2012 წლის 20 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა დ. მ-ემ და მისმა ადვოკატმა ი. ჩ-ემ, ასევე – მსჯავრდებულმა ზ. მ-ემ.

მსჯავრდებულმა დ. მ-ემ და ადვოკატმა ი. ჩ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს განაჩენის გაუქმება და დ. მ-ის გამართლება. ასევე გამართლება ითხოვა მსჯავრდებულმა ზ. მ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ზ. მ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის მასალები, სწორად არ შეაფასა მტკიცებულებები, რასაც შედეგად მოჰყვა ვარაუდებსა და დაუდასტურებელ ფაქტებზე დამყარებული უკანონო განაჩენის გამოტანა; განაჩენში მითითებული მოწმეების ჩვენებებით არ დასტურდება ზ. მ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, ხოლო საქმეზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ქიმიური, ბალისტიკური-ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით არ შეიძლება ცალსახა დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; სასამართლომ მთლიანად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და შეგნებულად არ გაითვალისწინა დაცვის მხარის არგუმენტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ზ. მ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 მაისის განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

მსჯავრდებული დ. მ-ე და ადვოკატი ი. ჩ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ არც ერთი მტკიცებულება არათუ პირდაპირ, არამედ ირიბადაც კი არ ადასტურებს დ. მ-ის შემხებლობას მ. ა-ის მკვლელობასთან; სააპელაციო სასამართლოს დ. მ-ის ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინა მაქსიმუმ საქართველოს

სსკ-ის 116-ე მუხლით; სასამართლოს დასაშვებ მტკიცებულებებზე არ უნდა ეცნო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, მოწმეების – თ. ც-ისა და ბ. მ-ის ჩვენებები; არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა გვამის ექსპერტიზის თაობაზე და საეჭვო ვითარებაში დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ა-ეს სასიკვდილო ჭრილობები მიყენებული ჰქონდა რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნით, რომელიც არ დადგენილა რა იყო და არც ამოღებულია; სასამართლომ დაუსაბუთებლად სარწმუნოდ არ მიიჩნია დ. მ-ის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება, რომლითაც იგი დანაშაულში ამხელდა გ. მ-ესა და რ. მ-ეს, რომლებიც იმ ღამით ვილაცას უმოწყალოდ ურტყამდნენ და რომელთაც მოგვიანებით შეუერთდა თ. ც-ე.

გარდა აღნიშნულისა, კასატორები აღნიშნავენ, რომ დ. მ-ე ფაქტობრივად 2012 წლის 18 მაისს, 21 საათზე, მიიყვანეს ხარაგაულის პოლიციაში და ამის შემდეგ მას შეზღუდული ჰქონდა თავისუფლად გადაადგილების საშუალება, რაც, საქართველოს სსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირის დაკავებას ნიშნავს; კანონის თანახმად, დ. მ-ეს ბრალი უნდა წარდგენოდა 2012 წლის 20 მაისის 21 საათამდე, მაგრამ მას ბრალი წარუდგინეს 2012 წლის 22 მაისს, რის გამოც, სსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, თუნდაც კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. მ-ე და ადვოკატი ი. ჩ-ე ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და დ. მ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. მ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ი. ჩ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ზ. მ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტიდან (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით) უნდა გადაკვალიფიცირდეს 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ხოლო ზ. მ-ე უნდა გამართლდეს წარდგენილ ბრალდებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ზ. ჭ-ის, ჯ. ჭ-ისა და დ. კ-ის თანხვედრილი და თანმიმდევრული ჩვენებებით ირკვევა, რომ „–“ ჭალაში ჩამოსვლამდე, 17 მაისს, დაახლოებით პირველი საათისათვის, წამოეწიათ მამაკაცი, რომელმაც გააფრთხილა ისინი, რომ შეჩერებულიყვნენ, გაქცევას აზრი არ ჰქონდა, რადგან ბორჯომში იყო დარეკილი და საგუშაგოზე მაინც დააკავებდნენ. ისინი მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და გზა განაგრძეს უფრო სწრაფად. „–“ ჭალაში ჩასასვლელ ვიწრო ბილიკზე გადაადგილდებოდნენ ფეხით. ამ დროს დ. მ-ე მიდიოდა მათ წინ განცალკევებით, დაახლოებით 60-70 მეტრის დაშორებით. როცა იგი ჩავიდა გაუკავებელ ადგილზე, ცხენზე შეჯდა და გააჩქარა, ხოლო როდესაც ისინიც ჩავიდნენ დაღმართზე, რამდენიმე წუთში დ. მ-ე უკან გამობრუნდა ცხენით. იგი იყო შეშინებული, აღელვებული და თქვა, რომ წინ ვილაცაში გადმოუხტა, რომელიც შეეცადა მის შეჩერებას აღერში ხელის ჩაწვებით, რა დროსაც, სავარაუდოდ, ნაიქცა. ამიტომ აუცილებელი იყო დამალულიყვნენ და ჩასულიყვნენ იქვე მდინარეში. მართლაც, მისი მითითებით, ყველანი ცხენებიანად ჩავიდნენ მდინარეში და ჩააქრეს ფანრები. მდინარეში ჩასვლის შემდეგ დ. მ-ე და ზ. მ-ეები იმ მოტივით, რომ თითქოს უნდა გადაეძალათ თოფები, გავიდნენ მდინარიდან და გაუჩინარდნენ დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში, თუმცა უკან დაბრუნებულ დ. მ-ეს, მათდა გასაოცრად, თოფი ისევ თან ჰქონდა. მათივე განმარტებით, დ. მ-ე და ზ. მ-ეების დაბრუნებამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე მათ ზედა მხარეს შენიშნეს ფანრის შუქი, რომელიც მალევე გაქრა ხეებში. დაბრუნებულმა დ. მ-ემ მათ უთხრა, რომ რეინჯერმა დაიჭირა მათი ძაღლები და წავიდა, რის გამოც უკვე შეეძლოთ სახლში დაბრუნება.

მოწმის სახით დაკითხული თ. ც-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის 16 მაისს, დილის 9 საათზე, მის უშუალო ხელმძღვანელ, უფროს რეინჯერ მ. ა-ესთან ერთად იმყოფებოდა გეგმიურ შემოვლაზე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის – უბანზე. ორივეს ეცვა რეინჯერის ფორმა. დაახლოებით 19 საათზე შემოესმათ ცხენების ფლოქვების ხმა და თვალი მოჰკრეს მონითალო ცხენზე მჯდარ პირს. ხმაურისა და დატოვებული ნაფხურების მიხედვით დაასკვნეს, რომ ცხენოსან მონადირეთა რაოდენობა 5 ან 6 იქნებოდა. ცხენოსანთა შეჩერების და შეშინების მიზნით რამდენჯერმე დაუყვირა მათ, რომ შეჩერებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში თოფს ესროდა, თუმცა ისინი არ დაემორჩილნენ და ტყეში მიიმალნენ. დაახლოებით 5 კილომეტრი ფეხით სდიეს ცხენოსნებს, მაგრამ ვერ დაეწინა. ამის შემდეგ მ. ა-ემ გადანყვიტა, მარტო გაეგრძელებინა ცხენოსანთა დევნა შემოკლებული გზით, ხოლო მას დაავალა, რომ მთაში დარჩენილიყო და ცხენებისათვის მიეხედა. 17 მაისის 10 საათამდე ელოდა მ. ა-ეს, მაგრამ არ გამოჩნდა, რის შემდეგაც ჩავიდა – საგუშაგოზე და 22 საათამდე ახლა იქ ელოდა. როცა იგი კვლავ არ გამოჩნდა, დაბრუნდა სახლში და მისი გაუჩინარების შესახებ შეატყობინა მ-ის სიძეს – გ. ფ-ას და რეინჯერ ზ. მ-ეს. მეორე დღეს, გათენებამდე, შვილთან და რეინჯერ ზ. მ-ესთან ერთად წავიდა დაკარგულის საძებნელად. ძებნაში მათთან ერთად მონაწილეობდნენ რეინჯერები და სხვა დაინტერესებული პირები. ა. ფ-ესთან სატელეფონო საუბრისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ 16 მაისს პარკის ტერიტორიაზე იმყოფებოდა სოფელ – და – მცხოვრები ექვსი მონადირე, რომელთაც „–ს“ შესახვევთან, გზაზე გადმოხტომიათ ვილაცა უცნობი კაცი, რომელიც ვერ უცვნიათ. განაგრძეს რა ძებნა ხარაგაულის პოლიციის სამმართველოს მუშაკებთან – ი. ა-ესთან, ჯ. ჭ-ესა და მ. ყ-თან ერთად, დაღმართის დასასრულიდან „–საკენ“ გამავალ მეორე შემოკლებულ ბილიკზე,

კაკლის ხემდე დაახლოებით 20-30 მეტრში, ისევ აღმოაჩინა მ. ა-ის ჩექმის კვალი, რითაც დაასკვნა, რომ მან სწორედ ამ მოკლე ბილიკით მოუჭრა გზა ცხენოსნებს და აღმოჩნდა მათ წინ. 2012 წლის 19 მაისს, დილის დაახლოებით 5 საათზე, განაგრძეს მ-ის ძებნა, რა დროსაც „–“ შესახვევიდან „–“ ქალისკენ დაახლოებით 150 მეტრში, გზიდან მარცხენა მხარეს რამდენიმე მეტრის დაცილებით, კლდის ძირში, იპოვეს მ. ა-ის დაზიანებული გვამი. გვამთან ეგდო მისი ნაჯახი, მ. ა-ის კუთვნილი ეკრანგატეხილი მობილური ტელეფონი და მისივე ქაშის ნაწყვეტი.

მონმე თ. ც-ის ჩვენებით ასევე დადგინდა, რომ 2012 წლის 16 მაისისათვის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის – უბანზე იმყოფებოდა მხოლოდ რვა პიროვნება, თვითონ – თ. ც-ე, რეინჯერი – მ. ა-ე და ზემოთ მითითებული ექვსი ცხენოსანი. შემთხვევის ადგილის მიმდებარედ სხვა პირთა ყოფნის დასადასტურებელი რაიმე საეჭვო ნიშანი ხსენებულ ტერიტორიაზე არ ყოფილა.

ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცა და იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა ტყეში ყოფნისას მსჯავრდებულთა მეოთხე თანმხლებმა პირმაც – ბ. მ-ემ, მაგრამ სასამართლო სხდომაზე მან შეცვალა ჩვენება მხოლოდ იმ ნაწილში, რომ მდინარეში ჩასვლის შემდეგ დ. და ზ. მ-ები მდინარიდან არ გასულან და ასეთი ჩვენება ზენოლის გამო მისცა, თუმცა მან, დანარჩენ პირთა მსგავსად, დაადასტურა, რომ „–“ ქალაში ჩასვლისას დაზიანებულია დ. მ-ემ გააჭენა ცხენი, მცირე ხნის შემდეგ დაბრუნდა და მათ უთხრა, რომ წინ ვილაც ფარნიანი კაცი გადმოუხტა, მოუწოდოდა აღვირში ხელის წავლება, მაგრამ ვერ შეაჩერა, წაიქცა და დაუძახა: „რას აკეთებ ბიჭო“.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. მ-ის მიერ ჩვენების ნაწილობრივ შეცვლა განპირობებულია მსჯავრდებულებთან ნათესაური კავშირით და ემსახურება მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ვინაიდან იგი არ შეესაბამება საქმეზე უტყუარად დადგენილ გარემოებებს, ხოლო ბ. მ-ზე ზენოლის ფაქტი მტკიცებულებებით არ დასტურდება. ამიტომ, აღნიშნული ჩვენება სააპელაციო სასამართლომ საქმეზე ფაქტობრივი გარემოების დადგენისას სრულიად მართებულად არ გამოიყენა, როგორც მტკიცებულება.

მონმის სახით დაკითხულმა დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელმა ი. ა-ემ აჩვენა, რომ პოლიციის განყოფილებაში მან დ. მ-ეს, იქიდან გამომდინარე, რომ იმ დროისთვის არსებობდა ვერსია, რომ თითქოს მ. ა-ე თოფით იყო მოკლული, ჰკითხა, თუ როგორ გაიმეტა იგი, რაზეც დ. მ-ისგან პასუხად მიიღო, რომ მ. ა-ისთვის თოფი არ უსვრია და მას შემთხვევით დაეჯახა ცხენით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №016073-2012/07/3 დასკვნის თანახმად, რომლის სისწორეც დაადასტურა სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა – გ. გ-მა, მ. ა-ის სიკვდილის მიზეზია შინაგანი ორგანოების ზოგადი სისხლნაკლებობა, რაც გამოიწვია სხეულის ბლაგვი ტრავმით დაზიანებული მარცხენა თეძოს შიგნითა არტერიიდან განვითარებულმა შინაგანმა სისხლდენამ. ამავე დასკვნის თანახმად, მ. ა-ის სხეულზე არსებული ყველა დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედებით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №022942-2012/05/1-8 დასკვნის თანახმად, რომლის სისწორეც დაადასტურეს სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – კ. ა-მა, დ. გ-ამ და გ. ც-ემ, მ. ა-ის სხეულზე არსებული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების, საგნებზე) მოქმედებით. კონკრეტულად რა ვითარებაში მიიღო მ. ა-ემ სხეულზე არსებული დაზიანებები, ექსპერტიზას დადგენა არ შეუძლია. დაზიანებების განვითარება შესაძლებელია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) უშუალო ზემოქმედებით. ასევე დაზიანებების განვითარება შესაძლებელია ცხენის დაჯახებით და შემდეგ მკვრივ-ბლაგვ საგანზე (საგნებზე) დაცემის შედეგად.

ქიმიური ექსპერტიზის №262/ქმ დასკვნის თანახმად, რომლის სისწორეც დაადასტურეს სასამართლოში ექსპერტებმა – ნ. მ-ამ და თ. მ-ემ, მ. ა-ის შარვლის ბოჭკოებს გააჩნია საერთო გვაროვნული კუთვნილება ზ. მ-ისა და დ. მ-ის ხელის ფრჩხილებში აღმოჩენილ მუქ იისფერ ნაწილაკებთან.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, რომ „–“ ქალა არის ქვიანი, ღორღიანი და ადგილ-ადგილ – წყლისგან მოტანილი ხეებით დახეჩილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება, დ. მ-ის მიერ მ. ა-ის განზრახ მკვლელობის ფაქტი. ამ მიმართებით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნა წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს და არ ეფუძნება ერთმანეთთან შეთანხმებულ, საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვისთვის აუცილებელია დადგინდეს პირის განზრახვა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოხლის მოსპობისკენ და მოტივი, რომ აღნიშნულს ის აკეთებს მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. განზრახვის დაუდგენლობა თავისთავად გამორიცხავს მოტივს და, შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობასაც.

საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია შემდეგი: 2012 წლის 16-17 მაისის ღამის საათებში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის – უბნის უფროსი რეინჯერი მ. ა-ე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და ცდილობდა, აღეკვეთა ნაკრძალის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი პირების გადაადგილება, რომლებიც არ დაემორჩილნენ მის კანონიერ მოთხოვნას და გააგრძელეს გზა უფრო სწრაფად. მ. ა-ემ მოკლე გადასასვლელით გზა მოუჭრა სამართალდამრღვევებს და „–“ ქალაში დაელოდა მათ გამოჩენას. ამ დროს დ., ზ. და ბ. მ-ები, ზ. და ჯ. ქ-ები და დ. კ-ე ფეხით მიემართებიან „–“ ქალაში ჩასასვლელი ვიწრო გზით, სა-

დაც პირველი ჩავიდა დ. მ-ე. ჩასვლისთანავე იგი დაჯდა თავის ცხენზე და გავაკებულ გზაზე გააჩენა. იმავე დროულად უფროსი რეინჯერი მ. ა-ე „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონით ანთებული შუქით, სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, წინ გადაუდგა ცხენზე მჯდარ, სანადირო თოფით შეიარაღებულ დ. მ-ეს, რომლის ცხენსაც შეჩერების მიზნით ალვირში წაავლო ხელი. ადმინისტრაციული სახელისაგან თავის ასარიდებლად, დ. მ-ე შეეცადა გაქცევას, რა დროსაც უნდა გათვალისწინებინა, რომ არღვევდა წინდახედულების ნორმას, კერძოდ, შეეძლო და ევალეზოდა კიდეც, გათვალისწინებინა ის გარემოება, რომ მ. ა-ე, რომელსაც ხელი ალვირში ჰქონდა ჩავლებული, ცხენის მკვეთრი მოძრაობის შედეგად დაზიანდებოდა, რაც ასეც მოხდა და დ. მ-ის გაუფრთხილებელი მოქმედებით მ. ა-ემ როგორც ცხენის მკვეთრი მოძრაობის, ისე ამ მოძრაობით გამოწვეული მკვრივ-ბლაგვ საგნებზე ვარდნის შედეგად მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ამის შემდეგ დ. მ-ე სწრაფად დაბრუნდა უკან და თანმხლებ პირებს უთხრა, რომ წინ ვილაც კაცი გადმოუხტა, შეეცადა ცხენის ალვირში ხელის ჩავლებას და მის შეჩერებას, რომელიც, სავარაუდოდ, ნაიქცა და ურჩია მათ, რომ დამალვის მიზნით შესულიყვნენ მდინარეში. ყველანი შევიდნენ მდინარეში, საიდანაც დ. და ზ. მ-ები თოფების დამალვის მოტივით რამდენიმე წუთში ერთად წავიდნენ, სინამდვილეში კი ნახეს გზის პირას დავარდნილი მ. ა-ის გვამი და დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით გვამი გადაიტანეს გზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით არსებული კლდის ძირში, რათა იგი შეუმჩნეველი ყოფილიყო სხვა პირთათვის და შეექმნათ მ. ა-ის ამ კლდიდან გადმოვარდნის იმიტაცია. ამავე მიზნით იქვე გადაიტანეს და გვამის ახლოს განალაგეს მ. ა-ის დაზიანებული მობილური ტელეფონის ნაწილები, ნაჯახი და ქაძრის ნაწყვეტი. ამის შემდეგ დ. და ზ. მ-ეები დაბრუნდნენ უკან და თანმხლებ პირებს აუწყეს, რომ გზა თავისუფალია, რეინჯერი წასულია, რის შემდეგაც ისინი ერთად დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში, თუმცა მომხდარი შემთხვევის შესახებ არავის შეატყობინეს.

საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და ასევე ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ დ. მ-ის განმარტებას, რომ „–“ ჭალაში ჩასვლისას ცხენზე მჯდარმა დაინახა რ. მ-ე და გ. მ-ე, მესასხელად „ბ-ი“, რომლებიც უმონყალოდ სცემდნენ ვილაცას, ხოლო მას შემდეგ, რაც შენიშნეს იგი, გინებოდა და მუქარით გამოემართნენ მისკენ. პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული დ. მ-ემ მოიგონა პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, ვინაიდან მის ჩვენებას არ ადასტურებენ მოწმის სახით დაკითხული მისი თანმხლები პირები. დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია შემთხვევის დღეს ამ პირთა ტყეში ყოფნის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დ. მ-ე რამდენჯერმე დაიკითხა საქმის გამოძიების დროს, მაგრამ აღნიშნულის შესახებ მას არ განუცხადებია. პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ ზ. ჭ-ის, ჯ. ჭ-ისა და დ. კ-ის განმარტებებით, მათთან მისული იყო დ. მ-ის მამა, რომელიც სთხოვდა, შეეცვალათ ჩვენებები მისი შვილის სასარგებლოდ.

რაც შეეხება მოწმე თ. ც-ის მიერ კერძო საუბარში ნათქვამ ფრაზას – „სათქმელი ბევრია, მაგრამ პირში ლაგამი მაქვს ამოღებული“, რომლის გამოც დაცვის მხარე აღნიშნული ჩვენების უტყუარობას ეჭვის ქვეშ აყენებს, იმავე მოწმემ სასამართლოში დამატებითი დაკითხვის დროს დამაჯერებლად ახსნა ამ ჩვენებასთან დაკავშირებული ყველა საინტერესო გარემოება.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში მითითებულ სხვა გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, მსჯავრდებულთა უკანონო პატიმრობასა და მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ ამომწურავად იმსჯელა, რასაც ეთანხმება და სრულად იზიარებს საკასაციო პალატა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ფაქტი იმის შესახებ, რომ დ. მ-ემ გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე მ. ა-ეს (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, ზ. მ-ის დახმარებით გადაიტანა გვამი კლდის პირას, რათა მოეწყო უბედური შემთხვევის იმიტაცია.

სასჯელთან დაკავშირებით, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს დ. მ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და მიაჩნია, რომ მას სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მან დანაშაული ჩაიდინა 2012 წლის 2 ოქტომბრამდე, მასზე უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნები.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ზ. მ-ეს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იგი უნდა გამართლდეს მისთვის ბრალად შეარაცხულ ქმედებაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

მართალია, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ზ. მ-ემ დ. მ-ესთან ერთად გარდაცვლილ მ. ა-ის გვამი გადაიტანა საფეხმავლო გზიდან მოშორებით, რათა დაეფარათ დ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული და შეექმნათ უბედური შემთხვევის – კლდიდან გადავარდნის იმიტაცია, მაგრამ, ვინაიდან საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ფაქტი იმის შესახებ, რომ დ. მ-ემ ჩაიდინა მ. ა-ის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ანუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული (ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე), ზ. მ-ის მიმართ სახეზე არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტი – ქმედების შემადგენლობის ელემენტი (პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო

კონსტრუქციასთან), რადგან საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვა.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულების სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ – დ. მ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

დ. მ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

დ. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ დ. მ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს 2012 წლის 20 მაისიდან.

ზ. მ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ზ. მ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გამართლებულ ზ. მ-ეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა უ შ ა ტ ი უ რ ა ბ ა

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№55-აპ-13

10 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით გ. შ-ე, ნასამართლობის მქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 41–42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. შ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა განაჩენით ერთობლიობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენით გ. შ-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და აღნიშნული განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით, 10 თვითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთიდან – 2009 წლის 29 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2008 წლის 11 დეკემბრის ეპიზოდი) „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ 2009 წლის 29 ივნისის განაჩენიდან მოსახდელად განესაზღვრა 2 წლით, 4 თვითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამატა ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ განაჩენითა ერთობლიობით გ. შ-ეს განესაზღვრა – 7 წლით, 4 თვითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა;

მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

გ. შ-ეს მოსახდელად დანიშნული საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 13 თებერვლიდან.

გ. შ-ეს განაჩენით მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურება, ე.ი სქესობრივი კავშირი ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 5 სექტემბერს, ღამის საათებში, გ. შ-ემ ბათუმში, ...-ისა და ...-ის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე, გააჩერა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა დ. ნ-ი. ავტომანქანიდან მან იძულებით გადმოიყვანა უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე ვ. ჩ-ი, შეიყვანა იქვე მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში და მასთან იძულებით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულმა გ. შ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით მსჯავრდებული ითხოვდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში მისი უდანაშაულოდ ცნობის ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვებას, ხოლო სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში – განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენით ცვლილება შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 ოქტომბრის განაჩენში, რომლის თანახმადაც:

გ. შ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

გ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე სსკ-ის 41–42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა და დაეკისრა 2000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. შ-ე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის განაჩენებით სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელისაგან.

გ. შ-ეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე 1/4-ით შეუმცირდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენით სსკ-ის 381-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა გ. შ-ის მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენით (განაჩენითა ერთობლიობით) დადგენილი პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას – დამატა წინა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენით სსკ-ის 381-ე მუხლით დანიშნული, ამნისტიის აქტის საფუძველზე 1/4-ით შემცირებული სასჯელი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენითა ერთობლიობით, გ. შ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით.

მასვე სსკ-ის 41–42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. შ-ეს საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 13 თებერვლიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა 2009 წლის 11 ნოემბრიდან – 2009 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის დრო.

სხვა ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა გ. შ-ემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორი საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში იგი სწორად მიიჩნია

უდანაშაულოდ და გაამართლა, მაგრამ სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში უსაფუძვლოდ დასდო მსჯავრი. ამ ნაწილში კასატორს განაჩენი მიაჩნია დაუსაბუთებლად, უკანონოდ და ითხოვს მის გაუქმებას, შესაბამისად – გამართლებას.

ამასთან, 2013 წლის 12 ივნისს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სასჯელადარღვევების დანესებულებიდან შემოვიდა მსჯავრდებულ გ. შ-ის განცხადება (შუამდგომლობა), რომლითაც იგი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვას „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის შესახებ და აღნიშნავს, რომ გ. შ-ის ბრალეულობა მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებაში უტყუარად არის დადგენილი სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით; საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს განაჩენის გაუქმებას მსჯავრდებლის ნაწილში.

დაზარალებულ ვ. ჩ-ის ჩვენებით და მის მიერ ფოტოსურათზე ამოცნობის ოქმით დადგენილია, რომ შემთხვევის ღამეს სწორედ გ. შ-ემ გააჩერებინა ავტომანქანა დ. ნ-ს, იძულებით ჩამოიყვანა ავტომანქანიდან, შეიყვანა იქვე მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში და მასთან ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი. ვ. ჩ-მა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დაადასტურა მის მიერ მიცემული ჩვენების რეალობა და დააკონკრეტა შემთხვევის ადგილი.

ავტომანქანიდან ვ. ჩ-ის იძულებით გადმოყვანისა და სადარბაზოში შეყვანის ფაქტს ადასტურებენ ჩვენებებში თვითმხილველი მოწმეები – დ. ნ-ი და კ. ს-ა, რომელიც დაზარალებულთან ერთად იმყოფებოდა ავტომანქანაში. კ. ს-ამ გ. შ-ე ამოიცნო მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ფოტოსურათით ამოცნობის – შედეგად.

საქმეზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ დაზარალებულ ვ. ჩ-ს აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღერებები ორივე მხრის, წინამხრის, ბარძაყების არეში, რაც მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება ქმედების თარიღს. აღნიშნული სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმედ დაკითხულმა ექსპერტმა ლ. ფ-ემ.

მოწმეების – ზ. ლ-ის, ნ. ი-ას ჩვენებები სრულ თანხედრად დაზარალებულისა და კ. ს-ას ჩვენებებთან, არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს და ადასტურებს გ. შ-ის მიერ ვ. ჩ-ის გაუპატიურების ფაქტს.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა შეფასება-ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ საჩივარში მითითებული არგუმენტები და საჩივარზე დართული კ. მ-ის, თ. შ-ის, ნ-ი, მ-ა და ტ. ბ-ის განცხადებები ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომაზე ექვსი გამომრიცხავად დადგენილ, გ. შ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს, სამართლებრივად ვერ ასაბუთებს საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობას და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მსჯავრდებლის ნაწილში განაჩენის გაუქმების საფუძველს, რის გამოც პალატა მათ ვერ გაიზიარებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 14 მაისიდან „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილია სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნისას შესაძლებელია, სასამართლომ დადგენილი ალტერნატივებიდან თავისი შეფასებით სასჯელი დანიშნოს მთლიანი ან ნაწილობრივი, ანდა სასჯელის შთანთქმის პრინციპით. მოცემულ საქმეზე, დამნაშავეს პიროვნული მახასიათებლების, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგის, დანაშაულის მოტივის, მისი განხორციელების სახისა და ხერხის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების გათვალისწინებით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ განაჩენთა ერთობლიობით მთლიანი შეკრების პრინციპით საბოლოო სასჯელი დანიშნულია სწორად და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ გ. შ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№82-აპ-13

4 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ომხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – გ. ო-ის, შ. რ-ისა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 ივლისის განაჩენით:

გ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით გ. ო-ის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს სრულად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ო-ეს განესაზღვრა – 12 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ო-ის დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 6 ივლისიდან. მასვე იმავე განაჩენით მოხდილად ჩაეთვალია პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 3 დეკემბრიდან 2012 წლის 6 ივლისის ჩათვლით.

შ. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შ. რ-ეს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2011 წლის 3 დეკემბრიდან.

გ. ო-სა და შ. რ-ეს განაჩენით მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 2 დეკემბერს, დაახლოებით 23.30 საათზე, გ. ო-ე, შ. რ-ე და გამოძიებით დაუდგენელი პირი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თბილისში, წ-ის ქუჩაზე. ამ დროს მათ შეამჩნიეს იმავე ქუჩაზე მყოფი ფ. ი-ე, ი. დ-ი და ზ. გ-ე და მივიდნენ მათთან. გ. ო-ემ და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ამოიღეს დანები და შ. რ-ესთან ერთად სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით მოსთხოვეს მათ ფული. ფ. ი-ემ, ი. დ-მა და ზ. გ-ემ თავდამსხმელებს განუმარტეს, რომ ფული არ ჰქონდათ და შეეცადნენ სიტუაციის განმუხტვას, თავდამსხმელი პირების დაწყნარებას, რამაც გააღიზიანა გ. ო-ე, შ. რ-ე და გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომლებმაც შეურაცხყოფის მიყენება დაუწყეს ზემოხსენებულ პირებს, დანის გამოყენებით ემუქრებოდნენ და აგრძელებდნენ ფულის მოთხოვნას. თავდაცვის მიზნით ი. დ-მა და ზ. გ-ემ წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელებს, გაექცნენ მათ და ჩაიკეტნენ წ-ის ქუჩის №...-ე სახლის ეზოში, რის გამოც გ. ო-ემ, შ. რ-ემ და მათთან ერთად მყოფმა დაუდგენელმა პირმა ვერ შეძლეს თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული განაჩენი მსჯავრდებულებმა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, მხარეთა მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 2 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-12 და მე-16 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მსჯავრდებულთა სასიკეთოდ ცვლილება შეიტანა გასაჩივრებულ განაჩენში, რომლის თანახმადაც, გ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა გ. ო-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და მას საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, გ. ო-ე გათავისუფლდა სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 ივლისის განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1/4-ით შემცირებულ სასჯელს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა ამავე სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით, ასევე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განახევრებული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ო-ეს განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 6 ივლისიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 3 დეკემბრიდან 2012 წლის 6 ივლისის ჩათვლით, ასევე – 2008 წლის 31 დეკემბრიდან 2009 წლის 3 იანვრის ჩათვლით.

შ. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

შ. რ-ეს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2011 წლის 3 დეკემბრიდან.

მსჯავრდებულებმა – გ. ო-ემ, შ. რ-ემ და მათმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ა-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორები საჩივრით ითხოვენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმე, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოკვლეულ და შეფასებულ, ურთიერთმეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულების: ფ. ი-ის, ი. დ-ის, ზ. გ-ის, მოწმეების: გ. რ-ის, კ. ფ-ის, პ. მ-ის, გ. ტ-ის, ს. ტ-ის, მ. გ-ის, თ. ც-ის, მ. მ-ის ჩვენებებით, დაზარალებულთა მითითების საფუძველზე გ. ო-ისა და შ. რ-ის დაკავების ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოცნობის ოქმებით ეჭვის გამომრიცხავად და უტყუარად არის დადგენილი, რომ გ. ო-ემ და შ. რ-ემ ჩაიდინეს მათთვის ინკრიმინირებული ქმედებები. კასატორთა საჩივრებში მოყვანილი არგუმენტები ეწინააღმდეგება საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე ობიექტურად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და არ წარმოადგენს საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების კანონით გათვალისწინებულ საფუძველებს, რის გამოც საკასაციო პალატა მათ ვერ გაიზიარებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების – გ. ო-ისა და შ. რ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნები სამართლებრივად სწორად გაავრცელა და, შესაბამისად, შეუმცირა მათ განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადები.

მსჯავრდებულ გ. ო-ეს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელი განესაზღვრა სრულად შეკრების შედეგად, რასაც საკასაციო პალატას სამართლიანად მიიჩნევს და, შესაბამისად, მიზანშეწოლად არ მიაჩნია სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების ან შთანთქმის პრინციპის გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – გ. ო-ის, შ. რ-ისა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განაჩენი გ. ობ-ისა და შ. რ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თალლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№52-აპ-13

26 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა თბილისის ვაკე-აბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის გამამართლებელ განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენით გ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით გ. გ-ასა და გ. ს-ს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს თალლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წელს გ. ს-მა, გ. გ-ამ და ს. გ-ემ ერთობლივი საქმიანობის წარმართვის მიზნით ჩამოაყალიბეს შპს „...“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა თბილისში, ც-ის ქუჩა №...-ში. 2008 წლის 17 ნოემბერს შპს „...-ის“ დირექტორ გ. ს-ისა და მ. კ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მ. კ-ემ 248000 აშშ დოლარად შეიძინა ც-ის ქუჩა №...-ში მდებარე კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული 248 კვ.მ კომერციული ფართი. გ. ს-მა და გ. გ-ამ, მ. კ-ისაგან მალულად, რამდენჯერმე იპოთეკით დატვირთეს ზემოხსენებული ფართი და ვინაიდან სესხი არ დაფარეს, ც-ის ქუჩა №...-ში მდებარე კომერციული ფართი საკუთრებაში გადაეცათ იპოთეკარებს, ხოლო მ. კ-ისაგან მოტყუებით დაუფლებული ფულადი თანხა – 248 000 აშშ დოლარი, გ. გ-ამ და გ. ს-მა მას არ დაუბრუნეს, რითაც დაზარალებულ მ. კ-ეს მიადგა 248 000 აშშ დოლარის – დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – გ. გ-ამ, გ. ს-მა და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის ვაკე-აბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ს-ემ საჩივრის შესაგებებელში სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გ. გ-ასა და გ. ს-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 ნოემბრის გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრების საფუძველზე, მხარეთა მონაწილეობით, განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 28 იანვრის განაჩენით აპელანტთა საჩივრის მოთხოვნა დააკმაყოფილა: გ. გ-ა და გ. ს-ი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით ინკრიმინირებულ ქმედებებში ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ.

ამავე განაჩენით გ. გ-ა გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, ხოლო გ. ს-ი საქართველოს პრეზიდენტის №... განკარგულებით 2012 წლის 28 დეკემბერს შეწყალბულ იქნა და გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დადგენილი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

სააპელაციო სასამართლომ გ. გ-ასა და გ. ს-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დასაბუთებაში მიუთითა, რომ შპს „...-ს“, შპს „...-სა“ და მ. კ-ეს შორის არსებული ურთიერთობები წარმოიშვა სამოქალაქო ურთიერთობებიდან გამომდინარე ხელშეკრულების საფუძველზე, ამიტომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის წესით მოსაწესრიგებელ საკითხს და, შესაბამისად, ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის გამამართლებელი განაჩენი გ. გ-ასა და გ. ს-ის მიმართ საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ს-ემ.

საჩივრით კასატორს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უკანონოა და მოითხოვს მის გაუქმებასა და გ. გ-ასა და გ. ს-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო საჩივრის შესაგებელში გ. გ-ა და გ. ს-ი ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. გ-ასა და გ. ს-ის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით ეჭვის გამომრიცხავად და უტყუარად არის დადგენილი გ. გ-ასა და გ. ს-ის მიერ უძრავი ქონების შეძენის მომენტში მ. კ-ის შეცდომაში შეყვანისა და მისი მოტყუების ფაქტი, კერძოდ: გ. გ-ამ და გ. ს-მა მ. კ-ეს შეგნებულად არ გაუმხილეს შესაძენად შეთავაზებული უძრავი ქონების იპოთეკით არაერთგზის დატვირთვის ფაქტი, რითაც შეცდომაში შეიყვანეს იგი, ისარგებლეს მისი ნდობით და მოტყუებით დაუფლნენ დაზარალებულის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხას.

საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მ. კ-ემ 2008 წლის 17 ნოემბერს შპს „....-ის“ დირექტორ გ. ს-თან დადებული ხელშეკრულების თანახმად, თბილისში, ც-ის ქუჩა №...-ში მდებარე კორპუსის პირველ სართულზე 248 000 აშშ დოლარად შეიძინა 248 კვ. მ კომერციული ფართი. თანხის ნაწილი – 148 000 აშშ დოლარი იმავე დღეს შეიტანა შპს „....-ის“ საბანკო ანგარიშზე „ტ-ში“, ხოლო დარჩენილი თანხა 2008 წლის ნოემბერში მ. კ-ემ სრულად გადაუხადა ხელზე გ. ს-სა და გ. გ-ას, რასაც ადასტურებს აღნიშნული თანხის მიღებაზე როგორც საზოგადოების ბუღალტრის მიერ გამონერილი საბუღალტრო დოკუმენტი (ჩეკი), ასევე თავად მ. კ-ის ჩვენება.

აღნიშნულს ადასტურებს მონმედ დაკითხული შპს „....-ის“ ბუღალტერი ნ. გ-ე თავის ჩვენებაში.

მონმეების: მ. დ-ას, ბ. ფ-ის, ქ. ლ-ის, ნ. შ-ის, გ. ჭ-ას, ბ. ბ-ას, ი. კ-ის, ჰ. დ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ 2008 წლის 7 მაისს და 2008 წლის 31 ივლისს გ. ს-მა და გ. გ-ამ იპოთეკით დატვირთეს ც-ის ქუჩაზე №...-ში მდებარე სადავო კომერციული ფართი. ხელშეკრულება, როგორც შპს „....-ის“ დირექტორთან, გაფორმდა გ. ს-თან, მაგრამ ამ პროცესებში მასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა გ. გ-ა.

ზემოხსენებულ მონმეთა ჩვენებებით უტყუარად არის დადგენილი, რომ სადავო ფართის აღნიშნულ პირებზე იპოთეკით დატვირთვის ფაქტი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა მ. კ-ესთან მიღწეულ შეთანხმებას და ხელშეკრულების დადებას კომერციული ფართის შესყიდვის შესახებ. ამდენად, აღნიშნული ფართის იპოთეკით დატვირთვის არსებობაზე გ. ს-სა და გ. გ-ას მ. კ-ისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. ამასვე ადასტურებს თავის ჩვენებაში მ. კ-ე და განმარტავს, რომ იპოთეკარების არსებობის ფაქტი სადავო ფართზე გ. ს-ისა და გ. გ-ას მისთვის არ უცნობებიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კატეგორიულად გამორიცხავს მის სურვილს სადავო კომერციული ფართის შესაძენად სოლიდური თანხის გადახდის მიზანშეწონილობაზე, რაც ლოგიკურია და მისი ჩვენების რეალობაში ეჭვის შეტანის საფუძველს არ იძლევა.

მონმე ს. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ის შპს „....-ს“ ერთ-ერთი დამფუძნებელია გ. ს-თან და გ. გ-სთან ერთად, მაგრამ მისთვის ცნობილი არ იყო სადავო კომერციული ფართის იპოთეკით დატვირთვისა და მ. კ-ესთან დადებული ხელშეკრულების დეტალები, ვინაიდან ამ საქმიანობას მის გარეშე უშუალოდ ახორციელებდნენ გ. ს-ი და გ. გ-ა. პრობლემის წარმოშობის შემდგომ კი მისთვის ცნობილი გახდა სადავო საკითხების არსებობა, მ. კ-ე ითხოვდა ფართს ან გადახდილი თანხის დაბრუნებას. აღნიშნული პრობლემების მოგვარებას ემსახურებოდა გ. გ-ას მიერ ვალის აღიარების ნოტარიულად გაფორმება, ამ მომენტისათვის საზოგადოების დირექტორი გ. გ-ა იყო, თუმცა თანხა მ. კ-ეს არ დაბრუნებია.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და დაადგინა, რომ გ. ს-მა და გ. გ-ამ, მ. კ-ის შეცდომაში შეყვანისა და მისი კუთვნილი ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, განზრახ დაფარეს სადავო კომერციულ ფართზე იპოთეკის ხელშეკრულების არსებობა, რითაც მოატყუეს იგი და მასთან 2008 წლის 17 ნოემბერს გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის პირობების შეუსრულებლობა ორივე მათგანს იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდა, რითაც მიაღწიეს დასახულ მიზანს და აღნიშნული ხერხით შეძლეს, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ დაზარალებულის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია არსებული დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ სადავო ფართი მ. კ-ის მიერ გ. გ-ასა და გ. ს-ისაგან შეძენის მომენტში არ

იყო უფლებრივად უნაკლო, ანუ დატვირთული იყო იპოთეკით, რაც გ. გ-ამ და გ. ს-მა არ გაუმხილეს მყიდველს – მ. კ-ეს, მოიპოვეს მისი ნდობა, დაარწმუნეს იმაში, რომ უძრავი ქონება უფლებრივად უნაკლო იყო, რითაც შეცდომაში შეიყვანეს, მოატყუეს და ხელშეკრულების გაფორმების გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მის კუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხას.

პალატის ამ მოსაზრებას აძლიერებს საქმის მასალებით დადგენილი ის ფაქტი, რომ 2008 წლის 17 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, როდესაც მ. კ-ემ საჯარო რეესტრში ვერ შეძლო თავის სახელზე აღერიცხა შეძენილი ქონება და გაირკვა შეძენილ ფართზე იპოთეკარების არსებობა, 2009 წლის 29 ივლისს გ. გ-ამ, 20 000 აშშ დოლარად, მ. კ-ისათვის შეუტყობინებლად, იპოთეკით კიდევ ერთხელ დატვირთა იმ მომენტისათვის იპოთეკარებისაგან გამოთავისუფლებული მ. კ-ის მიერ შეძენილი ფართის ნაწილი, რომელიც მისი მოტყუების განზრახვის არარსებობის შემთხვევაში გ. გ-ას და გ. ს-ს შეეძლოთ, გადაეფორმებინათ მ. კ-ისათვის, ან მისთვის გადაეცათ ახალი იპოთეკით აღებული ფულადი თანხა, რაც არ გაუკეთებიათ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გ. გ-ასა და გ. ს-ის ქმედებებით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზარალებულ მ. კ-ის შეცდომაში შეყვანისა და მისი მოტყუების ფაქტი, რაც თაღლითობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და შესაბამისად, არ შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნეულ იქნეს შემდგომში მსჯავრდებულთა მხრიდან ვალის აღიარების გაფორმება, რაც გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი გამართლების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ. ს-ისა და გ. გ-ას ქმედებებში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რაც საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენის გაუქმებისა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენასთან ერთად, გ. გ-ასა და გ. ს-ის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის გამამართლებელი განაჩენი.

გ. გ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. გ-ას 1/4-ით შეუმცირდეს ზემოაღნიშნული მუხლით დანიშნული სასჯელი და განესაზღვროს 4 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2012 წლის 6 აპრილიდან 2013 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2013 წლის 26 ივლისიდან.

გ. ს-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ს-ს 1/4-ით შეუმცირდეს ზემოაღნიშნული მუხლით დანიშნული სასჯელი და განესაზღვროს 4 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2012 წლის 6 აპრილიდან 2013 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2013 წლის 26 ივლისიდან.

განაჩენი აღსასრულებლად მიექცევა გამოქვეყნებისთანავე.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№83-აპ-13

31 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის განაჩენით მ. ჭ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

მ. ჭ-ეს ბრალად ედებოდა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით (2 ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის მაისში მ. ჭ-ემ მოიპოვა ხ. ზ-ის ნდობა და მოტყუებით დაეუფლა მის კუთვნილ ფულად თანხას – 16 000 აშშ დოლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 26289 ლარის დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2011 წლის ივლის-აგვისტოში მ. ჭ-ემ მოიპოვა ნ. ბ-ის ნდობა და მოტყუებით დაეუფლა მის კუთვნილ თანხას – 4345 ევროსა და 10100 აშშ დოლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 26759 ლარის დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ. ქ-მა. მან ითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის განაჩენის გაუქმება და მ. ჭ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი).

გამართლებულმა მ. ჭ-ემ შესაგებლით ითხოვა გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნ. ქ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაზარალებულები ენდობოდნენ მ. ჭ-ეს, რომელმაც ბოროტად ისარგებლა ამ ნდობით და დაზარალებულ ხ. ზ-ს მოტყუებით გამოართვა 16000 აშშ დოლარი; ის ფაქტი, რომ დაზარალებული რამდენიმე თვის განმავლობაში იღებდა ამ თანხის სარგებელს, არ გამორიცხავს მ. ჭ-ის თაღლითურ განზრახვას. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ჭ-ემ დაზარალებულს მიერ პროკურატურაში განცხადების შეტანის შემდეგ შესთავაზა მას ქონება ფორმალურად (რადგან ქონება უკვე დატვირთული იყო იპოთეკით). მ. ჭ-ის მიერ დაზარალებულებისაგან გამორთმეული თანხების, მისი ყოველთვიური შემოსავლის, ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულებების დაანგარიშებისა და ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ იგი ვერ დაფარავდა ხ. ზ-ისა და ნ. ბ-ისთვის გამორთმეულ თანხებს, მითუმეტეს, რომ მას რაიმე სახის ბიზნესი არ ჰქონია. ამდენად, მ. ჭ-ემ თანხების გამორთმევის მომენტში ზუსტად იცოდა, რომ მათ ვეღარ დააბრუნებდა, ამიტომ ჩაიდინა თაღლითობა.

გარდა ამისა, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის დროს დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან მოსამართლე თვითონ ჰკითხავდა მოწმეს. აღნიშნული დარღვევა დაფიქსირდა სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ნ. ქ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და მ. ჭ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ხ. ზ-ისა და ნ. ბ-ის ეპიზოდები).

გამართლებული მ. ჭ-ე შესაგებლით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის გამამართლებელი განაჩენი დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ობიექტური მხრივ თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება. ცხადია,

მოტყუება თავისთავად არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედების შესრულება. მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, შედის თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობაში. ამდენად, თუ არ იკვეთება ქონების დაუფლებისას პირის მოტყუება, ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი, ურომლისოდაც ქმედების თაღლითობით კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

მოტყუება ეს არის ქმედებების განზრახ დამახინჯება ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვა ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. მოტყუება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ ქმედებაში, ისე პასიურში. მოტყუების ფორმაა აგრეთვე ნდობის ბოროტად გამოყენება. ასეთ შემთხვევებში დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებობს პირადი ან სპეციალური უფლებამოსილების ნდობა, რაც ხშირად გამოიხატება მათ სამოქალაქო სამართლებრივ ან შრომით ურთიერთობაში.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს მ. ჭ-ის უდანაშაულობის თაობაზე დაზარალებულ ნ. ბ-ის თანხის დაუფლების ეპიზოდში და მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მ. ჭ-ეს იგი არ მოუტყუებია. როგორც დაზარალებულმა დაკითხვისას განმარტა, მან მ. ჭ-ეს თანხა ასესხა იმიტომ, რომ მისთვის ცნობილი იყო ჭ-ების კარგი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მ. ჭ-ეც და ნ. ბ-ეც ადასტურებენ, რომ თანხა ავეჯისთვის იყო გამიზნული. ამასთანავე, პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ ნ. ბ-ემ სამართალდამცავ ორგანოებს საჩივრით მიმართა მანამ, სანამ ვალის დაბრუნების დრო დადგებოდა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მ. ჭ-ე დააკავეს 2012 წლის 6 ივლისს (დაზარალებულ ხ. ზ-ის ეპიზოდთან დაკავშირებით), ხოლო თანხის გადახდის ვადა 2012 წლის 23 აგვისტოს იწურებოდა, რაც ობიექტურად შეუძლებელს ხდიდა მ. ჭ-ის მხრიდან ნ. ბ-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაზარალებული ნ. ბ-ე ადასტურებს, რომ მ. ჭ-ემ მას პროცენტის გადახდა დეკემბრიდან შეუწყვიტა, რაც ობიექტურად ემთხვევა მ. ჭ-ის ჯანმრთელობის გაუარესებისა და სამსახურის დაკარგვის პერიოდს. შესაბამისად, პროკურორის პოზიცია, რომ მ. ჭ-ეს ნ. ბ-ისთვის გამორთმეული თანხის მისაკუთრების მიზანი ჰქონდა, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულ ნ. ბ-ის თანხის დაუფლების ეპიზოდში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება მ. ჭ-ის მხრიდან ნ. ბ-ის მოტყუება და მისი ქონების მისაკუთრების მიზანი, რაც გამორიცხავს მ. ჭ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

რაც შეეხება მ. ჭ-ის მიერ დაზარალებულ ხ. ზ-ის თანხის დაუფლების ეპიზოდს, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია მ. ჭ-ის ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, კერძოდ:

დაზარალებულმა ხ. ზ-მა აჩვენა, რომ მ. ჭ-ის და – ქ. ჭ-ე არის მისი მეჯვარე და ბავშვის ნათლია. 2011 წლის მაისში ქ-მა მას სთხოვა ესესხებინა 5000 აშშ დოლარი, რაც ნათესავის სწავლის დასაფინანსებლად სჭირდებოდა. მანვე სთხოვა, რომ აღნიშნული თანხა გადაეცა მისი დისთვის – მ. ჭ-ისთვის. ენდობოდა რა ქ-ს, ასეც მოიქცა. შეთანხმებისამებრ, მ. ჭ-ემ გადაუხადა ხ. ზ-ს ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეების პროცენტები. აგვისტოში ქ-ი კვლავ დაუკავშირდა მას და სთხოვა, დამატებით კიდევ ეშოვა მისთვის იმდენი თანხა, რამდენიც შეეძლო, თვითონ 11000 აშშ დოლარი სჭირდებოდა. მისივე თქმით, მის სიძეს, მ. ჭ-ის ქმარს, ჰქონდა მანქანის საღებავებისა და საბურავების ბიზნესი. საქონელი ფოთის პორტში იყო გაჩერებული. აღნიშნული თანხა განსაბაჟებლად სჭირდებოდათ და როგორც კი საქონელს გაყიდდნენ, მაშინვე დაუბრუნებდნენ. მანამდე კი თვეში თანხის 10% – ს გადაიხდიდნენ სარგებლის სახით, როგორც წინა თანხის – 5000 აშშ დოლარის შემთხვევაში იხდიდნენ. ენდობოდა რა ჭ-ებს, ხ. ზ-მა, ქ-ის თხოვნით, აღნიშნული თანხა გადასცა მის დას – მ. ჭ-ეს. 11000 აშშ დოლარის გადაცემის შემდეგ მ. ჭ-ეს ხ. ზ-ისთვის აღარც პროცენტი გადაუხდია და აღარც „ძირი თანხა“ დაუბრუნებია. ხ. ზ-მა ასევე განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ ქ. ჭ-ეს სთხოვა, წასულიყვნენ და გაერკვიათ მართლა სჭირდებოდათ თუ არა ბ-ებს სწავლის ფული, რაზეც ქ-მა უარი განუცხადა და აღიარა, რომ თანხა მათ არ დასჭირვებიათ. რაც შეეხება ბიზნეს საქმიანობისთვის გამორთმეულ თანხას – 11000 აშშ დოლარს, თავიდან ჭ-ეები უმტკიცებდნენ, რომ საქონელი ფოთის პორტში იყო გაჩერებული, შემდეგ ეუბნებოდნენ, რომ საქონელი ნამდვილად შეძენილი ჰქონდათ საბერძნეთში, ხოლო გამოგზავნა იქ არსებული პოლიტიკური კრიზისის გამო გვიანდებოდა. როგორც შემდგომ გაირკვა, საქონელი არც ფოთში იყო და არც – საბერძნეთში. ხ. ზ-მა ასევე განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ურთიერთობა დაიძაბა, ჭ-ეებმა შესთავაზეს მ-ის საკუთრებაში არსებული ბინის იპოთეკით დატვირთვა, რაზეც ხ-მ უარი განაცხადა, ვინაიდან ბინა იპოთეკით იყო დატვირთული. მისივე ინფორმაციით, ამ ბინას დაყაღღებასაც უპირებდნენ. ნაცნობმა ნოტარიუსმა უთხრა, რომ აზრი არ ჰქონდა ამ ბინის იპოთეკით დატვირთვას, რადგან თანხის ნაწილსაც ვერ ამოიღებდა. რაც შეეხება ჭ-ეების მიერ შეთავაზებულ 33კვ.მ. მიწის ნაკვეთს, ხ. ზ-მა განაცხადა, რომ აღნიშნული ნაკვეთის ღირებულება ვერ დაფარავდა 16000 აშშ დოლარს, შესაბამისად, არ დაინტერესებულა მისით. შეთავაზებულ მანქანაზეც უარი თქვა იმ მოტივით, რომ სესხით იყო გამოყვანილი.

მონმე ი. ნ-ემ აჩვენა, რომ ქ. ჭ-ე – მისი მეუღლის მეჯვარე – დაუკავშირდა ხ-ს და სთხოვა 5000 აშშ დოლარი ესესხებინა მისი ნათესავის სწავლის დასაფინანსებლად, რომლის პროცენტსაც თვითონ ის ნათესავი გადაიხდიდა. როდესაც თანხა იშოვეს, ქ-ის თხოვნით, მისმა მეუღლემ – ხ. ზ-მა აღნიშნული თანხა მ. ჭ-

ეს გადასცა. თანხის გადაცემის შემდეგ, ნელ-ნელა, მ. ჭ-ემ დაიწყო მის ოჯახთან დაახლოება. სამი თვის განმავლობაში უხდოდა 500-500 აშშ დოლარს – პროცენტის სახით. ამ პერიოდში დები ჭ-ეები იჩენდნენ გადამეტებულ ყურადღებას მისი შვილების მიმართ – დაჰყევოდნენ ეკლესიაში, უგზავნიდნენ საჩუქრებს. აგვისტოში გადახდილი პროცენტის – 500 აშშ დოლარის შემდეგ, ქ. ჭ-ე დაუკავშირდა ხ. ზ-ს და სთხოვა თანხა მისი სიძის – გ. თ-ის ბიზნესისთვის, კერძოდ: გ. თ-ს უნდა შემოეტანა მანქანის საბურავები და საღებავები. საქონელი იყო ფოთში და ექვემდებარებოდა განბაჟებას. მისი თქმით, თანხა სწორედ ამ მიზნით ესაჭიროებოდათ. აღნიშნული ვითარება მათ მ. ჭ-ემაც დაუდასტურა. როდესაც ჰკითხეს, თუ რა ოდენობის თანხა ესაჭიროებოდათ, მათ უთხრეს რომ ბევრი სჭირდებოდათ, თან ამბობდნენ, „როგორც 5000 აშშ დოლარის პროცენტს გიხდით პირნათლად, ისე გადაგიხდით ამასაცო“. ქ-ის თხოვნით, ფული მ. ჭ-ეს გადასცეს, რის შემდეგაც შეწყდა პროცენტების გადახდა. მისივე განმარტებით, მან დებს შესთავაზა ბ-ეებთან წასვლა და იმის გარკვევა, მართლა დასჭირდათ თუ არა სწავლის ფული, რაზეც ორივე დამ უთხრა, რომ მათმა ახლობელმა ეს თანხა დააბრუნა და შემდეგ თავიანთი საჭიროებისთვის გამოიყენეს. ი. ნ-ემ ასევე აღნიშნა, რომ მ-მა მის მეუღლეს რაღაც ფაილებიც გაუგზავნა, თითქოს საქონელი შეძენილი იყო საბერძნეთში, რაც ასევე ტყუილი აღმოჩნდა. ბინა, რომელიც შესთავაზეს ჭ-ეებმა თანხის სანაცვლოდ, იყო დატვირთული იპოთეკით ბანკ „რესპუბლიკის“ მიერ. ცოტა ხანში ისიც გაიგეს, რომ ამ ბინას მეორადი დამყვარლებელიც ჰყავდა სასამართლოს გადაწყვეტილებით. ი. ნ-ემ დაადასტურა, რომ მის მეუღლეს 11000 აშშ დოლარის პროცენტი არ მიუღია. რაც შეეხება ჭ-ეების მიერ შეთავაზებულ ფართს, მიზერული ფართი იყო და არც დაინტერესებულა მისით. მან და მისმა მეუღლემ მოითხოვეს სხვა უძრავი ქონების დატვირთვა იპოთეკით, რაზეც სასტიკი უარი მიიღეს. მათი ინფორმაციით, ეს ბინა მ. ჭ-ეს ეკუთვნოდა, რომელიც ჯერ დედამისის, ხოლო შემდეგ – დეიდამისის სახელზე გადააფორმა, რათა არ დაეყადაღებინათ. ი. ნ-ემ აღნიშნა, რომ მანქანა მას გ. თ-მა მხოლოდ მას შემდეგ შესთავაზა, როცა საჩივარი შეიტანეს, ხოლო რაც შეეხება ქ-ს მანქანას, მისთვის ის არავის შეუთავაზებია და არც რაიმე ინფორმაციას ფლობს აღნიშნულთან დაკავშირებით.

მონმე გ. თ-მა აჩვენა, რომ მან არ იცოდა თავისი მეუღლის – მ. ჭ-ის ვალების შესახებ. მანვე განაცხადა, რომ არ ენევა არანაირი სახის ბიზნეს საქმიანობას. მისივე თქმით, მ-ის დეიდაშვილი არის საზღვარგარეთ, მაგრამ იქ რას საქმიანობს, არ იცის. გ. თ-მა აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია, სად წაიღო მ. ჭ-ემ აღნიშნული თანხები. მისი ინფორმაციით, მ-ს ხ-სთვის დაახლოებით 5000 აშშ დოლარი აქვს გადახდილი პროცენტის სახით.

მონმე ქ. ჭ-ემ აჩვენა, რომ 2011 წლის მაისში მას დაუკავშირდა თავისი და – მ. ჭ-ე და სთხოვა ეშოვა მისთვის 5000 აშშ დოლარი – პროცენტის ვალი სწავლასთან დაკავშირებით. ქ. ჭ-ე დაუკავშირდა ხ. ზ-ს, რომელთანაც ჰქონდა ახლო ურთიერთობა და სთხოვა აღნიშნული თანხის სესხება. როდესაც ხ-მ უშოვა თანხა, ქ-მა უთხრა, რომ მას დაუკავშირდებოდა მისი და – მ. ჭ-ე და ერთმანეთში მოეგვარებინათ საქმე, რის შემდეგაც, ხ. ზ-მა, როგორც მისთვის ცნობილია, გადასცა 5000 აშშ დოლარი მ. ჭ-ეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როგორც იცის, მ. ჭ-ემ კვლავ გამოართვა ხ. ზ-ს 11000 აშშ დოლარი, თუმცა მისთვის უცნობია – რამდენი ხნით და რამდენი პროცენტით. მანვე განმარტა, რომ როგორც იცის, „ძირითადად“ არ არის დაფარული, თუმცა მ-ს როგორც 5000, ისე 11000 აშშ დოლარის გარკვეული პროცენტები გადახდილი აქვს. ქ. ჭ-ემ ასევე განმარტა, რომ არც მის დას და არც მის სიძეს რაიმე ბიზნესი არ ჰქონიათ. ქ. ჭ-ემ აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, მათ ახლობელს თანხა – 5000 აშშ დოლარი აღარ დასჭირდა და აღნიშნული თანხა გამოიყენა მ-მა.

ბრალდებულმა მ. ჭ-ემ განმარტა, რომ მან ხ. ზ-ს გამოართვა სესხი – 5000 აშშ დოლარი 10%-იანი სარგებლით. ახსოვს, რომ სექტემბერშიც გადაიხადა, თუმცა ოქტომბერში გადაიხდა თუ არა პროცენტი – არ ახსოვს. 2011 წლის იანვარში ბანკმა „რესპუბლიკამ“ გაუხსნა გენერალური საკრედიტო ხაზი 50000 აშშ დოლარზე 25 წლით. თავდაპირველად გამოუყვეს 30000 აშშ დოლარი, დანარჩენი 20000 აშშ დოლარი ჰქონდა რეზერვში. სესხის აღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორ შეასრულებდა პირობებს, შეუვსებდნენ ლიმიტს და 13 იანვარს ახალ სესხს მისცემდნენ. სწორედ ამ სესხის იმედი ჰქონდა. გართულებული ჯანმრთელობის გამო, მუშაობა ვეღარ გააგრძელა და სამსახურიდან გაათავისუფლეს. მ. ჭ-ემ დაადასტურა, რომ შეთავაზებული ბინა იპოთეკითაც იყო დატვირთული ბანკის მიერ და ყადაღაც ედო კერძო პირის სასარგებლოდ. მ. ჭ-ემ ასევე დაადასტურა, რომ თანხა ნათესავს აღარ დასჭირდა და 3 თვის განმავლობაში დაუბრუნა ეტაპობრივად. რაც შეეხება 11000 აშშ დოლარს, მ. ჭ-ემ ასევე დაადასტურა, რომ ხ. ზ-ი მოატყუა, თითქოს თანხა მეუღლის ბიზნესისთვის სჭირდებოდა, მაგრამ რეალურად ავეჯის საყიდლად უნდოდა და არანაირი ბიზნესი არც მას და არც მის ქმარს არ ჰქონიათ. რაც შეეხება ხ-სთვის გაგზავნილ წერილს, რომ თითქოს საქონელი შეკვეთილი იყო საბერძნეთში, მან აღნიშნა, რომ ხ-ს ეუბნებოდა იმას, რასაც მისი მეუღლე ეუბნებოდა და სინამდვილეში არ იცოდა, საქონელი მართლა იყო შეკვეთილი თუ არა. თუმცა წერილში, რომელიც ელექტრონულ მისამართზე გაუგზავნა, მითითებული იყო, რომ საქონლის შეკვეთა გაკეთებულია. მისი განმარტებით, მან იმიტომ მოატყუა ხ. თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით, რომ მის მშობლებს და დას რომ გაეგოთ, რომ ფული ავეჯისთვის უნდოდა, უარს ეტყოდნენ და ახალ სახლში ვერ გადავიდოდა. მ. ჭ-ემ აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა ნოემბრიდან დაუძიმდა, ხოლო სამსახურიდან იანვარში გაათავისუფლდა. მისი განმარტებით, ხ. ალბათ მაინც ასესხებდა ფულს, თუმცა სიმართლე რომ ეთქვა, მისი ოჯახი გაიგებდა და გაბრაზდებოდა იმიტომ, რომ მისი მეუღლე ოჯახისთვის მიუღებელი იყო. მ. ჭ-ემ დაადასტურა, რომ ბინა, რომელიც ხ. ზ-ს შესთავაზა თანხის სანაცვლოდ, იპოთეკით იყო დატვირთული და ასევე კერძო პირის სასარგებლოდ იყო დაყადაღებული.

მონმე რ. გ-მა აჩვენა, რომ როდესაც შეიტყო ჭ-ეების მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ კი ის, რომ მათ სხვა ბევრი მევალეც ჰყავდათ ნ. ბ-ის გარდა, დაურეკა ამ უკანასკნელს და გააფრთხილა, რათა ის არ დარჩენილიყო თავისი კუთვნილი თანხის გარეშე.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა მ. ჭ-ის მიერ ხ. ზ-ისთვის 2012 წლის 13 მარტს ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „ხ. გამარჯობა. ვიცი ქ-ისთვის გითქვამს მატყუებსო. ამიტომ გიგზავნი ფაილებს, სადაც ნათლად ჩანს ჩვენს მიერ გაკეთებული შეკვეთა. კარგად იცი საბერძნეთის მდგომარეობა ამ ეტაპზე, რის გამოც გვიანდება ამ პროდუქციის ჩამოსვლა. ვიცი ჩემს და შენს პრობლემებს ეს არც ამართლებს და არც შველის ამ წუთს, მაგრამ არ მინდა გეგონოს რომ რამეს გატყუებ“.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული აუდიოჩანაწერით დასტურდება, რომ ხ. მ-ს სთხოვს მათ შორის არსებული ზეპირი ხელშეკრულების ნოტარიუსთან გაფორმებას, რაზეც მ. ითხოვს ვადას.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მ. ჭ-ის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მან ხ. ზ-ს მხოლოდ იმიტომ უთხრა ტყუილი არარსებულ ბიზნესთან დაკავშირებით, რომ თითქოს არ სურდა მის ოჯახს გაეგო, რომ მას ბინისთვის სჭირდებოდა თანხა და მიაჩნია, რომ ამით მ. ჭ-ე ცდილობდა პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, ვინაიდან მან ნ. ბ-ეს სწორედ ბინისთვის გამოართვა ფული და ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ ნ. ბ-ეს არ დაუმალა აღნიშნული გარემოება და არ შეემინდა ოჯახის რეაქციისა.

სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს გ. თ-ის ჩვენებას, რომ თითქოს მ-ს პროცენტის სახით ზ-ისთვის გადახდილი აქვს 5000 აშშ დოლარი, ვინაიდან ეს ჩვენება ეწინააღმდეგება როგორც ხ. ზ-ისა და მისი მეუღლის, ისე თვითონ მ. ჭ-ის ჩვენებას, რადგან მ-ის განმარტებით, მან გადაიხადა სამი თვის – 500-500 აშშ დოლარი და ერთი თვის – 1600 აშშ დოლარი, რაც ჯამში 3100 დოლარს შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. თ-მა მ-ისთვის პასუხისმგებლობის ასარიდებლად მიუთითა, რომ მას პროცენტის სახით 5000 აშშ დოლარამდე აქვს გადახდილი, რეალურად კი მისთვის უცნობია, თუ რა ოდენობის პროცენტი აქვს მ. ჭ-ეს გადახდილი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ჭ-ის განმარტება, რომ იგი აპირებდა ბანკ „რესპუბლიკის“ მიერ დამტკიცებულ სესხით იანვარში გაესტუმრებინა ვალები, ასევე მოგონილია პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, ვინაიდან, მისივე განმარტებით, მისთვის ბანკს კრედიტის სახით უნდა მიეცა 20000 აშშ დოლარი, ხოლო მარტო ხ. ზ-ისთვის მას 16000 აშშ დოლარი ჰქონდა დასაბრუნებელი პროცენტის გარეშე, 10000 დოლარზე მეტი კი ნ. ბ-ისთვის ჰქონდა მისაცემი. მასვე პროცენტები უნდა ეხადა ბანკისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა მ. ჭ-ეს თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხ. ზ-ს, თუ მისთვის მნიშვნელოვანი იყო სესხის მიზნობრიობა, უნდა გადაემონებინა, მართლა ენეოდა თუ არა მ. ჭ-ის მეუღლე ბიზნეს საქმიანობას და მიაჩნია, რომ მ. ჭ-ემ სწორედ იმით ისარგებლა, რომ ნდობის მაღალი ფაქტორი არსებობდა ამ ადამიანებს შორის და მეტი დამაჯერებლობისთვის არარსებული ბიზნეს საქმიანობაც დაამატა.

სასამართლო აღნიშნავს: ის ფაქტი, რომ მ. ჭ-ე ადასტურებს ვალის არსებობას, არ გამორიცხავს მის მიერ ხ. ზ-ის თანხის მისაკუთრების მიზანს. რაც შეეხება ჭ-ეებისთვის ბინის, მანქანისა და ფართის შეთავაზებას, საკასაციო პალატა მიუთითებს: ბინა, რომელიც დაზარალებულს შესთავაზა მ. ჭ-ემ, იყო ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და ასევე – კერძო პირის სასარგებლოდ დაყადაღებული, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული შეთავაზება ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ გამორიცხავს მ. ჭ-ის მხრიდან ხ. ზ-ის ფულის მისაკუთრების განზრახვას, ვინაიდან მ. ჭ-ე კარგად აცნობიერებდა, რომ მას შემდეგ, რაც პირველი იპოთეკარები დაკმაყოფილდებოდნენ, ხ. ზ-ს შესაძლოა, საერთოდ ვერაფერი მიეღო. რაც შეეხება შეთავაზებულ ფართს, ხ. ზ-ისა და მისი მეუღლის განცხადებით, ფართით ისინი არ დაინტერესებულან, ვინაიდან იგი იყო მიზეზი. რაც შეეხება შეთავაზებულ მანქანას, ხ. ზ-მა განაცხადა, რომ მანქანაც სესხით იყო გამოყვანილი, ხოლო ი. ნ-ის ჩვენებით, მას საერთოდ არ სმენია, რომ ქ-მა მანქანა შესთავაზა მის მეუღლეს. მას მანქანა შესთავაზა მხოლოდ მ. ჭ-ის მეუღლემ – გ. თ-მა და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, როცა საჩივრით მიმართეს პროკურატურას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. ჭ-ის მხრიდან ხ. ზ-ის ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მისი შეცდომაში შეყვანით მისი კუთვნილი ფულადი თანხის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, კერძოდ: მ. ჭ-ემ მოიპოვა ხ. ზ-ისა და მისი ოჯახის ნდობა, დაარწმუნა იმაში, რომ ბიზნეს საქმიანობიდან ამოღებული ფულით მალევე დაუბრუნებდა ვალს, რითაც შეცდომაში შეიყვანა და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მის კუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ჭ-ე არა მხოლოდ თანხის დაუფლების მომენტში, არამედ შემდეგაც განაგრძობდა ხ. ზ-ის მოტყუებას, რაც დასტურდება ხ. ზ-ისა და ი. ნ-ის ჩვენებებით, გამოკვლეული ელექტრონული წერილით და თავად მ. ჭ-ის ჩვენებით.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ჭ-ის ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა (დაზარალებულ ხ. ზ-ის ეპიზოდი), რაც საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის გასაჩივრებულ გამამართლებელ განაჩენში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: მ. ჭ-ის პირად მდგომარეობას – მას ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ასევე იმ გარემოებას, რომ მ. ჭ-ე აღიარებს ვალის არსებობას და გამოხატავს მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი და მიაჩნია, რომ მ. ჭ-ისთვის მიზანშეწონილია ისეთი სასჯელის დანიშვნა, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მ. ჭ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულ ხ. ზ-ის ეპიზოდი) და სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 7 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. ჭ-ეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს ჯარიმა – 5 000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თ ვ ი ტ ნ ე ზ ო ბ ა

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№123-აპ-13

25 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის განაჩენით:

ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით – ჯარიმა 1000 ლარი, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარი.

ა. კ-ე დააკავეს სასამართლო სხდომის დარბაზში და შეასახლეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში. მასვე სასჯელის მოხდელ ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 6 დეკემბრიდან 2011 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით და სასჯელის ვადა აეთვალა 2013 წლის 28 მარტიდან.

ა. კ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა ბრალდებულ ა. კ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების – 8000 ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად რ. ს-ს (პირადი №) სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ – 8000 ლარის ღირებულების ნილ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. ბ-ი, დასახლება ა-ა, სარეგისტრაციო ზონა – ბ-ი, სექტორი – , კვარტალი – , ნაკვეთი – .

ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით – ჯარიმა 1000 ლარი, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარი.

აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა ბრალდებულ ა. გ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების – 5000 ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად რ. ხ-ს სახელზე საკუთრების უფლებით

რიცხულ – 5000 ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას, მდებარეს ხ-ს რაიონში, შპს „თ-ი“, სარეგისტრაციო ზონა – ხ-ი, სექტორი – თ-ი, კვარტალი – , ნაკვეთი –.

ა. გ-ი დააკავებს სასამართლო სხდომის დარბაზში და შეასახლეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და სასჯელის ვადა აეთვალა 2013 წლის 28 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულებმა – ა. კ-მ და ა. გ-ა ჩაიდინეს ს. თ-ს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება და ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 26 ნოემბერს, დაახლოებით 00.10 საათზე, ქ. ბ-ი, ბ-ს ქუჩაზე არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. კ-ე, ა. გ-ნ და ამ ეტაპზე გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების მიზნით, თავს დაესხა თ-ს რესპუბლიკის მოქალაქეებს – თ. ქ-ს და ს. თ-ს, რადროსაც ამ უკანასკნელს ისეთი ქმედებით, რომელიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არ არის საშიში, მიაყენა მსუბუქი ზარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ს. თ-ს ფულად თანხას – 1000 დოლარსა და 50 ლარს, ასევე თ. ქ-ს მფლობელობაში არსებულ, 7425 ლარად ღირებულ „აუდის“ მარკის ავტომანქანას, სახ. №.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 19 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. გ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით და შეეფარდა ჯარიმა – 1000 ლარი.

იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზში განაჩენის გამოცხადებისთანავე.

ა. კ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით და შეეფარდა ჯარიმა – 1000 ლარი.

ა. კ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზში განაჩენის გამოცხადებისთანავე.

გაუქმდა ა. კ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ყადაღა მოეხსნა ბრალდებულ ა. კ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების – 80000 ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად რ. ს-ს სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ, 8000 ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას, მდებარეს ქ. ბ-ი, დასახლება ა-ა, სარეგისტრაციო ზონა – ბ-ი, სექტორი – , კვარტალი – , ნაკვეთი –.

გაუქმდა ა. გ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ყადაღა მოეხსნა ბრალდებულ ა. გ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების – 5000 ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად რ. ხ-ს სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ, 5000 ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას, მდებარეს ხ-ს რაიონში, შპს „თ-ი“, სარეგისტრაციო ზონა – ხ-ი, სექტორი – თ-ი, კვარტალი – , ნაკვეთი –.

ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. ხ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 19 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების – ა, კ-ა და ა. გ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. ხ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები. მათ იშუამდგომლეს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ა. კ-ე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს, დაზარალებულების – თ. ქ-ა და ს. თ-ს ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა მთლიანად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მოტივაციას მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში მათი უდანაშაუ-

ლობის თაობაზე და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი აღნიშნულთან დაკავშირებით არის უსაფუძვლო შემდეგ გარემოებათა გამო:

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს მიერ ძარცვის ჩადენის ნაწილში, რაც მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლომ, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნიოს ა. კ-ა და ა. გ-ს მიერ ძარცვის ჩადენის ფაქტი.

როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო სასამართლო დამაჯერებლად ვერ მიიჩნევს მოწმე მ. ს-ს ირიბ ჩვენებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნაცემი თურქი ეროვნების პიროვნება დარბოდა, სახელს იძახდა და ეძებდა გ-ს; ამბობდა „ფული მქონდა 1000 დოლარი და ლარები“; მართალია, თურქული ენა არ იცის, მაგრამ პოლიციელმა უთხრა, რასაც ამბობდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ირიბი ჩვენება მაშინ არის დასაშვები, თუ ის დასტურდება ინფორმაციის წყაროს მითითებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში მტკიცებულებების სახით არ არის წარმოდგენილი იმ პოლიციელების ჩვენებები, ვისგანაც მ. ს-მ მოისმინა ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

ამასთან, მ. ს-ს მეუღლის, მოწმის სახით დაკითხული გ. შ-ა და ასევე შემთხვევის ადგილზე გასული, მოწმე მ. ა-ს ჩვენებებით არ დასტურდება მ. ს-ს ჩვენება ფულთან დაკავშირებით. პირიქით, გ. შ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ესმის თურქული ენა და როცა შემთხვევის ადგილზე გავიდა, თურქი ეროვნების ნაცემ მამაკაცს სიტყვა „ფული“ არ უხსენებია, არც მანქანაზე უთქვამს რაიმე, ხოლო მოწმე – თურქული ენის მცოდნე მ. ა-ს ჩვენებით, მას ფულის შესახებ არაფერი გაუგონია.

უფრო მეტიც: თავად დაზარალებულ ს. თ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე ფულის დაკარგვის შესახებ არ უხსენებია; მან ფულის დაკარგვის ფაქტი აღმოაჩინა პოლიციაში მას შემდეგ, რაც ნახა, რომ საათი აღარ ეკეთა; პოლიციელთან ერთად დაბრუნდა ცემის ადგილას და პოლიციელმა საათი წყალში იპოვა, ამბობდა, ფულიც აქ იქნებოდა, მაგრამ ფული ვერ ნახეს.

რაც შეეხება დაზარალებულ ს. თ-ს ჩვენებას იმის შესახებ, რომ ჩხუბის დროს ვიღაცამ ჯიბეში ჩაუყო ხელი, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მსჯავრდებულებს მსჯავრი დაედოთ ძარცვაში.

დაზარალებული ს. თ-ი ვერ მიუთითებს, კონკრეტულად ვინ იყო ის პირი, ვინც ჯიბეში ჩაუყო ხელი. როგორც მისი, ასევე მეორე დაზარალებულის – თ. ქ-ს ჩვენებებით დასტურდება, ცემის დროს არც თანხა და არც სხვა რაიმე ნივთი მათთვის არ მოუთხოვიათ და არც გაუჩხრეკიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ინციდენტში მონაწილე ყველა პირი იყო თანამსრულებელი და ყველა მათგანის განზრახვა მოიცავდა ძალადობის გამოყენებით თანხის დაუფლების მიზანს.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობა მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს მიერ დაზარალებულ ს. თ-ს კუთვნილი თანხის ძარცვის გზით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების თაობაზე.

საკასაციო პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც თ. ქ-ს მფლობელობაში არსებული, 7425 ლარად ღირებული „აუდის“ მარკის ა/მანქანის ძარცვის ნაწილში არსებობს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქმეში არსებული მასალებით საკასაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ავტომანქანა მინდობილობის საფუძველზე ჰქონდა გადაცემული დაზარალებულ თ. ქ-ს და არავის ჰქონდა უფლება, დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, შეეწყვიტა მისი უფლება – ესარგებლა მანქანით.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ შემდეგ მტკიცებულებებზე მითითებით:

დაზარალებულების – თ. ქ-ა და ს. თ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ თ. ქ-ს ა/მანქანა მინდობილობით ჰქონდა გადაცემული ა-ს ნათესავისაგან. საჭიროების შემთხვევაში თ. ქ-ს მანქანას გადასცემდა ა. და თ-ნ ჩამოსვლის შემდეგ თ. უბრუნებდა მანქანას ისევ ა-ს, რომელსაც ის მიჰყავდა მესაკუთრესთან.

აღნიშნულს ადასტურებს თავის ჩვენებაში ავტომანქანის მესაკუთრე – რ. ს-ე. იგი ასევე მიუთითებს, რომ შემთხვევის დღეს სახლთან ახლოს, 30 მეტრში, დაუტოვეს მანქანა, ვინაიდან საბურავი იყო დაშვებული. მაგრამ არ დაურეკავთ. იცოდა, რომ სხვა არ მიიყვანდა. ვარაუდით, მათ უნდა მიეყვანათ. იცოდნენ, რომ მეორე გასაღები ჰქონდა.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს განზრახვაში არ იკვეთება ავტომანქანის მისაკუთრების მიზანი. ამ აუცილებელი მაკვალიფიკირებელი ნიშნის გარეშე მსჯავრდებულების ქმედებაში არ შეიძლება არსებობდეს და არც არსებობს ძარცვის შემადგენლობა.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებმა – ა. კ-მ და ა. გ-მ, დაზარალებულების – თ. ქ-ა და ს. თ-ს მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენების შედეგად, წაიყვანეს რა თ. ქ-ს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ავტომანქანა მისი ნების საწინააღმდეგოდ, რითაც დაზარალებულებს მოუსპეს საშუალება ესარგებლათ ავტომანქანით, აღნიშნული ქმედებით ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

საქმეში წარმოდგენილი მინდობილობის თანახმად, თურქეთის მოქალაქე თ. ქ-ს ჰქონდა „აუდის“ მარკის ა/მანქანის მართვის, მისი საზღვარგარეთ გადაყვანისა და მართვასთან დაკავშირებული სხვა მოქმე-

დებების შესრულების უფლება. მას უფლება არ ჰქონდა, თავისი შეხედულებისამებრ, აღნიშნული ავტომანქანა მართვის უფლებით გადაეცა სხვა პირისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მსჯავრდებულებმა – ა. კ-მ და ა. გ-ა თ. ქ-ა და ს. თ-ს არ გადაუხადეს მათთვის კუთვნილი თანხა და აიყვანეს ისინი სასჯელაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. მანქანის საჭესთან იჯდა თ. ქ-ი, რომელიც მანქანას მართავდა მინდობილობით, მან გასაღები ჩატოვა მანქანაში და ისე გადავიდა სალაპარაკოდ ა. კ-ა და ა. გ-ნ. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ თ. ქ-ს ნებაყოფლობით არ გადაუცია მანქანის გასაღები მათთვის. მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულებმა და მათთან მყოფმა პირებმა დაზარალებულებს – თ. ქ-ა და ს. თ-ს სცემეს თ. ქ-ი, მის მიმართ გამოყენებული ძალადობისა და ძალადობის მუქარის გამო, იძულებული გახდა, გაქცეულიყო და მიეტოვებინა მის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ა/მანქანა, მიუხედავად იმისა, რომ ა. კ-ა და ა. გ-ს მისთვის კუთვნილი თანხა არ მიუციათ.

მსჯავრდებულებმა – ა. კ-მ და ა. გ-ა მათთვის დაგულებული უფლებით, რომ რადგან ა/მანქანა ეკუთვნოდა მათ ახლობელს და მასთან მანქანა სხვა დროსაც მიჰყავდათ ხოლმე, თ. ქ-ა და ს. თ-ს მიმართ გამოყენებული ძალადობის მიუხედავად, მანქანა თვითონ წაიყვანეს და გააჩერეს მესაკუთრის სახლთან ახლოს, რითაც უგულებელყვეს კანონით დადგენილი წესი, რომ პირს, რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში ჰყავდა ა/მანქანა, უფლება ჰქონდა ნებაყოფლობით გადაეცა ა/მანქანა მათთვის, თუ ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულებმა – ა. კ-მ და ა. გ-ა თ. ქ-ს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ, წაიყვანეს ა/მანქანა თვითნებურად. თ. ქ-ა ვერ ისარგებლა მისთვის მინდობილობის საფუძველზე მინიჭებული უფლებით, მანქანა ჰყოლოდა თავის მართლზომიერ მფლობელობაში და ესარგებლა მისით საჭიროებისამებრ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ასევე საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა მსჯავრდებულების – ა. კ-ა და ა. გ-ს მიმართ სასჯელის დაწესებისას ითვალისწინებს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მათ პიროვნებებსა და წარსულ ცხოვრებას, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ა. კ-ს შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნია, ხოლო ა. გ-ს შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ არის ნასამართლობის არმქონე და ჰყავს ოჯახი.

ამასთან, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დადგენისას, ამავე კანონით საქართველოს სსკ-ის 414-ე მუხლზე დამატებული მე-8 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, რომ გამოყენებულ იქნეს სასჯელთა შთანთქმის პრინციპი, რის საფუძველზეც უნდა განესაზღვროთ მსჯავრდებულებს – ა. კ-ა და ა. გ-ს საბოლოო სასჯელის ზომა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ხ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 19 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით – ჯარიმა 1000 ლარი, 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ა. კ-ს მოსახდელად განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ა. კ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2012 წლის 6 დეკემბრიდან 2012 წლის 11 დეკემბრამდე და 2013 წლის 28 მარტიდან 2013 წლის 19 ივნისის ჩათვლით.

მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავების მომენტიდან.

ა. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით – ჯარიმა 1000 ლარი, 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი საბოლოოდ ა. გ-ს მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. გ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2012 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე და 2013 წლის 28 მარტიდან 2013 წლის 19 ივნისის ჩათვლით.

მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავების მომენტიდან.

განაჩენი აღსასრულებლად მიექცეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. კ-ე დაკავებულ იქნეს და შესახლდეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

ა. გ-ი დაკავებულ იქნეს და შესახლდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის დანესებულ ბაში.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№87-აპ-13

25 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ბ. ზ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სილნალის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ბ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 1 მაისს, დაახლოებით 20 საათზე, სილნალის რაიონის სოფელ ... ბ. ზ-ი „HONDA HRV-ის“ მარკის ავტომანქანით, რომელსაც თვითონვე მართავდა, იმყოფებოდა მეგობრის, ი. ჯ-ის სახლთან. ბ. ზ-ის გვერდით იჯდა ი. ჯ-ი, ხოლო ავტომანქანის უკანა სავარძელზე – ბ. ზ-ის ახლობელი ხ. მ-ი თავის შვილებთან ერთად. ამ დროს მათთან მივიდა მთვრალი ა. გ-ი, რომელიც შეეცადა ბ. ზ-ის მანქანაში ჩაჯდომას, რისი ნებაც არ მისცეს ბ. ზ-მა და ი. ჯ-მა, რადგან მანქანაში ადგილი არ იყო. უარის გამო გაღიზიანებულმა ა. გ-მა ბ. ზ-ს დაუწყო ლანძღვა-გინება, სახეში ხელი გაართყა და შეეცადა ავტომანქანიდან მის გადაყვანას. ბ. ზ-მა აიღო სახრახნისი და გადავიდა მანქანიდან. მან და ა. გ-მა ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გადაიზარდა ჩხუბში, რომლის დროსაც ბ. ზ-მა სახრახნისის გამოყენებით ა. გ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. მიღებული ჭრილობების შედეგად ა. გ-ი 2012 წლის 4 ივნისს გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ბ. ზ-ს განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2012 წლის 25 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. ზ-მა და მისმა ადვოკატმა ა. ჯ-ემ. მათ ითხოვეს სილნალის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენის გაუქმება, ბ. ზ-ის გამართლება და პატიმრობიდან განთავისუფლება.

სილნალის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. მ-მა შესაგებლათ ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ბ. ზ-ს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2012 წლის 25 მაისიდან.

კასატორები – მსჯავრდებული ბ. ზ-ი და ადვოკატი მ. ჯ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბ. ზ-ს არ ჰქონია ა. გ-ის მოკვლის განზრახვა, პირიქით, ან გარდაცვლილმა თვითონ გამოავლინა აგრესია, მანქანიდან გადმოათრია მსჯავრდებული და დაუწყო ცემა; ბ. ზ-ს რომ ა. გ-ის მოკვლის განზრახვა ჰქონოდა, იგი მანქანიდან გადაიტანდა არა სახრახნისის, არამედ – დანას, რომელიც ასევე ედო მანქანაში, რადგან დანით უფრო ადვილად მიაყენებდა დაზიანებებს. ა. გ-ის გარდაცვალების მიზეზია თავის ტვინის შეშუპება, ტვინის ლეროვანი ნაწილის ჩაჭედვა, კეფის დიდ ხვრელში განვითარებული ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმა. აღნიშნულ დაზიანებებს იგი ვერ მიიღებდა სახრახნისის ჩარტყმით (რაც მხოლოდ ვარაუდია და არ არის დადგენილი ექსპერტიზის დასკვნით), ხოლო ჩხუბის ადგილზე დაცემით, სადაც ეყარა ხრეში, ყველა ზომის ქვა და აზბესტის მილი, უეჭველად მიიღებდა იმ სახის დაზიანებებს, რომლებიც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაშია აღწერილი. გარდა ამისა, გარდაცვლილი მსჯავრდებულზე ბევრად მაღალი და

ძლიერი იყო და მას გაშველების მომენტში ოთხი-ხუთი კაცი აკავებდა. ა. გ-ის სხეულზე არსებული და სასამართლო-სამედიცინო დასკვნაში ჩამოთვლილი ჭრილობებიდან ბ. ზ-მა სახრახნისის მეშვეობით მხოლოდ მარჯვენა იდაყვის წინა ზედაპირზე არსებული 0,1 სმ ზომის ხუთი მონითალო ფერის ნაჩხვლეტი ჭრილობა მიაყენა, ხოლო დანარჩენი ჭრილობები – სამედიცინო მანიპულაციების შედეგია.

კასატორთა აზრით, სიღნაღის რაიონულმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა რეალურად არ შეაფასეს საქმეში არსებული მტკიცებულებები და განაჩენი დაადგინეს მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ბ. ზ-ი და ადვოკატი მ. ჯ-ი ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და ბ. ზ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მატერიალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი როგორც ბ. ზ-ის ქმედებასა და ა. გ-ის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას შორის, ისე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და სასიკვდილო შედეგს შორის. პირველივე ნაწილში ასეთი კავშირის დაუდგენლობა თავისთავად გამორიცხავს ბ. ზ-ის ბრალეულობას.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცეს ბ. ზ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და მათ მიერ გამოტანილი დასკვნები ემყარება მხოლოდ ვარაუდს, კერძოდ:

გასაჩივრებული განაჩენით ბ. ზ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩხუბის დროს მან სახრახნისის გამოყენებით ა. გ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც ა. გ-ი 2012 წლის 4 ივნისს გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №017922-2012/05/1-1/531 დასკვნის თანახმად, ა. გ-ის სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის შეშუპება, ტვინის ლეროვანი ნაწილის ჩაჭედვა კეფის დიდ ზვრელში, განვითარებული ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის, თავის ქალას სარქველისა და ფუძის ძვლების მოტეხილობის, თავის ტვინში სუბდურული და ინტრაცერებრალური სისხლჩაქცევების შედეგად. თავის ქალას სარქვლის მოტეხილობა, თავის ქალას ფუძის მოტეხილობა, თავის ტვინში ტრავმული სუბდურული და ინტრაცერებრალური სისხლჩაქცევები, ნახეთქი ჭრილობები მარცხენა საფეთქლისა და მარცხენა მხრის არეებში განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №371/05/10/1-3 დასკვნის თანახმად, ა. გ-ი მკურნალობდა საავადმყოფოში შემდეგი დიაგნოზით: ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, ქალა-სარქვლის მოტეხილობა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ტრავმული სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევა, მწვავე სუბდურალური და ინტრაცერებრალური სისხლჩაქცევა, ევაკუაციის შემდგომი მდგომარეობა, მარჯვენამხრივი ჰემიპარეზი, თავის ტვინის შეშუპება. ეს დაზიანებები განვითარებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით.

რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ისინი არათანმიმდევრულია იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად როდის დაკარგა გონება ა. გ-მა და რა იყო ამის მიზეზი. აღნიშნული ჩვენებები ასევე ურთიერთგამომრიცხავია ჩხუბში მონაწილე პირთა რაოდენობის აღწერისას, კერძოდ:

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ვ. ე-მა აჩვენა, რომ ერთმანეთთან ჩხუბობდნენ მხოლოდ ბ. ზ-ი და ა. გ-ი. მას ჩხუბის დროს ვინმეს ხელში რაიმე საგანი არ შეუნიშნავს.

მოწმე პ. ჯ-მა აჩვენა, რომ ბ. ზ-ი მან გაარიდა ა. გ-ს და გადაიყვანა გზის მეორე მხარეს. ა. გ-ს 2-3 კაცი აკავებდა. ბ-ს რალაც „კატანკა მავთულივით“ ეჭირა ხელში. რალაც მომენტში ა. დაუსხლტა ბიჭებს ხელიდან და კვლავ ბ-ს დაუწყო ჩხუბი. ამის შემდეგ რა მოხდა, არ იცის, ვინაიდან დატოვა შემთხვევის ადგილი

მოწმე ა. ლ-მა აჩვენა, რომ ა. გ-ი გაიქცა ბ. ზ-ისკენ და წაიქცა. მანვე აღნიშნა, რომ ა. გ-ი ბ-სთან ჩხუბის დროს წაიქცა.

მოწმე ი. ჯ-მა აჩვენა, რომ იგი ცდლობდა ბ. ზ-ისა და ა. გ-ის გაშველებას, რა დროსაც პოლიეთილენის ბოთლს ურტყამდა ა. გ-ს თავში. რალაც მომენტში გააშველეს მოჩხუბრები და მიტრიალდა სახლში წყლის დასალევად. რომ მობრუნდა, დაინახა, რომ ა. მინაზე იყო დავარდნილი და სისხლი მოსდიოდა თავიდან. წაქცევის მომენტი არ დაუნახავს. ვინმეს ხელში რაიმე საგანი არ შეუნიშნავს. ი. ჯ-მა ასევე აჩვენა, რომ ა. გ-ი ბ. ზ-ზე ფიზიკურად ძლიერი და ტანმაღალი იყო, ბ-ისაც მოერეოდა და 4-5 კაცსაც.

მონმე დ. ა-მა აჩვენა, რომ ჩხუბი იყო ორ ეპიზოდად. რაღაც მომენტში მოჩხუბრები – ბ. ზ-ი და ა. გ-ი გა-
აშველეს, თუმცა, ა. გაუსხლტა ბიჭებს ხელიდან და კვლავ გააგრძელა ჩხუბი ბ. ზ-თან, რა დროსაც ჩაიკეცა
და გონება დაკარგა. მანვე განაცხადა, რომ მეორედ ჩხუბის დროს იქ 5-6 კაცი იყო, რომლებიც მათ გაშვე-
ლებას ცდილობდნენ. მანვე აღნიშნა, რომ ჩაკეცვის მომენტში ბ. ა-ისთან აღარ იყო.

მონმე ხ. მ-მა აჩვენა, რომ ჩხუბობდნენ ბ. ზ-ი, ა. გ-ი და ი. ჯ-ი. ამ დროს მოვიდნენ მოქალაქეები და ცდი-
ლობდნენ მათ გაშველებას, თუმცა – უჭირდათ, ვინაიდან სამივე მათგანი ჩხუბობდა. ჩხუბის დროს მხო-
ლოდ ვ-ს ეჭირა ხელში ნახევრად ცარიელი პოლიეთილენის ბოთლი და რამდენჯერმე ჩაარტყა ა-ს თავში.
ჩხუბის მომენტში ა. წაიქცა, წაქცევისას მას ორივე – ბ. ზ-ი და ი. ჯ-ი ეჩხუბებოდა და კონკრეტულად არ
დაუნახავს, თუ რომელი მათგანის დარტყმის შედეგად წაიქცა იგი. იქ მყოფთაგან იცნო მხოლოდ ვ-ს დედა,
რომელიც ჩხუბის დროს გამოვიდა და ცდილობდა თავისი შვილის გაჩერებას. ბ. რომ წამოვიდა მანქანის-
კენ, დაინახა, რომ ა. დაბლა ეგდო, ი. ზემოდან ეჯდა და ურტყამდა. მისივე ჩვენებით ჩხუბში 7-დან 10 კა-
ცამდე მონაწილეობდა. დაკითხვის ბოლოს ხ. მ-მა დააზუსტა, რომ ი. ნამდვილად იყო „გადამჯდარი ა-ზე“,
თუმცა, ზუსტად არ ახსოვს, ურტყამდა თუ რას აკეთებდა.

მონმე თ. ლ-მა აჩვენა, რომ ერთმანეთში ჩხუბობდნენ ა. გ-ი, ბ. ზ-ი და ი. ჯ-ი. ჩხუბის დროს მხოლოდ ვ-ს
ეჭირა ხელში პოლიეთილენის ბოთლი და რამდენჯერმე ჩაარტყა ა-ს თავში. იქ მყოფებმა განაცალკევეს
მოჩხუბრები, ა. კვლავ გაიქცა ბ-სკენ და ისევ ცემა დაუწყო მას. ვილაცებმა ა. დაიჭირეს და გაიყვანეს
ცალკე, რა დროსაც ა. ჩაიკეცა და დაეცა მიწაზე. მან დაინახა, რომ „ი. გადამჯდარი იყო ა-ზე“, თუმცა,
ზუსტად არ ახსოვს, ურტყამდა თუ რას აკეთებდა.

მონმის სახით დაკითხულმა ექიმმა – ნ. ყ-მა აჩვენა, რომ პაციენტი იყო ნასვამი. როგორც მას უთხრეს,
ის ჩავარდა თხრილში და დაარტყა თავი. მისთვის ეს არგუმენტი დამაჯერებელი იყო, ვინაიდან შესაძლე-
ბელია დაცემის შედეგად მიეღო თავის ტვინის დაზიანება.

მონმის სახით დაკითხულმა ექიმმა – ლ. ბ-მა აჩვენა, რომ ის კონტაქტში შევიდა ა. გ-თან და კითხვაზე,
თუ რა მოუვიდა, ა. გ-მა განუმარტა, რომ თხრილში ჩავარდა და თავი დაარტყა. მის ნათქვამში ეჭვი არ შეჰ-
პარვია, ვინაიდან ახლობლებმაც იგივე უთხრეს.

ბრალდებული ბ. ზ-ი გამორიცხავს ა. გ-ისთვის თავის არეში იმ ხარისხის დაზიანების მიყენების ფაქტს,
რასაც შეეძლო მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და შემდგომში სიკვდილი გამოეწვია, ვინაიდან ფი-
ზიკურად ვერ მისწვდებოდა, რადგან ა. გ-ი მასზე ბევრად ტანმალალი იყო.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. ჯ-ის ჩვენებით, მისი შვილი ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო
და მას ერთი ადამიანი ვერაფერს დააკლებდა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან კი ირკვევა, რომ ადგილზე მრავლად ეყარა საშუალო
და პატარა ზომის ქვები, იქვე ეგდო 1,5 მ სიგრძის ცემენტის მილი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მხარეებს არ დაუკითხავთ ექ-
სპერტები და, შესაბამისად, არ არის გამოკვლეული, შესაძლებელი იყო თუ არა ა. გ-ისთვის მიყენებული
თავის ქალის სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები გამოეწვია ბ. ზ-ს სახრახნისის გა-
მოყენებით. ასევე, ხომ არ იყო შესაძლებელი, რომ ა. გ-ს აღნიშნული დაზიანებები მიეღო დაცემის და თა-
ვის დარტყმის შედეგად, რის შესაძლებლობასაც მონმის სახით დაკითხული ექიმები – ნ. ყ-ი და ლ. ბ-ი არ
გამორიცხავენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებე-
ბით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება ფაქტი იმის შესახებ, რომ ბ. ზ-ის მიერ განხორციელებულმა
ქმედებამ გამოიწვია ა. გ-ის ჯანმრთელობის იმ ხარისხის დაზიანება, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი
გახდა.

ამიტომ, ვინაიდან არ დადგინდა მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შე-
დეგს შორის, არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტი – ქმედების შემადგენ-
ლობის ნიშანი, ანუ პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო
ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ასეთი კავშირის დაუდგენლობის შემთხვე-
ვაში კი პირს არ შეიძლება დამდგარი შედეგი ბრალად შეერაცხოს, რადგან არ არსებობს სისხლის სამარ-
თლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმული გამორიცხავს ბ. ზ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის
მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძ-
ლებლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწი-
ლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ზ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკ-
მაყოფილდეს.

მსჯავრდებული ბ. ზ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ბ. ზ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გამართლებულ ბ. ზ-ს განმარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
ნივთიერი მტკიცებულებები: სახრახნისი და ბ. ზ-ის პერანგი დაუბრუნდეს ბ. ზ-ს.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სახელმწიფო სასამართლო

1920¹-13

9 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – გ. ვ-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 აგვისტოს ს-ს ოლქის ს-ს საქალაქო სასამართლოს მიერ გ. ვ-ს ძე ვ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეულ იქნა პატიმრობა.

2009 წლის 4 აგვისტოს გ. ვ-ი ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და წარედგინა ბრალდება რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენებით) და სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით (მკვლელობა, რომელსაც თან ახლავს აგრეთვე ყაჩაღობა).

2009 წლის 4 აგვისტოს გ. ვ-ს მიმართ გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა.

2013 წლის 13 მაისს საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი გ. ვ-ი.

2013 წლის 15 მაისს ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე გ. ვ-ს მიმართ გამოყენებულ იქნა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2013 წლის 31 მაისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი გ. ვ-ს საჩივარი ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 მაისის განჩინებაზე.

2013 წლის 18 ივნისს თავდაპირველად ფაქტით, ხოლო შემდეგ ფოსტის საშუალებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიღებულ იქნა გ. ვ-ს ექსტრადიციის თაობაზე რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა და შესაბამისი საექსტრადიციო მასალები.

ამჟამად გ. ვ-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით.

2013 წლის 9 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორმა ქ. კ-ა და ითხოვა, დასაშვებად იქნეს ცნობილი რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა გ. ვ-ს ექსტრადიციის შესახებ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ პუნქტითა და სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო, აღნიშნული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა გ. ვ-ს ექსტრადიციის შესახებ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენებით) და 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ პუნქტით (მკვლელობა, რომელსაც აგრეთვე თან ახლავს ყაჩაღობა) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – გ. ვ-ი საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინების გაუქმებასა და პატიმრობიდან გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ განჩინება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ ის, რომ დაბადებულია საქართველოში, აქ უკვე 5 წელია ცხოვრობს, ხასიათდება დადებითად, ამჟამად არ არის არც ერთი ქვეყნის მოქალაქე, სურს იყოს საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, უარს აცხადებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობაზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოება, თუ რაოდენ დაძაბული ურთი-

ერთობა იყო და არის რუსეთ-საქართველოს შორის, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები, ასევე არ გაითვალისწინა მისი ოჯახური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა. რაც შეეხება მის მიმართ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ ბრალდებას, ეს არის სრული აბსურდი და გამოწვეულია მისი ეროვნული და ეთნიკური გამოსახატულებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა თ. ხ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა კ. მ-ა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნას. მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინების გაუქმება და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – გ. ვ-ს პატიმრობიდან გათავისუფლება, რასაც დაეთანხმა თავად გ. ვ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ გ. ვ-ი არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ. ამასთან, იგი არ ითვლება აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან რუსეთის ფედერაციიდან მიღებული მასალების მიხედვით იგი ითვლება რუსეთის ფედერაციის მოქალაქედ.

რაც შეეხება საჩივრის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ გ. ვ-ი არ არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და რომ მან რამდენჯერმე მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, კერძოდ, რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის ს-ს ოლქის ფედერალური მიგრაციული სამსახურის სამმართველოს 2013 წლის 31 მაისის წერილით დგინდება, რომ გ. ვ-ი არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ხოლო საქმეში არსებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2013 წლის 21 ივნისის წერილის შესაბამისად, გ. ვ-ი არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დარეგისტრირებულ განცხადებას გ. ვ-ს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, დღეის მდგომარეობით ამ საკითხზე გადწყვეტილება მიღებული არ არის და გ. ვ-ი არ არის საქართველოს მოქალაქე.

საქმის მასალების მიხედვით, გ. ვ-ს ბრალად ედება მკვლელობა, რომელსაც თან ახლავს აგრეთვე ყაჩაღობა (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ პუნქტი), რაც მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 20 წლის ვადით; ასევე ბრალად ედება ყაჩაღობა, ჩადენილი დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენებით (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტი), რაც მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 15 წლის ვადით.

2009 წლის 4 აგვისტოს ს-ს ოლქის სიზრანის საქალაქო სასამართლოს მიერ გ. ვ-ს ძე ვ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეულ იქნა პატიმრობა. 2009 წლის 4 აგვისტოს გ. ვ-ი ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და წარედგინა ბრალდება რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენებით) და სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით (მკვლელობა, რომელსაც თან ახლავს აგრეთვე ყაჩაღობა). 2009 წლის 4 აგვისტოს გ. ვ-ს მიმართ გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა.

2013 წლის 13 მაისს საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი გ. ვ-ი.

საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება გ. ვ-ს ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებსა და პრინციპს „ნონ ბის ინ იდემ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18-29, 34-ე მუხლებით და

დააკმაყოფილა:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – გ. ვ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიციის

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

1919¹-13

12 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – რ. კ-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 29 დეკემბერს ქ. ბ-ს ნ-ს რაიონის პოლიციის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განმეორებით ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, რომელმაც დიდი ოდენობით ზარალი გამოიწვია (ა-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-4 პუნქტები).

2012 წლის 13 ივლისს რ. კ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად ა-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (თაღლითობა, ჩადენილი განმეორებით; თაღლითობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

2012 წლის 13 ივლისს ქ. ბ-ს ნ-ს რაიონის პოლიციის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების მიერ რ. კ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2012 წლის 29 ნოემბერს ქ. ბ-ს ნ-ს რაიონის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით რ. კ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

2013 წლის 15 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს ა-ს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის მეშვეობით ძებნილი რ. კ-ი.

2013 წლის 17 მაისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინების საფუძველზე რ. კ-ს მიმართ გამოყენებულ იქნა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2013 წლის 31 მაისის განჩინებით რ. კ-ს მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 მაისის განჩინებაზე რ. კ-ს მიერ შეტანილი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

2013 წლის 3 ივნისს თავდაპირველად ელექტრონული სახით, ხოლო 2013 წლის 7 ივნისს ფოსტით საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიღებულ იქნა რ. კ-ს ექსტრადიციის თაობაზე ა-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და შესაბამისი საექსტრადიციო მასალები.

2013 წლის 13 აგვისტოს განჩინებით რ. კ-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით, 2013 წლის 15 ნოემბრამდე.

2013 წლის 12 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორმა თ. ხ-ა და ითხოვა, დასაშვებად იქნეს ცნობილი ა-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა რ. კ-ს ექსტრადიციის შესახებ ა-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, აღნიშნული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ა-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა რ. კ-ს ექსტრადიციის შესახებ ა-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლის მე-2 პუნქტითა და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – რ. კ-ი საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინების გაუქმებასა და პატიმრობიდან გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ განჩინება არის არასამართლიანი, სასამართლომ მხედველობაში მიიღო მხოლოდ ბრალდების მხარის არგუმენტაცია და უგულებელყო დაცვის მხარის მოთხოვნა.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა თ. ხ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. მ-მ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნას. მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინების გაუქმება და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – რ. კ-ს პატიმრობიდან გათავისუფლება, რასაც დაეთანხმა თავად რ. კ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ რ. კ-ი არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ. ამასთან, იგი არ ითვლება აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად. ა-ს რესპუბლიკიდან მიღებული მასალების მიხედვით, რ. კ-ი ითვლება აზერბაიჯანის მოქალაქედ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის 12 ივნისს რ. კ-ა თავშესაფრის თხოვნით მიმართა აღნიშნულ სამინისტროს. 2013 წლის 21 ივნისს მას ეთქვა უარი თავშესაფრის მაძიებლად დარეგისტრირებაზე, შესაბამისად, იგი არ სარგებლობს ლტოლვილის სტატუსით და საქართველოში მას პოლიტიკური თავშესაფარი არ გააჩნია.

საქმის მასალების მიხედვით, რ. კ-ს ბრალად ედება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტითა და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (თაღლითობა, ჩადენილი განმეორებით და თაღლითობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

2011 წლის 29 დეკემბერს ქ. ბ-ს ნ-ს რაიონის პოლიციის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განმეორებით ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, რომელმაც დიდი ოდენობით ზარალი გამოიწვია (აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-4 პუნქტები). 2012 წლის 13 ივლისს ქ. ბ-ს ნ-ს რაიონის პოლიციის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებამ რ. კ-ს მიმართ გამოაცხადა ძებნა. 2012 წლის 29 ნოემბერს ქ. ბ-ს ნ-ს რაიონის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით რ. კ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. 2013 წლის 15 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს აზერბაიჯანის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის მეშვეობით ძებნილი რ. კ-ი.

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, ასევე არ დადგინდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის გა-მომრიცხავი სხვა გარემოებების არსებობა, მათ შორის არ დგინდება ის გარემოებები, რომ რ. კ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჰყავს მტრები და იგი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას. შუამდგომლობას ერთვის აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის 2013 წლის 23 მაისის წერილი, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანის მხარე იძლევა გარანტიას, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად რ. კ-ი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის დახმარებით, იგი არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობასა და სასჯელს. აზერბაიჯანის მხარე იძლევა გარანტიას, რომ რ. კ-ი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც მოთხოვნილია მისი გადაცემა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება რ. კ-ს ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს; საქმეში არ არის მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი; დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებსა და პრინციპს „ნონ ბის ინ იდემ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18-29, 34-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – რ. კ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№1939¹-13

26 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ლ-ის, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ე. ქ-ასა და ზ. ხ-ას კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 29 დეკემბერს ქ. მოსკოვის რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის სდაო-ს საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დანაშაულზე, რაც გათვალისწინებულია რფ-ის სსკ-ის 135-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

2013 წლის 16 იანვარს ა. ლ-ს წარედგინა ბრალი რფ-ის სსკ-ის 135-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გარყვნილი ქმედება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ჩერემუშკინის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის დადგენილებით ა. ლ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა შინაპატიმრობა – 2013 წლის 16 იანვრიდან იმავე წლის 28 თებერვლამდე ვადით.

ვინაიდან ა. ლ-მა დაარღვია შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება და დაემალა რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავ ორგანოებს, 2013 წლის 8 თებერვალს მის მიმართ გამოცხადდა ფედერალური ძებნა. ამავე საფუძველით 2013 წლის 14 მარტს გამოცხადდა ა. ლ-ის საერთაშორისო ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ჩერემუშკინის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით წინა, ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის და მიმალვის გამო ა. ლ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

საქართველოს შს სამინისტროს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 2013 წლის 13 აპრილს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში, სარფის საკონტროლო გამშვები პუნქტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლის დროს დააკავეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ა. ლ-ი.

ზემოხსენებულის საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონულმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ა. ლ-ის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განჩინებით ა. ლ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის განჩინებით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განჩინება ა. ლ-ის მიმართ 3-თვიანი საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ დარჩა ძალაში.

2013 წლის 11 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურორის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს პროკურორმა ნ. ჭ-მა და ითხოვა საექსტრადიციო პატიმრობის ვადის კიდევ 3 თვით – 2013 წლის 13 ოქტომბრამდე გაგრძელება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურორის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნ. ჭ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ა. ლ-ის მიმართ გამოყენებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით – 6 თვემდე, 2013 წლის 13 ოქტომბრამდე.

ა. ლ-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2013 წლის 13 აპრილიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინებით პროკურორ ნ. ჭ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დასაშვებად იქნა ცნობილი რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის შუამდგომლობა ა. ლ-ის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 135-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის გამო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინების თაობაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ა. ლ-მა და მისმა ადვოკატებმა – ე. ქ-ამ და ზ. ხ-ამ კერძო საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა საჩივარში აღნიშნეს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არის პირადი და პოლიტიკური დევნის მსხვერპლი; ჰყავს ქართველი მეუღლე; დაავადებულია დიაბეტის მძიმე ფორმით; ექსტრადიციით მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე, რის გამოც ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის ექსტრადიციის შესახებ განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. ლ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2013 წლის 13 აპრილს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

რაც შეეხება ექსტრადირებული პირის – ა. ლ-ისა და დაცვის მხარის პოზიციას, რომ მისთვის წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა, პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან იგი არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სურვილი. შესაბამისად, ექსტრადირებული პირის პოზიცია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, რადგან მას არ ჩაუდენია დანაშაული, არის პირადი და პოლიტიკური დევნის მსხვერპლი, ჰყავს ქართველი მეუღლე, დაავადებულია დიაბეტის მძიმე ფორმით, ექსტრადიციით მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე – მოკლებულია კანონიერ საფუძველს და ვერ იქნება გაზიარებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას, ცნობს და აღიარებს რა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის შუამდგომლობა ა. ლ-ის ექსტრადიციის შესახებ, რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 135-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის გამო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონით და

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ლ-ის, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ე. ქ-ასა და ზ. ხ-ას კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება

განჩინების გაუქმება, რომლითაც გაუქმებული იყო განაჩენი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ

განჩინება
საპარტვილოს სახელით

№1936¹-13

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

ბ. ალავეიძე

განიხილა მსჯავრდებულ ბ. ა-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, რომლის მიხედვით: ბ. ა-ა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ბრალდების 3 ეპიზოდი), 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების 7 ეპიზოდი), 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების 16 ეპიზოდი), რის გამოც სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით; მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 10 თებერვლიდან იმავე წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 12 მაისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ბ. ა-ა გათავისუფლდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (ბრალდების 3 ეპიზოდი) და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების 2 ეპიზოდი) დანიშნული სასჯელისაგან; მასვე ერთი მესამედით შეუმცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების 7 ეპიზოდი), 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ბრალდების 14 ეპიზოდი) და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელები, რის გამოც განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით; განაჩენები და განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის განჩინებით, პროკურორის საჩივრის საფუძველზე, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი ბ. ა-ას მიმართ და სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდა ქუთაისის რაიონულ პროკურატურას.

ბ. ა-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი პირობა (6 თვის ვადაში დაზარალებულებისათვის ზიანის ანაზღაურება); სააპელაციო სასამართლოში არ მიეცა საშუალება, მოეწვია ადვოკატები; არ არის სწორი, რომ თითქოს მსჯავრდებულმა მხარი დაუჭირა საპროცესო შეთანხმების შედეგად გამოტანილი განაჩენის გაუქმებას; განაჩენის გამოტანიდან 6 თვის შემდეგ პროკურორისათვის ცნობილი იყო, რომ მსჯავრდებულს სრულად არ ჰქონდა ანაზღაურებული დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანი და ამ დროიდან მას ერთი თვის ვადაში უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რაც დარღვეულია და საჩივარი დაუშვებელი იყო; ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გაეუქმებინა ბრალზე შეთანხმება; სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად გამოიყენა ის გარემოება, რაც განაჩენით არ იყო დადასტურებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის განჩინი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული განაჩენის გარდა, ბ. ა-ა მსჯავრდებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბრის განაჩენით, რომლის მიხედვით, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალი პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის განჩინებით ბ. ა-ას მიმართ ორივე განაჩენით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, 7 წლის გამოსაცდელი ვადით.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 12 მაისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებული ბ. ა-ა გათავისუფლდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (ბრალდების 3 ეპიზოდი) და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების 2 ეპიზოდი) დანიშნული სასჯელისაგან; მასვე ერთი მესამედით შეუმცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების 7 ეპიზოდი), 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ბრალდების 14 ეპიზოდი) და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელები, რის გამოც განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

ამდენად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენის გამოტანის შემდეგ ეს განაჩენი შეიცვალა კანონიერ ძალაში შესული არაერთი სასამართლო გადაწყვეტილებით, რის გამოც 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება სამართლებრივად უშედეგოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, რის გამოც საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის განჩინება ბ. ა-ას მიმართ. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უარი განაჩენის საკასაციო გასაჩივრების არასაკატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღგენაზე

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№172-აპ-13

18 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ხ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ივლისის განაჩენით ხ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ხ. მ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 17 თებერვლიდან.

2013 წლის 12 სექტემბერს მსჯავრდებულმა ხ. მ-მ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. თავის განცხადებაში საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ფინანსურად უჭირს და ვერ შეძლო ადვოკატის აყვანა; არის სოციალურად დაუცველი, ამასთან, აქვს ჯანმრთელობის პრობლემაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ხ. მ-ს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა ხ. მ-მ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 523-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში, რის შესახებაც ცნობილი იყო ხ. მ-ს. ამდენად, კასატორის მიერ მითითებული გარემოება, რომ საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა მატერიალური პრობლემების გამო, ვერ იქნება მიჩნეული მის მიერ საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის კანონიერი საფუძველი, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ხ. მ-ს უარი ეთქვა მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, არის კანონიერი და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ხ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ხ. მ-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ივლისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამენისტიის გავრცელების შესახებ კანონმდებლობით გაწეული პირობების გაუმჯობესება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№116-აპ-13

16 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

ბ. ალავეიძე

განიხილა მსჯავრდებულ ფ. ჯ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. დ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის განაჩენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენით:

ფ. ჯ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ლ. ი-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილზე.

ლ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საბოლოო-

ოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ი-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2009 წლის 19 სექტემბრიდან.

მ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2009 წლის 17 დეკემბრიდან.

ფ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ფ. ჯ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაენციოს განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

საქმეზე სამოქალაქო მოსარჩელე რ. გ-ის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სამოქალაქო მოპასუხეებს – ლ. ი-ს, ფ. ჯ-სა და მ. ბ-ს სამოქალაქო მოსარჩელე რ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ქონებრივი და ფიზიკური ზიანის – 11062,15 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ფ. ჯ-მა, ლ. ი-სა და მ. ბ-თან ერთად, განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით დაუფლებოდა მოქალაქე რ. გ-ის ქონებას. 2009 წლის 16 სექტემბერს ლ. ი-მა ყაჩაღური თავდასხმის მოსამზადებლად შეისწავლა რ. გ-ის მოძრაობის დრო, მარშრუტი, რის შემდეგაც, 2009 წლის 16 სექტემბერს, ხსენებულმა პირებმაც შეისწავლეს რ. გ-ის მოძრაობის დრო, მარშრუტი, გაინაწილეს როლები და დაგეგმეს ყაჩაღური თავდასხმის ადგილი და დრო. 2009 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით 7.30 საათზე, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ლ. ი-ი, ფ. ჯ-ი და მ. ბ-ი შეხვდნენ ერთმანეთს და მივიდნენ თბილისში, თ-ის დასახლებაში არსებულ რ. გ-ის კუთვნილ კურდღლებს ფერმასთან, სადაც იგი ყოველდღე მიდიოდა კურდღლებისათვის საკვების მისაცემად. ლ. ი-ი, მ. ბ-ი და ფ. ჯ-ი დაიძალნენ ფერმის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე და დაიწყეს თვალთვალი. როდესაც დარწმუნდნენ, რომ შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არავინ იმყოფებოდა, ისინი პირველ სართულზე არსებულ ერთ-ერთ ოთახში შევიდნენ, სადაც მ. ბ-ი და ფ. ჯ-ი რკინის ნაჭრებით, ხოლო ლ. ი-ი დანით შეიარაღდნენ, ასევე ნიღბები მოირგეს და რ. გ-ს დაელოდნენ. დაახლოებით 9.30 საათზე რ. გ-ი თავისი კუთვნილი „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსით კურდღლების ფერმაში მივიდა და გაეშრათა ფერმის შენობისაკენ, თუმცა შემოესმა ხმაური, რის გამოც წავიდა იმ ოთახისკენ, რომელშიც ბოროტმოქმედები იმალებოდნენ. კარის გაღებისთანავე მ. ბ-ი, ფ. ჯ-ი და ლ. ი-ი თავს დაესხნენ რ. გ-ს. ლ. ი-მა მუშტი დაარტყა სახის არეში. რ. გ-მა უკან დაიხია და ნაიქცა, რის შემდეგაც მ. ბ-მა და ფ. ჯ-მა წინასწარ მომზადებული რკინის ჯოხებით ცემა დაუწყეს მას, ხოლო ლ. ი-ი დააჯდა ზევიდან და სახეში მუშტებს ურტყამდა. რ. გ-მა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, რის გამოც ლ. ი-მა, ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, განიზრახა რ. გ-ის სიცოცხლის მოსპობა. მან წინასწარ მომარჯვებული დანა რ. გ-ს რამდენჯერმე დაარტყა და მიაყენა სიცოცხლისათვის საშიშროო მძიმე ხარისხის, გულ-მკერდისა და მუცლის ღრუში შემავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი დაზიანებები ფილტვის, ელენთისა და კუჭის დაზიანებით. ამავე დროს, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მ. ბ-ი და ფ. ჯ-ი მოქმედებდნენ რა წინასწარი შეთანხმებით, განაგრძობდნენ რკინის ჯოხებით რ. გ-ის ცემას, რა დროსაც მიაყენეს ნაკლებად მძიმე ხარისხის ბეჭის მარცხენა ძვლის მოტეხილობა, მარცხენა სხივის ძვლის მოტეხილობა, მარცხენა ხელის მტევნის მე-4 თითის ძირითადი ფალანგის მოტეხილობა. მიღებული დაზიანებების შედეგად რ. გ-მა დაკარგა გონება, რის შემდეგაც ფ. ჯ-მა, ლ. ი-მა და მ. ბ-მა რ. გ-ს მოხსნეს ოქროს საათი ოქროს სამაჯურით, ღირებული – 1600 ლარად, ოქროს სამაჯური, ღირებული – 1000 ლარად, ოქროს ყელსაბამი, ღირებული – 1200 ლარად, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლდნენ „ნოკიას“ ფერმის მობილურ ტელეფონს, ღირებულს – 450 ლარად და ფულად თანხას – 2000 ლარს. რ. გ-ის ხსენებული ქონების ყაჩაღური გზით დაუფლების შემდეგ ლ. ი-ი, მ. ბ-ი და ფ. ჯ-ი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მუშაკებმა რ. გ-ი გადაიყვანეს თბილისის №... კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად მოხერხდა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. შესაბამისად, ლ. ი-მა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რ. გ-ის მოკვლის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

მანვე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული, 5,6 მმ კალიბრიანი რგოლური აალების ვაზნა, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში – თბილისში, მ-ის ქუჩის №...-ში. 2009 წლის 17 სექტემბერს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა ფ. ჯ-ის ბინის ჩხრეკისას საძიებელ ოთახში, ტახტზე არსებული ლეიბის ქვემოდან ამოიღეს ქარხნული წესით დამზადებული, 5,6 მმ კალიბრიანი რგოლური აალების ვაზნა, რომელიც განკუთვნილია ამავე კალიბრის პისტოლეტების, რევოლვერების, შაშხანებისა და კომპინირებული თოფების დიდი ჯგუფისათვის. ვაზნა ვარგისია გამოსაყენებლად და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ლ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელიდან – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ი-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 19 სექტემბრიდან.

მ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 17 დეკემბრიდან.

ფ. ჯ-ი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ფ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ფ. ჯ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების მომენტიდან.

საქმეზე სამოქალაქო მოსარჩელე რ. გ-ის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სამოქალაქო მოპასუხეებს – ლ. ი-ს, ფ. ჯ-სა და მ. ბ-ს სამოქალაქო მოსარჩელე რ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ქონებრივი და ფიზიკური ზიანის – 11062,15 ლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 იანვრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებული ფ. ჯ-ი „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

მასვე გაუწახვევრდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ფ. ჯ-ი დააკავეს 2013 წლის 10 ივლისს.

მსჯავრდებული ფ. ჯ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. დ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ფ. ჯ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივებს მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის უდანაშაულობის თაობაზე. საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ – რ. გ-ის ჩვენებებით, მოწმეების – რ. ს-ას, ა. კ-ის, ზ. ე-ის, გ. ხ-ის, ჯ. მ-ის ჩვენებებით, ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმ თ. პ-ის ჩვენებით, ექსპერტ-კრიმინალისტ ბ. ს-ისა და ექსპერტ მ. მ-ის ჩვენებებით, ბიოლოგიური, ოდოროლოგიური, ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით დადასტურებულია მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის მიერ განაჩენით შერაცხული ბრალდება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 იანვრის განჩინება მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ კანონშეუსაბამოა და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან განჩინების მიღების მომენტისათვის ფ. ჯ-ი იყო ძებნილი. საქართველოს სსკ-ის 550-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაკავების შემდეგ ფ. ჯ-ისა და მისი ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივრის საფუძველზე მოცემულ საქმეზე განახლდა სამართალწარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი მიმართულებით:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ფ. ჯ-ი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ფ. ჯ-ს უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეადგენს 3 წელს.

მსჯავრდებულ ფ. ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა დაეწესოს 2013 წლის 10 ივლისიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 იანვრის განჩინება მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ფ. ჯ-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ფ. ჯ-ს გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეადგენს 3 წელს.

მსჯავრდებულ ფ. ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწესოს 2013 წლის 10 ივლისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.